

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

1918 წელი – 26 მაისი – Nr. 36(54) – MAI 26, 2006

ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს — ილია

საქართველოს დამოუკიდებლობის 88 წლითავი

26 მაისი (დოკუმენტაცია)----------------------------------------1

სოხუმის დაპყრობის მე-13 წელი

ვითომ დგება იმპერიული რუსეთის "განკითხვის დღე?" – ----------------------------------------13
აფხაზეთი ამჟამად----------------------------------------17
"რუსეთთან კეთილმეზობლობა გვსურს"----------------------------------------18
ვითომ დაკარგული და დასაკარგი მიწები? – ----------------------------------------19
"სუსლოვის სული"----------------------------------------22

ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

მიმართვა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს! – ----------------------------------------23
"სასაცილოა სატირალი რომ არ იყოს!" ----------------------------------------24
"რუსეთი უნდა იყოს ევროპის კავშირში"----------------------------------------25
"აქტიური ლოდინის ტაქტიკა?!" ----------------------------------------25
ღირსეული "ოქროს თაობის" ღირსეული მემკვიდრეები----------------------------------------28
"სტრატეგიული პარტნიორობა" თუ "სელექციური კოოპერაცია"? – ----------------------------------------29

პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

თურქეთი, ქურთები და ქართველობა----------------------------------------31
ნავთობის საბადოები საქართველოში? – ----------------------------------------32
ზბიგნიევ ბრზეჟინსკი: "ამერიკის ტრადიციაა დაიჯეროს თავის პრეზიდენტის"----------------------------------------33
"ორი ბატონის მსახური" ("დაგვიანებული კომენტარი?")----------------------------------------34
საქართველოს სახელმწიფოსა და სსდპ ჰერალდიკა----------------------------------------39
"ზოგიერთი უფრო თანასწორუფლებიანია?" – ----------------------------------------43
ბასკები და.... ქართველობა----------------------------------------45

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა   დ ა   ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 60 წლისთავი (წერილი მეორე)----------------------------------------47
ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლის პოეზია----------------------------------------49
ლექსები----------------------------------------55

ქართველთა ყოფაცხოვრება უცხოეთში

აღდგომა თბილისში, პარიზში, მიუნხენში----------------------------------------56
ქართული სათვისტომოს არჩევნები საფრანგეთში----------------------------------------57
ევგენი გეგეჭკორის დაბადების 125 წლისთავი----------------------------------------57
"მემკვიდრეობის" დღესასწაული ლევილში----------------------------------------61
"სიმბოლიური ხიდი": თბილისი – ლევილი----------------------------------------62

დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის ნამდვილი, მჭრელი, მებრძოლი. — ნოე

დაარსდა: იანვარი, 1952 წელი, პარიზი – Fondation: Janvier 1952, Paris, France

42684

"მეოთხე სვეტი"

კინოფილმი, ტელეხედვა,
მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი – პრესა, რადიო,
ინტერნეტი – დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო ხელისუფლების "მეოთხე
სვეტია" სახელმწიფო ძალაუფლების "სამი სვეტის" – მმართველობის(მთავრობა),
კანონმდებლობის(პარლამენტი) და მართლმსაჯულების(სასამართლო) გვერდით. აზრთა
სხვადასხვაობა და ჭიდილი დემოკრატიის სისუსტე კი არა, სიძლიერეა, თუ იგი დარჩება
დემოკრატიული სახელმწიფოს პოზიცია-ოპოზიციის კონსტრუქციული კრიტიკის სფეროში,
რაშიც მჟღავნდება პიროვნების, ერის პოლიტიკური კულტურა. ამდენად მასობრივი
ინფორმაციის მედიუმები უნდა იყოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი
მრავალფეროვანი და მრავალფენოვანი ცხოვრების სარკე, რაც – თავის მხრივ – ნიშნავს
იმას, რომ იგი უნდა იყოს ობიექტური, მიუდგომელი და მის შექმნაში მონაწილეობას უნდა
ღებულობდეს საზოგადოების ყველა ფენა იმ მიზნით, რომ თავიდან აცილებულ იქნას
ამათუიმ პირის თუ დაჯგუფების გაუკითხავი ბატონობა.

---

# საქართველოს კონსტიტუცია

# Constitution de la Géorgie

მიღებული საქართველოს დამფუძნებელი
კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21.

მუხლი 32

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

Tout citoyen a le droit d'exprimer son opinion et de la propager par la parole, par la presse ou par d'autres moyens sans l'autorisation préalable du Gouvernement. Il n'est responsable pour tout délit commis dans ces cas, que devant la Justice.

---

# საქართველოს კონსტიტუცია

მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.
3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

---

# ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

# Universal Declaration of Human Rigts

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, დაუბრკოლებლად მისდიოს თავის მრწამსს და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

artic 19

Everyone has the righet co freedom of opinion and expression; this righet includes freedom co hold opinions sichour incerierence and to scet, receive and impart information and idext chrouch any medis and regardless of frontiers.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს დამოუკიდებლობის 88 წლისთავი

26 მ ა ი ს ი

I.

გილოცავთ, პატივცემულო თანამემამულენო, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისის 88 წლისთავს!.. და "აქვე და ახლავე" ვაყენებთ ჩვენს, აწ უკვე ტრადიციულ კითხვას: რა მოგვიტანა გასულმა ერთმა წელმა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სიციალური ცხოვრების სფეროში?..

II.

მიუხედავათ იმისა, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა და სუვერენობა 1991 წლის 9 აპრილს ისევ აღსდგა 1991 წლის 31 მარტის რეფერედუმით, რომლის ერთად-ერთი კითხვა იყო – "თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახემწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1818 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?" – რაზედაც საქართველოს მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ უპასუხა: "დიახ!", რასაც მოყვა საქართველს დამოუკიდებლობის ისევ აღდგენა, – ჩვენს სამშობლოში, საქართველოში გარდალახული არ მოსჩანს დაპირისპირება საბჭოური ხანის პოლიტიკოსებსა და დამოუკიდებლობის ხანის პოლიტიკურ ხელმძღვანელებს შორის, რაც მჟღანედება, თუ გნებავთ, გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" 2006 წლის 24 მარტის სტატიაში "ძლიერება ქართული გენისა", რაშიც ჩვენ "ქართული გენის" უფრო სისუსტეს, ვიდრე ძლიერებას ვხედავთ.

III.

საქმე იმაშია, რომ ამ სტატიაში "ქართული გენის სიძლიერე", თუ ამ ტერმინს გამოვიყენებთ, და თუ იგრძნობა არსებითად – საქართველოს მხოლოდ რესპუბლიკური ხანით შემოვიფარგლებით, – იგრძნობა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას და მისი თანამოაზრეების მოღვაწეობა, რომელთა შორის, ამჯერად, წინა პლანზე მოსჩანს პროფესორი აკაკი მათიაშვილი, რასაც ჩვენც დავეთანხმებოდით, თუ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინამორბედათ პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას, ხოლო მათ მომდევნო პრეზიდენტებათ – ედვარდ შევარდნაძეს, ნინო ბურჯანაძესა და მიხეილ სააკაშვილს ვაღიარებდით.

IV.

მაგრამ თვით ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობაშიც კი ჩაქსოვილია ისეთი შეუსაბამობა, რომ იგი – ერთი მხრივ – საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო რეფერენდუმით შეეკითხა ხალხ თუ იგი თანახმაა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე აღსდგეს საქართველოს დამოუკიდებლობა, რაზედაც ჩვენი ხალხის დიდმა უმრაელესობამ უპასუხა "დიახ", მაგრამ – მეორე მხრივ – შეიქმნა და საქართველოს პარლამენტის დეპუტატებისა და თვით ზვიად გამსახურდიას მიერაც ხელმოწერილ იქნა "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი", რაც დაპირისპირებული მოსჩანს 1918 წლის 26 მაისის საქართველოს რესპუბლიკური ხანის საწყისთან და ამით 1918 წლის 26 მაისის ჩვენს ეროვნულ დღესასწაულთან.

V.

კიდევ მეტი: ჩვენმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა საქართველოს რესპუბლიკური ხანის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა და მისი პრეზიდენდები ისე დაანაწევრეს, რომ ჩვენი ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტებიდან, ნოე ჟორდანია, მაგალითად, "მოღალატედაც" კი გამოაცხადა ჩვენი სახელმოხვეჭილი მწერლის, ეკატერინე გაბაშვილის შვილი-შვილმა, რომელმაც, საქართველოს ტელევიტიით –"მზე" – ე.წ-ლი "ტელეპროცესი" დაამთავრა სიტყვებით: "ნოე ჟორდანია იყო მოღალატე!" კიდევ კარგი, რომ ერეკლე მეორემ არ გაიზიარა ნოე ჟორდანიას ბედი მომდევნო "ტელეპროსესში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერეკლე მეორე თურმე – ეკატერინე გაბაშვილის შეილიშვილის აზრით – მოღალატე კი არ იყო ნოე ჟორდანიას მსგავსად, არამედ მხოლოდ "შეცდა"!..

VI.

და ასეთი მიდგომა საქართველოს რესპუბლიკური ხანისა, და ამით, ჩვენი პრეზიდენტებისადმი, დაწყებული 1918 წლის 26 მაისიდან, – იმდენად ფეხმოდგმულია დღესაც საქართველოში, რომ ძნელია იპოვოთ ისეთი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, რომელიც, მეტ-ნაკლებათ, დადებითათ აფასებს საქართველოს პრეზიდენტების – ნოე ჟორდანიას, ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძის, ნინო ბურჯანაძის და მიხეილ სააკაშვილის მოღვაწეობას; თუმცა ნათელია რომ, როგორც ნოე ჟორდანია ამბობს, ყველამ – "...უნდა დაინახოს მტერმაც და მოყვარემაც, რომ არა მარტო გვინდა ვიყვეთ დამოუკიდებელნი, არამედ ჩვენ შეგვიძლია ვიყვეთ დამოუკიდებელნი". "ჩვენ მივდიოდით სწორი გზით და გავაკეთეთ, რის გაკეთებაც კი შეგვეძლო".

VI.

და აქვე ჩვენი დიდი მეცნიერის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის პროფესორ მიხეილ (მიხაკო) წერეთლის აზრი:

"მე არ ვიცი, ვინ შესძლებდა ნოე ჟორდანიას გარდა მაშინდელ პირობებში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რომელი მასზე უფრო დიდი ნაციონალისტი, არასოციალისტი არ თუ გამოაცხადებდა, როგორ იქნებოდა შესაძლებელი დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა, თუ მას არ იწამებდა ნოე ჟორდანია".

ანალოგიური აზრის გამოთქმა შეიძლება, მეტნაკლებათ, საქართველოს ყველა პრეზიდენტის მოღვაწეობის შესახებ თვით საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტის მიხელ სააკაშვილის მოღვაწეობის ჩათვლით.

VII.

აი, ჩვენ ამგვარი შეგნებით გვსურს ავღნიშნოთ 26 მაისი – ჩვენი დიდი ეროვნული დღესასწაული, რომლის შედარება შეიძლება ამერიკის კოლონიური ბატონობის განთავისუფლების დღესთან – 1776 წლის 4 ივლისთან, და საფრანგეთის "თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის" დღესთან – 14 ივლისთან.

კიდევ მეტი: 26 მაისი ჩვენ გვესახება ს ო ც ი ა ლ უ რ ი დემოკრატიის საწყისად, რაც დემოკრატიის უმაღლეს ფორმად უნდა ჩაითვალოს.

VIII.

მაშ, დიდება 26 მაისს – ჩვენს დიდ ეროვნულ რესასწაულა!.. დიდება საქართველოს, დიდება ქართველ ხალხს!..

"მრავალჟამიერ!.."

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2006 წლის 26 მაისი

## დამოუკიდებლობის ხუროთმოძღვარი

"ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა დამსახურების არცანახვა, მიზანდასახული დისკრედიტაცია და ლაფში ამოსვრის ტენდენცია – ათეული წლების განმავლობაში იმ დონეზე მიმდინარეობდა, რომ ლამის ერის მოღალატეებად გამოაცხადეს. უსაფუძვლოდ წაყენებულმა ბრალდებებმა და არაობიექტურმა შეფასებებმა, თაობებში ისე ღრმად გაიდგა ფესვები, რომ საზოგადოების გარკვეულ წრეებში ამ პოლიტიკური პარტიისადმი დამოკიდებულება დღესაც ნეგატიურია. მართალია, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას, მისი ფორმირების პროცესს და ქვეყანაში გატარებულ რეფორმებს დადებით შეფასებას აძლევენ, მაგრამ იგნორირებას უკეთებენ იმ პოლიტიკური პარტიის ლიდერთა სახელებს, რომლებსაც ეროვნული სახელმწიფოს ფუნდამენტის მომზადებაში ლომის წილი ედოთ. საარქივო მასალით დასტურდება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი სახელმწიფოებრიობის განახლება-სრულყოფა და ქართული სოციალ-დემოკრატია ერთმანეთისაგან განუყოფელია, რემეთუ გ. ქიქოძის სიტყვებისა რომ ვთქვათ, "მისი მთავარი ხუროთმოძღვარი ნოე ჟორდანია იყო"".

შ ო თ ა ვ ა დ ა ჭ კ ო რ ი ა:
ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში,

დოკუმენტაცია

# საქართველოს რესპუბლიკური ხანა

## ჩვენი პრეზიდენტები

I.

ნოე ჟორდანია - საქართველოს რესპუბლიკური ხანის პირველი პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე 1918-1921 წლებში.

ნოე ჟორდანია — საქართველოს "რესპულიკური ხანის" ფუძემდებელი, რომლის ჩირაღდანია 1918 წლის 26 მაისი, ერთიანი და განუყოფელი საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენის დღე — თითქმის ხუთსაუკუნოვანი დაქუცმაცებული სახელმწიფოებრივი ცხოვრების შემდეგ.

ნოე ჟორდანიას "ოქროს თაობის" მიერ შექმნილი "პატარა ოქროს ხანა" კი რესპუბლიკური, ლაიცისტური სამაგალითო სახელმწიფოებრივი წესყობილება გახდა საერთაშორისო მასშტაბითაც, როცა "მესამედასელებმა", 1893 წლის 7(20) თებერვალს, — აშშ-ს 1776 წლის 4 ივლისის კოლონიური ბატონობისაგან განთავისუფლების "დამოუკიდებლობის დეკლარაცია" და საფრანგეთის დიდი რევოლუციის 1789 წლის 14 ივლისის "თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის" ჰუმანიტარული იდეა — ეროვნულად და სოციალურად გააპოხიერეს - მრწამსით: "ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა".

აქედან გამომდინარე, დამოუკიდებელი საქართველოს "ოქროს თაობა" დაადგა ადამიანთა და ხალხთა ეროვნული(ნაციონალური) და სა-ერთა-შორისო(ინტერნაციონალური) გარდაუვალი ინტერესების გ ა წ ო ნ ა ს წ ო რ ე ბ ი ს გზას, რაც სამაგალითოა დღესაც — "ინფორმაციის საუკუნეში".

II.

ზვიად გამსახურდია — საქართველოს მეორე პრეზიდენტი (1991-1993 წლები) - არის "თეთრი გიორგისეული", "ოქროს საწმისისეული", პროტო-იბერიული, ელინისტურ-რენესანსული და მათზე აღმოცენებული "წმინდა გრალის თასის" სულიერ-ხორციელი შეჯამება, რომელიც ვერ ეტევა პოლიტიკის, პოლიტიკოსის თანამედროვე ცნებაში — თუ ჩვენ პოლიტიკას შესაძლებლობის ხელოვნებათ მივიჩნევთ, რომლის მიზანია საჭირო შესაძლებელი გახადო.

ზვიად გამსახურდიას სულიერ-ხორციელი მე-ობის ჭეშმარიტი ამსახველი არის — მერაბ კოსტავა, რომელიც "მეგობარ ზვიადს" ასე მიმართავს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი სამშობლო არის სულეთი

სხვა სრა-სასახლე, ძმაო, ნუ გინდა,

დე, ხალხის თვალში დარჩი სულელი,

მამის წინაშე იყავი წმინდა.

დაე, გფარავდეს ვარსკვლავთ კრებული

და მიქაელის ცეცხლის მახვილი,

დაე, ღირსად გცნონ, იქმნა ვნებული,

წმინდა ზვარაკის ტკბილი სასმელით.

არ მიიკარო მწიკული ზადის

შენი ტანია თვით ეკლესია,

სცან ღაღადისი, გზა განიმზადე,

დედამიწაზე დადის მესხია!

III.

ედუარდ შევარდნაძე – ჩვენი მრავალწახნაგოვანი, მრავალფეროვანი და მრავალფენოვანი ეროვნული და დიდი საერთაშორისო პოლიტიკური მოღვაწე, "ცივი ომის" თანაალმკვეთელი, საქართველოს რესპუბლიკური ხანის მესამე(1993-2003 წლები) პრეზიდენტი.

IV.

ნინო ბურჯანაძე - საქართველოს დროებითი პრეზიდენტი(2003-2004 წლები) - არის ბრწყინვალე მეფეთა-მეფის თამარის დობილი, ქართველი ხალხის დედა; ამჯერად საქართველოს პარლემენტის და ამით ჩვენი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე.

V.

მიხეილ სააკაშვილი – საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტი (2004 წლის 25 იანვარიდან) - არის ჩვენი იმედის გამომხატველი იმდენად, რომ აღფრთოვანებით გვსურს შევძახოთ - მას, ჩვენს თავს, ჩვენს ხალხს, ჩვენს საქართველოს: "კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოწყდებიან ჯავრი არ ჭამონ მტრისანი". "საქმემან შენმა გამოგაჩინოს შენ", - ჩვენო პრეზიდენტო!..

კ.ი., პარიზი, 2004 წლის 26 მაისი

ე რ ი  დ ა  რ ე ლ ი გ ი ა

"ნურავინ ფიქრობს, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივეა... გახსოვდეთ, რომ ჩვენი ხსნა, ჩვენი ბედნიერება საქართველოს ერთობაშია! გაუმარჯოს მთლიან საქართველოს!"

მემედ აბაშიძე, 1921 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ნ ო ე ჟ ო რ დ ა ნ ი ა
2 იანვარი 1868 წ. — 11 იანვარი 1953 წ.

**NOÉ JORDANIA**
Président de la République de Géorgie

---

„... უნდა დავინახოთ მტერმაც და მოყვარემაც, რომ არამარტო გვინდა ვიყვეთ დამოუკიდებელი, არამედ შეგვიძლია ვიყვეთ დამოუკიდებელნი“

„... და თუ ჩვენ მიზანს მაინც ვერ მივაღწიეთ და დავმარცხდით, ერთი მაინც უეჭველი იქნება და ამას პირუთვნელი ისტორია მაინც იტყვის – ჩვენ მივდიოდით სწორე გზით და გავაკეთეთ რის გაკეთებაც კი შეგვეძლო“

*ნოე ჟორდანია*

---

"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა". "მესამე დასი", 1893 წელი



# საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

## საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრებისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი სამხედრო ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარებმაც დასტოვეს ამიერკავკასია.

„დარჩენილ რა თავისი ძალღონის amარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და ხელმძღვანელობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და ამით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა — დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელი საბჭოს წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



Zviad Gamsakhurdia

## საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია (1991-1992 წლები)

ზვიად გამსახურდია – საქართველოს მეორე პრეზიდენტი (1991-1993 წლები) - არის "თეთრი გიორგისეული", "ოქროს საწმისისეული", პროტო-იბერიული, ელინისტურ-რენესანსული და მათზე აღმოცენებული "წმინდა გრალის თასის" სულიერ-ხორციელი შეჯამება, რომელიც ვერ ეტევა პოლიტიკის, პოლიტიკოსის თანამედროვე ცნებაში – თუ ჩვენ პოლიტიკას შესაძლებლობის ხელოვნებათ მივიჩნევთ, რომლის მიზანია საჭირო შესაძლებელი გახადო.

კ.ი., პარიზი, 2004 წლის 26 მაისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ACT
## of Independence of Georgia

The Georgian National Council, during its plenary sitting of May 26, 1918, declared as follows:

„For several centuries Georgia existed as a free and independent State.

At the end of the eighteenth century Georgia voluntarily allied herself with Russia, with the stipulation that the latter should protect her from enemies without.

In the course of the great Russian revolution conditions arose which resulted in the disorganization of the entire military front and the abandonment of Transcaucasia by the Russian Army.

Thus, left to her own devices, Georgia, and with her all Transcaucasia, took into their hands the direction of their affairs creating the necessary organs for this purpose; but under pressure from exterior forces the links which united Transcaucasian nationalities were broken and the political unity of Transcaucasia was thus dissolved.

The present position of the Georgian people makes it imperatively necessary that Georgia should create a political organization of her own, in order that she may escape from the yoke of her enemies and lay a solid foundation for her free development.

Accordingly the Georgian National Council, elected by the national assembly of Georgia on November 22 (December 5), 1917, declares:

(1) In future the Georgian people will hold sovereign power and Georgia will be a State enjoying all the rights of a free and independent State.

(2) Independent Georgia's form of political organization will be a democratic Republic.

(3) In the event of international conflict Georgia will always remain neutral.

(4) The Georgian democratic Republic will apply itself to establishing friendly relations with all nations, and especially with neighboring nationalities and states.

(5) The democratic Georgian Republic offers to all inhabitants of her territory a wide field for free development.

(6) The democratic Georgian Republic guarantees to all citizens within her territory civil and political rights, without distinction of nationality, religion, social position, or sex.

(7) Until the convocation of the constituent assembly the National Council, with the addition of representatives of the minorities and the provisional government responsible to the National Council, is at the head of all Georgian administation".

On the 12th of March, 1919, the constituent assembly of Georgia confirmed the preceding act in the following terms:

„At its first sitting of the 12th of March 1919, the constituent assembly of Georgia, elected by citizens of both sexes, according to the direct, equal, universal, secret, and proportional electoral system, proclaims before the world and history that it fully confirms and approves the act of the Independence of Georgia, declared at Tiflis by the Georgian National Council, May 26, 1918".

ელექტრონული ბიბლიოთეკა




საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე
(1993-2003 წლები)

ედუარდ შევარდნაძე გაეროს მრჩეველია

É D O U A R D CHEVARDNADZÉ

"მომავალი ეკუთვნის დემოკრატიას".

ედუარდ შევარდნაძე – ჩვენი მრავალწახნაგოვანი, მრავალფეროვანი და მრავალფენოვანი ეროვნული და დიდი საერთაშორისო პოლიტიკური მოღვაწე, "ცივი ომის" თანაალმკვეთელი, საქართველოს რესპუბლიკური ხანის მესამე(1993-2003 წლები) პრეზიდენტი.

კ.ი., პარიზი, 2004 წლის 25 მაისი



INDEPENDENT GEORGIA






ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს დროებითი პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე
(2003-2004 წლები)

*Nino Burdschanadse*

ნინო ბურჯანაძე - საქართველოს დროებითი პრეზიდენტი(2003-2004 წლები) - არის ბრწყინვალე მეფეთა-მეფის თამარის დობილი, ქართველი ხალხის დედა; ამჯერად საქართველოს პარლემენტის და ამით ჩვენი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე.

კ.ი., პარიზი, 2004 წლის 26 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი
## President of Georgia Michael Saakashvili

„მზად ვარ, ჩემი სიცოცხლის ფასად აღვადგინო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. მზად ვარ ყველაფერი გავაკეთო, რათა შევინარჩუნო მშვიდობა, რათა ქართველი ხალხი მომავალში აღარასოდეს არავის მხრიდან აღარ გახდეს მსგავსი შანტაჟის ობიექტი, რათა საქართველოს ღირსება აღდგეს და მთელმა მსოფლიომ დაინახოს, რომ ჩვენ ვართ ერთიანი, ძლიერი ერი, რომელთანაც ასე აგდებულად ლაპარაკი შეუძლებელია.

"I am not Pro-American!.. I am not Pro-Russian!..
I am Pro-Georgian!.."

# საქართველო

"გეოგრაფია არის ერთადერთიკონსტანტური საგარეო ურთიერთობაში".

"Geographie ist die einzige Konstante der auswärtigen Beziehungen".





# საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

## უწმინდესი და უნეტარესი
## ილია მეორე

On December 25, 1979, the enthronization of the new Catholicos— Patriarch of All Georgia took place in the Patriarchal Cathedral of the Twelve Holy Apostols (Sveti-Tskhoveli).

ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმის შესახებ, ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ ჩვენი თავისუფლებისათვის, საქართველოს გადარჩენისათვის, საქართველოს და ქართველი ხალხის მთლიანობისათვის.

ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის I ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვიდან. 30 ოქტომბერი, 1994 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამების საკათედრო თაძარი



ხარებას, 2006 წლის 7 აპრილს – "ხარება ყოვლადწმინდისა ღმრთისმშობელისა" – წმინდა
სამების საკათედრო ტაძრის მიწისქვეშა სართულში გაიხსნა მარიამ ღვთისმშობლის ხარების
სახელობის ეკლესია, რომელიც აკურთხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა,
უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ. ამ ეკლესიის ჭერი ისეა შექმნილი, რომ მის ცენტრალურ
ნაწილში გუმბათის იმიტაცია იქმნება.

ამგვარად, სამების საკათედრო თაძარი თბილისში სულ უფრო სრულყოფილი ხდება. ტაძრის
სიმაღლეა 101 მეტრი; მისი მოცულობაა 135 000 კუბური მეტრი; ინტერიორში განლაგებულია 10
ეკლესია. კომპლექსში შედის ცენტრალური კარიბჭე, ივერიის ღვთისმშობლის და ილია თეზბიტელის
სახელობის ეკლესიები. 2005 წლიდან მიმდინარეობს 11 ჰექტარი მოცულობის ფართობის
კეთილმოწყობა; გრძელდება 1600 მეტრი სიგრძის გალავნის, კოშკებისა და მცირე კარიბჭეების
მშენებლობა.

წმინდა სამების საკათედრო ტაძრის წიაღში დაფუძნებულია მამათა მონასტრები;
ასაშენებელია სასულიერო აკადემია, საპატრიარქოს რეზიდენცია და ინფრასტრუქტურის სხვა
ობიექტები.

საკათედრო ტაძრის წინამძღვარია უწმინდესი და უნეტარესი ილია II–ე; წინამძღვრის
მოადგილეა არქიმანდრიტი ილია (ნასიძე).

ლია ჭილაძე-"ს.რ."-7.4.2006 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოხუმის დაპყრობის მე-13 წელი

**„სოხუმის დაცემის დღე — 27 სექტემბერი უნდა იქცეს სიკეთის, დაღუპულთა ხსოვნის, ძმობის, მეგობრობის, თანადგომისა და იმედის დღედ, რადგან აფხაზეთის ტრაგედია აღელვებს და სტკივა სრულიად საქართველოს".**

## ვითომ დგება იმპერიული რუსეთის "განკითხვის ჟამი?.."

I.

"რუსეთი მფლობელია უზარმაზარი ნაქურდალი საკუთრებისა, რომელთა უკან დაბრუნება მოუწევს მას განკითხვის ჟამს". და, ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის — ზბიგნევ ბჟეზინსკის ეს სიტყვები მომაგონდა ჩვენი აფხაზეთის დაპყრობის მე-13 წელთან დაკავშირებითაც, რადგან — აწ უკვე ძალპობის პროცესში მყოფი იმპერიული რუსეთი — მისი, ისედაც თვალუწვდენელი ტერიტორიის კიდევ კიდევ უფრო გადიდებას ლამობს ჩვენი აფხაზეთისა და შიდა ქართლის ტერიტორიებით — თითო-ოროლა აფხაზი თუ ოსი ექსტრემისტის ნილბით, რაც უკვე გრძელდება მე-13 წელია.

II.

ქართველთა გენოციდი, სხვადასხვა ფორმით, აფხაზეთსა და შიდა ქართლში, სადაც რუსეთის ეგრეწოდებული "სამშვიდობო ჯარი" ბატონობს, გრძელდება. მოსკოვის მარიონეტები აფხაზეთში, თითო-ოროლა აფხაზი და ოსი ექსტრემისტი, ყოველი ხერხით ხელს უშლიან, ჩვენს ამ ტერიტორიებზე პრობლემების უალტერნატივო მშიდობიან დარეგულირებას, რადგან მან უკან დგას რუსეთის შეიარაღებული ძალები და თვით რუსეთის საზღვაო ფლოტი; და ასეთ ავანტიურისტულ პოზიციაზე დგა რუსეთი, აგერ უკვე მე-13 წელიწადია.

III.

ამის შედეგია ის, რომ ამ ბოლო დროს, — აფხაზეთის კანონიერი ავტონომიური მთავრობის ოფიციალური ცნობით, — შესამჩნევად იმატა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ძალადობრივმა ფაქტებმა ეთნიკური ნიშნით. სისტემატიურ ხასიათს ღებულობს ქართველების გატაცება, დახვრეტა, წამება, დაყაჩაღება, რაც სხვა არაფერია თუ არა ოს თუ აფხაზ თითო-ოროლა ეხსტრემისტ-სეპარატისტთა მიერ 1992-1993 წლებში განხორციელებული და დღემდე მიმდინარე ქართველთა ეთნიკური წმენდისა და გენოციდის პროცესის კიდევ უფრო გაძლიერება და ახალი სოციალურ-ეკონომიკური დანაშაულის გარღმავება.

IV.

მიუხედავათ საქართველოს მხრიდან სამშვიდობო ინიციატივებისა, აფხაზი და ოსი ექსტრემისტები ყოველნაირად არღვევენ საერთაშორისო ნორმებით აღიარებულ აფხაზეთიდან და შიდა ქართლიდან ლტოლვილ და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებს, რომ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნდენ უსაფრთხოების პირობებში. ადგილობრივი სეპარატისტული რეჟიმი და რუსეთის ე.წ-ლი "სამშვიდობო ძალები" ცეცხლზე ნავთს ასხამენ და უკანონო შეიარაღებულ ბანდებს და კრიმინალურ ელემენტებს ხელსაც კი აფარებენ ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ მოქმედებაში. ამის მყვირალა დადასტურებაა, თუ გნებავთ, მიმდინარე წლის 5 მარტს ბედიის ეკლესიაში ქართველი ჟურნალისტების — თეა შარიას და ტარიელ სოხაძის — უკანონო დაპატიმრება-წამება, თუ სოფელ საბერიოში, 8 მარტს, ავტომანქანაში ოთხი ადამიანის ჩაცხრილვა, რომელთა შორის ერთი მცირეწლოვანი ბავშვიც კი იყო.

V.

და ყველა აღნიშნული (და არაღნიშნული) ფაქტების ფონზე, რა გასაკვირია, რომ საქართველოს პარლამენტმა შეწყვიტა შიდა ქართლში შესასვლელი ვიზების გაცემა რუსეთის ე.წ-ლი სამშვიდობო ჯარის ნაწილების სალდათებზე, რაზედაც რუსეთის პრეზიდენტმა — ვლადიმერ პუტინმა — აზერბაიჯანში ვიზიტის დროს (22.3.2006) განაცხადა: "თუ ვინმე ფიქრობს, რომ ასეთი პრობლემები შეიძლება მოგვარდეს გარეგანი მტრების მოძებნით, ეს არის მცდარი გზა".

VI.

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია: ნუთუ რუსეთის ახლანდელმა პრეზიდენტმა არ იცის, რომ ყველა პრობლემა, ვიმეირებთ ყველა პრობლემა მოგვარდება არა მარტო საქართველოში და ამით კავკასიაში, რომ კრემლი ხელს აიღებდეს მის აწ უკვე დამყაყებულ, ძირმომპალ იმპერიულ პოლიტიკაზე, რომლის მიზანია საქართველოს დანაწევრება "დაანაწილე და იბატონეს" იმპერიული წესით, რომელსაც ყველაზე უფრო ღიათ, იმპერიულად სსრკ-ას კომპარტიის იდეოლოგი, სინამდვილეში კი რუსი დიდმპყრობელ-შოვინისტ-რასისტი ამბობდა — (იხილეთ ამავე ნომერში "სუსლოვის სული"):

VII.

"...საქართველოსთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარას და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხური ეროვნული გრძნობა. დასავლეთი საქართველო უნდა დაუპირისპიროთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათს შორის მომრიგებლის ფუნქცია უნდა შევასრულოთ. პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს".

VIII.

და, კრემლის ამგვარი დრომოჭმული იმპერიული პოლიტიკა ხელს ხომ არ უწყობს რუსეთის „განკითხვის ჟამის" მოახლოებას არა მარტო საქართველოს, არამედ საერთოდ კავკასიის მიმართაც?..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2006 წლის 17 მარტი

## მდგომარეობა აფხაზეთში ამჟამად

I.

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უმაღლესი საბჭო, 2006 წლის 1 მარტის ცნობით, — მხარს უჭერს რა საქართველოს მთავრობის აფხაზეთის პრობლემის მშიდობიანი დარეგულირების უალტერნატივო კურსს — ამავე დროს ღრმად შეშფოთებულია სეპარატისტთა მიერ კონტროლირებად აფხაზეთის ტერიტორიაზე სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავებით, რომლის დროს სისტემატური ხასიათი მიიღო ქართველების გატაცების, დახვრეტის, წამების, დაყაჩაღების ფაქტებმა; ქართველთა ეთნიკური წმენდისა და გენოციდის პროცესის კიდევ უფრო გარღმავებამ. რუსეთის ე.წ-ლი "სამშვიდობო კონტიგენტი" აფხაზეთში კი, გვერდში უდგას სეპარატისტთა მილიციას, რაც კიდევ უფრო ართულებს ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობის მდგომარეობას.

II.

ამგვარად, ჩვენს აფხაზეთში, სეპარატისტების ზონაში, 1992-1993 წლების მსგავსად, გრძელდება ქართველთა დევნა-წამება. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პაატა დავითაიამ ქართველთა გენოციდისა და ეთნოწმენდის შესახებ აფხაზეთში, ჰააგის სისხლის სამართლის საერთასორისო სასამართლოში განაცხადი შეიტანა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი აფხაზეთის იუსტიციის მინისტრი იყო. 2004 წლის 22 ივნისს პაატა დავითაიამ ჰააგის სასამართლოდან მიიღო წერილი ცნობით, რომ საქმის წინასწარი დამოკვლევა უკვე დაიწყოო, რის შესახებ 21 მარტს, 2006 წელს, დავითაიამ თბილისში, "ახალი ამბების" პრეს-კლუბში, განაცხადა, რომ მის განაცხადს — საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის მე-6 და მე-8 მუხლების თანახმად — გენოციდისა და სამხედრო დანაშაულის კვალიფიკაცია მიეცა. დავითაია ამბობს, რომ ახლა ჯერი საქართველოს ხელისუფლებაზე მიდგა: თუ ჩვენი მთავრობა მტკიცებულებებს მიაწვდის ჰააგის სასამართლოს, რუსეთს სამშვიდობო მანდატი ჩამოერთმევა, რადგან ის აფხაზეთის კონფლიქტში ნეიტრალური მხარე არ არის, რასაც უნდა მოყვეს ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს კრიმინალური მტკიცებულები ტურამბას, მუთამბასა და რაულ ხანჯიბას წინააღმდეგ.

42684

III.

ამავე დროს, დიდმპყრობელ-შოვინისტები ყოველი მხიდან უტევს საქართველოს, რომლის დროს რუსეთის პრეზიდენტი — ვლადიმერ პუტინი — ისე ლაპარაკობს შიდა ქართლისა და აფხაზეთზე, რომ თვით რუსეთი, ამ ხელოვნურად შეკოწიწებულ თითქოს ეთნოკონფლიქტში, უდანაშაულო "მამა აბრამის ბატკანი" იყოს, როცა ამბობს:
"თუ ვინმეს სჯერა, რომ ასეთი პრობლემები შეიძლემა მოგვარდეს გარეშე მტრების ძებნით, ეს არის მცდარი გზა".

ვლადიმერ პუტინი, ამავე დროს, ყოველი ძალღონით ცდილობს ხელოვნურად გაამწვავოს მდგომარეობა საქართველოში მუდმივად მცხოვრებ არაქართველებსა და ქართველებს შორის არა მარტო შიდა ქართლსა და აფხაზეთში.

IV.

წარმოიდგინეთ, ამ დიდმპყრობელურ-შოვინისტურ ვაი-მოქმედებაში, რუსეთი საქართველოში მცხოვრებ სომხებსაც კი მოხერხებულად იყენებს, როცა, ეს უმადური სომხების ექსტრემისტები, ჩვენს ჯავახეთში საქართველოს სწორედ იმაში დებს ბრალს, რაც მათ რუსეთის იმპერიის მხარდაჭერით, მოიმოქმედეს ქართველების მიმართ:

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის "დერჟი-მორდებმა" ჯერ განდევნეს ქართველობა ჯავახეთიდან, და შემდეგ იქ ჩაასახლეს მათი ერგული სომხობა, და ახლა — თუ თითო-ოროლა ქართველი დასახლდება ამ ძველთა-ძველ ქართულ მიწაზე, ეს ყოფილა "ეთნიკური თანაფარდობის" დარღვევა!..

V.

"პრეზიდენტი" ედუარდ კოკოითი კი ისევ ცდილობს ჩვენი შიდა ქართლის "შეერთებას რუსეთთან"; ეს თითქოს არ კი იცის რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა. ამან გამოიწვია ეუთოში აშშ წარმომადგენლის — ჯული ფილნის — შემდეგი განცხადება:

"შეერთებული შტატები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას და ამ პრინციპების საფუძველზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მშიდობიან მოგვარებას".

ევრო კავშირიც ამავე გზაზე დგას, როგორც ეს განაცხადა იტალიის ელჩმა რუსეთში — ჯანფრანკო ბონეტიმ, რომელმაც (23.3.2006) განაცხადა, რომ "...რუსეთს ამჟამად აქვს ყველაზე ხელსაყრელი მდგომარეობა იმისთვის, რომ თავის საზღვრებზე განახორციელოს მასტაბილიზებელი პოლიტიკა".

VI.

ვითომ ამისაკენ ხომ არ მიგვითითებს საქართველოს დევნილთა და განსახლების მინისტრის —გიორგი ხევიაშვილის მიერ — "ჩემი სახლის" საპრეზიდენტო პროგრამის განხორციელების დაწყება, რის სფეროში უნდა მოხდეს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ლტოლვილთა უძრავი ქონების აღრიცხვა?..
მით უმეტეს, რომ "ჩემი სახლის" საპრეზიდენტო პროგრამის განხორციელებაში უკვე ჩაბმულნი არიან საქართველოს რამდენიმე სამინისტრო და აფხაზეთის მთავრობა?..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2006 წლის 5 აპრილი

## რუსეთთან კეთილმეზობლობა გვსურს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მიილტვის რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისაკენ; აი, ამონაწერები მისი გასული თვის (2006 წელი) გავცხადებებიდან:

"ჩვენ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება გვსურს და ამისთვის ბევრი ნაბიჯი გადავდგით. რუსეთის ბაზები არის იმპერიული და საბჭოური გადმონაშთი, რასაც ორი ქვეყნის კონსტრუქციულ ურთიერთობასთან არანაირი კავშირი არ აქვს", - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

სამშაბათი, 4 აპრილი, 2006 წელი

საქართველო რუსეთს არსად არ გაექცევა და ვერც შეძლებს მისგან გაქცევას, ძალიანაც რომ მოისურვოს. ყველაფერს ვიღონებ იმისთვის, რუსებმა რომ იგრძნონ, რომ მათ ზურგსუკან არის არა რაღაც გაურკვეველი ტერიტორია, მით უმეტეს, მტერი ან მოწინააღმდეგე, არამედ მეგობარი და სტრატეგიული მოკავშირე. მაგრამ, ბუნებრივია, ასეთი ურთიერთობის დროს ჩვენ თავს კომფორტულად უნდა ვგრძნობდეთ.

ოთხშაბათი, 5 აპრილი, 2006 წელი

"არ არსებობს საკითხი, რომელიც კონსტრუქციული დიალოგისა და მოლაპარაკების გზით არ მოგვარდეს რუსეთთან".

ოთხშაბათი, 5 აპრილი, 2006 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვითომ დაკარგული და დასაკარგი მოწები?..

ბატონ ზვიად ფოჩხუას ეს ცნობა ამოღებულია "ინტერნეტიდან" (4.4.2006 წელი), რომელშიც მოყვანილია ქართველთა გენოციდის ფაქტები ჩვენს აფხაზეთში 1992 წლიდან დღემდე. აი, ეს ცნობები:

## "დაკარგული და დასაკარგი მიწები"

### ქართველთა გენოციდის ფაქტები, რომლებსაც გაერო მალავს: გაეროს ბრალდებებს წაუყენებენ

გაერო საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სერიოზული კრიტიკის ქვეშ ექცევა. ადამიანთა უფლებების დაცვის საპარლამენტო კომიტეტი აქვეყნებს მასალებს რომლებმაც შესაძლოა გაეროს შერყეულ რეპუტაციას დამატებითი პრობლემები შეუქმნას. საპარლამენტო კომიტეტის მასალები აფხაზეთში 1992 წლიდან დღემდე განხორციელებულ ეთნიკური წმენდას და მათში რუსული ძალების მონაწილეობის ფაქტებს ადასტურებენ. მთავარი ბრალდება, რომელსაც, სავარაუდოდ, გაეროს მისი წევრი ქვეყნები წაუყენებენ, აღნიშნული ფაქტების მიჩქმალვაა.

1994 წელს, ეუთომ, ბუდაპეშტში გამართულ შეხვედრაზე, აფხაზეთში განვითარებული მოვლენები ეთნიკურ წმენდად შეაფასა.

გაეროს, რომელიც ბოლო ათი წლის განმავლობაში აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში მთავარ როლს თამაშობს და კონფლიქტის ზონაში 100-ზე მეტი სამხედრო დამკვირვებელი ჰყავს, არცერთ დოკუმენტში არა აქვს დაფიქსირებული ქართული მოსახლეობის გენოციდი.

ოფიციალური მონაცემებით, გაეროს მისიის საქართველოში მუშაობის პერიოდში 3 ათასამდე ქართველი მოქალაქე სეპარატისტთა მხრიდან ეთნიკური წმენდის მსხვერპლი გახდა. ათასობით ადამიანი სასტიკი წამებით მოკლეს. 1998 წელს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული სადამსჯელო ოპერაციის შედეგად, 60 ათასი ქართველი იძულებული გახდა ხელმეორედ დაეტოვებინა საკუთარი მიწა-წყალი.

ოფიციალურად დადასტურებულია, რომ სადამსჯელო ოპერაციაში რუსეთის სამშვიდობო ძალებმა მიიღეს მონაწილეობა. არცერთი ფაქტი არ არის დაფიქსირებული გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებასა და გაეროს სხვა წარმომადგენელთა ანგარიშში. გაეროს მისია დღესაც ხელს აფარებს რუსეთის სამშვიდობო ძალებს, რომლებიც სეპარატისტთა მხარდაჭერასთან ერთად, იარაღით ვაჭრობაშია ჩაბმული.

თავად გაეროს მისიის დანაშაულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, ჯორჯიან ტაიმსში გამოქვეყნებულ გამოძიებებს, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი, დიტერ ბოდენი "საქართველოს შიდა პრობლემად" მიიჩნევს და ბრალდებებს არ პასუხობს.

ადამიანის უფლებების დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის, ელენე თევდორაძის მოხსენება ნათელს ჰფენს აფხაზეთში ეთნიკური წმენდის ფაქტებს და მათ მიმართ გაეროს ცინიკურ დამოკიდებულებას. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც გენოციდის ამსახველი მასალები ოფიციალური სახით ქვეყნდება.

გენერალური პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების მასალების (100 მდე ტომი) გაეროში გატანა, დღემდე, თავად საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების მიერ იბლოკებოდა.

"ქართული მოსახლეობის გენოციდი აფხაზეთში ხორციელდებოდა (და ხორციელდება) ეტაპობრივად, ძირითადად შემდეგი თანმიმდევრობით: 1992 წლის აგვისტოდან - 1992 წლის 2 ოქტომბრამდე გუდაუთის ზონაში. 1992 წლის 2 ოქტომბრიდან 1993 წლის 16 სექტემბრამდე გაგრის ზონაში. 1993 წლის 16 სექტემბრიდან სოხუმის, ოჩამჩირის, გალისა და ტყვარჩელის რაიონებში.

1992 წლის 14 აგვისტოს, სოფელ ახალსოფელში, აფხაზმა სეპარატისტებმა 70 წლის ინდიკო გრძელაძეს ამოაჭრეს გული, ბორის თოფურია მოკლეს და შემდეგ დაწვეს, ნაწილებად აკუწეს ელგუჯა მაისურაძე, 65 წლის ნიკოლოზ კვაბზირაძე ტრაქტორს მიაბეს და წამებით მოკლეს, საკუთარ საწოლში ჩახოცეს ცოლ-ქმარი ნადარეიშვილები. აგვისტოში, სოფლებიდან ოთხარა, ლიხნი და ქალაქ გუდაუთიდან განდევნილ იქნა 5 ათასზე მეტი ქართველი მოქალაქე.

1992 წლის 2 ოქტომბერს, გაგრაში, სეპარატისტებმა გაგრის სტადიონზე შეყარეს ასობით ქართველი. მათ თავი მოაჭრეს რამდენიმე ქართველ მოქალაქეს და მათი თავები აბურთავეს. დახვრიტეს ქალაქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე. მთლიანად ამოწყვიტეს ჩხეტიების, კუციების და გვაზავების ოჯახები. გვამები წაიღეს და დამარხეს ქალაქის სანაგვეზე.

1992 წლის 6 ოქტომბერს აფხაზმა სეპარატისტებმა სოფელ ლესელიძეში ჯერ აწამეს, შემდეგ ელექტრობოძზე ჩამოკიდეს 50 ქართველი მოქალაქე.

1993 წლის 28 ივლისს ახალსოფელში მოკლეს 7 ადამიანი. 27 ივლისიდან 16 სექტემბრამდე 40 ადამიანი. მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოის, 10 წლის თამუნა კიკვაძე და 15 წლის ზაზა შეთელი.

გულრიფშში 1993 წლის ივნისში დახვრიტეს 65 წლის გ. ბენდელიანი. შიოფელ კუტაკში 67 წლის მარო წოწორია. შოფელ ბაბუშერაში დახვრიტეს 91 მშვიდობიანი მოქალაქე. შოფელ მაჭარაში დახვრიტეს საქართველოს პარლამენტის წევრის ანზორ წოწონავას მშობლები - დავით და ცუცა წოწონავები (80 და 75 წლის).

სოხუმში, კურჩენკოს პარკში დახვრიტეს 400-მდე ქართველი მოქალაქე. გალის რაიონში 1993 წლის 27 ივლისს დადებული სამშვიდობო შეთანხმებიდან დღემდე დანგრეულია მრავალი ქართველი ეროვნების მოქალაქის სახლი, კერძოდ: სოფელი ზემო ბარღები - 490, სოფელი მზიური - 159, სოფელი ქვემო ბარღები - 313, სოფელი გუდავა - 410, სოფელი ოქუმი - 610 და ა.შ. სულ - 6758 სახლი.

ამ ფონზე გაერომ 1993 წელს მიიღო ორი რეზოლუცია (#876 და #892), რომლითაც დაგმო აფხაზური მხარის მიერ 1993 წლის 27 ივლისს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღებული ხელშეკრულება. და მეორე, რომლითაც მოუწოდებს ორივე მხარეს შეასრულონ 1993 წელს ნაკისრი ვალდებულებანი.

1994 წლის იანვარში გულრიფშის რაიონის სოფელ ფშაფში სეპარატისტებმა დახოცეს 53 ადამიანი და გადაწვეს ქართველთა 75 სახლი. ამავე წლის 10 მაისს სოფელ ოქტომბერში საკუთარ სახლში ცოცხლად დაწვეს 80 წლის სონია ცაავა. 17 აგვისტოს სოხუმში დახვრიტეს კაკო ბარამია და მისი მეუღლე.

სოფელ პირველში ცოცხლად დაწვეს 22-23 წლის ცოლ-ქმარი გასაშვილები. ამავე სოფელში დახვრიტეს ცოლ-ქმარი რეჭიები.

გალის რაიონში, აფხაზმა სეპარატისტებმა საკუთარ სახლში დაწვეს ხუნწარიების ოჯახის 5 წევრი. ამავე სოფელში ურემს მოაბეს და ცეცხლმოკიდებულ სახლში შეაგორეს სოფლის მკვიდრი დავით ლატარია. სოფელ ოქუმში საკუთარი ხელით საფლავი გაათხრევინეს და შემდეგ იქ ცოცხლად დამარხეს სალიკო ფარფალია.

ამავე სოფელში გააუპატიურეს და დახვრიტეს 17-19 წლის დები ნატო და ნინო პოლიტავები.

სოფელ განახლებაში, 38 წლის ზაურ წარაღბაიას ჯერ მოაჭრეს ენა, შემდეგ ყური, წააგლიჯეს ფრჩხილები და ასე დახვრიტეს.

ამ ფონზე გაერო იღებს ორ რეზოლუციას (#934 და #937), რომლითაც მიესალმება დსთ-ს მიერ კონფლიქტის ზონაში დახმარების გაწევას და უგრძელებს გაეროს მისიას მანდატს.

ასევე, კიდევ ერთხელ აღიარებს საქართველოს სუვერენიტეტს და მოუწოდებს მას მოლაპარაკებებისკენ.

ამავე წელს, დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, რომლითაც რუსეთის სამშვიდობო ძალებს კონფლიქტის განვითარებისათვის ხელის შეშლას ავალდებულებს.

1995 წელს აფხაზმა სეპარატისტებმა დაახრჩვეს გულრიფშის რაიონის მკვიდრი მარო და მონუცა ნიკოლავები, მარო რუხაია. 14 სექტემბერს სოფელ ბაბუშერაში მოკლეს 63 წლის ვახტანგ გეგელია.

2 მაისს, სოფელ კონსტიტუციაში დახვრიტეს ქართველი მოქალაქე, ამავე სოფლის მხვიდრის, 60 წლის ვანო მინჯია.

1995 წლის 2 აპრილს გალის რაიონის სოფელ დიხაზურგაშიწმენდის ოპერაცია ჩაატარა აფხაზ ბოევიკთა ჯგუფმა. ამ ოპერაციაში მონაწილეობა მიიღო რუსეთის სამშვიდობო ძალების 2-მა ჯავშანმანქანამ.

ამ ფონზე გაერომ მიირო ორი რეზოლუცია(#971 და #993) რომლითაც შეშფოთება გამოთქვა პროგრესის არარსებობის გამო და მოუწოდა მხარეებს დააჩქარონ დევნილთა დაბრუნება. ასევე, შეშფოთება გამოთქვა გალის რაიონსი მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმების გამო.

1996 წელს გალის რაიონის სოფელ შეშელეთში წამებით მოკლეს სანაიების ოჯახოს ყველა წევრი და მათ დასახმარებლად მისული 2 მეზობელი.

9 დეკემბერს, გალის რაიონის სოფელ რეფში, აფხაზმა სეპარატისტებმა დახვრიტეს არახამიების ოჯახი: ოჯახის უფროსი ომარ არახამია, მისი 20 და 22 წლის ქალიშვილები, 21 წლის ვაჟი მძიმედ დაჭრეს.

ამ ფონზე, გაერომ, რეზოლუციით (#1036) შეშფოთება გამოთქვა გალის რაიონში ძალადობის ფაქტების გამო. დაგმო ეთნიკურ მკვლელობებს და ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტებს. მოუწოდებს აფხაზურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელისუფლებას (რომელსაც დღემდე არ აღიარებს საერთაშორისო საზოგადოება) უზრუნველყოს მოქალაქეთა უსაფრთხოება.

1996 წელს, ლისაბონში, ეუთოს უმაღლესი დონის შეხვედრაზე, ეუთომ დაგმო აფხაზეთში ეთნიკური წმენდა, რომელიც ხორციელდება ძირითადად ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ.

1997 წელს დახვრიტეს 23-ზე მეტი ქართველი მოქალაქე.

ამავე წელს გაეროს უშიშროების საბჭო დაპირისპირებულ მხარეებს, კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარებისკენ მოუწოდებს. #124 რეზოლუციაში გმობს ძალადობას, რომელსაც აქვს ადგილი გალის რაიონში. უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე აკეთებს განცხადებას, რომლითაც გმობს გაეროს თანამშრომელთა გატაცების ფაქტს (გაიტაცეს ტერიტორიაზე, რომელიც კომპაქტურად არის დასახლებული დევნილებით).

1998 წელს:

სოფელ სიდაში, მაისში დახვრიტეს ხურცილავა ნუგზარი-45 წლის, 35 წლის ანთია გვაჯი, 62 წლის ამირან ხურცილავა, 53 წლის ქარჩავა რეზო დაწვეს ცოცხლად. ამავე დრეს დახვრიტეს ეზუგბაია სურა (მუნჯი).

სოფელ თაგილონში, 23 მაისს დახვრიტეს ხურცილავა ლუსია, 75 წლის შუბლაძე ბუცა.

სოფელ ოტობაიაში - 6 მაისს დახვრიტეს აზესაძე მიტუშა, 26 მაისს (საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს) ცოცხლად დაწვეს 103 წლის დურუ ტაბაღუა. 23 მაისს დახვრიტეს ძაძუა ფრიდონი.

სოფელ ფიჩორში: 2 ივნისს დახვრიტეს 60 წლის ბულისკირია ლილი. 26 მაისს წამებით მოკლეს ბოჩია მეფორია.

და ა.შ.

1998 წლის 27 აპრილს აფხაზმა ბოევიკებმა დაარბიეს ქართული სოფლები. ამ ოპერაციაში მონაწილეობდნენ რუსული ჯავსანტრანსპორტიორები.

1998 წლის 20 მაისს გამთენიისას, აფხაზმა სეპარატისტებმა, რუსული ჯავშანტრანსპორტიორების თანხლებით დაესხნენ მშვიდობიან მოსახლეობას.

ამ ფონზე, გაერომ, #1150 რეზოლუციით შეშფოთება გამოთქვა დემოგრაფიული ცვლილებების გამო.

2000 წელს კვლავ დაფიქსირდა ქართული მოსახლეობის გენოციდი. იმავე წელს გაეროს უშიშროების საბჭო #1287 რეზოლუციით "მიესალმება და იწონებს გაეროს ძალისხმევას, შიდსისა და სხვა გადამდებ დაავადებებთან დაკავშირებით, გაეროს მისიის პერსონალის ინფორმირებასთან დაკავშირებით".

2001 წელს კონფლიქტის ზონაში დაფიქსირდა ქართველთა მკვლელობის 39 ფაქტი.

მძევლად აყვანის 16 ფაქტი.

გატაცების 17 ფაქტი.

ამ ფონზე გაეროს მიერ მიღებული რეზოლუცია იგივე შინაარსისაა.

ის შეშფოთებას გამოთქვამს კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში პროგრესის უქონლობის გამო."

2002 წლის დეკემბერში გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ელჩებმა, 2 წლიანი მუშაობის შემდეგ დაპირისპირებულ მხარეებს (ქართული და თვითაღიარებული აფხაზური ხელისუფლება) აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსთან დაკავშირებული დოკუმენტი წარუდგინეს. აფხაზურმა მხარემ უარი თქვა მის განხილვაზე.

გაერო წარმომადგენლები ფარულად აცხადებენ, რომ სეპარატისტთა მიმართ რადიკალურ ზომებს რუსეთთან დაპირისპირების შიშით ვერ იღებენ. გაეროს მისიის საქართველოში მუშაობის განმავლობაში, აფხაზეთში დარჩენილი ქართული მოსახლეობის რიცხვი კიდევ უფრო შემცირდა.

მასალაში გამოყენებულია საქართველოს ადამიანთა უფლებების დაცვის, საპარლამენტო კომიტეტის მიერ მომზადებული მოხსენება.

[illegible] 4.4.2006 წ

## "სუსლოვის სული"

მიხეილ სუსლოვი (1902-1982) იყო რუსეთის ბოლშევიკური პარტიისა და ამით სსრკ-ს კომპარტიის იდეოლოგი, რომელსაც 80-იან წლებში გაუკეთებია „დახურული მოხსენება", რომელშიც იგი ამჟღავნებს მის დიდმპყრობელ-შოვინისტურ, ანუ რასისტულ მრწამსს საქართველოსა და ქართველი ერის მიმართ. სუსლოვი ამბობს :

„კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ ეს წებო თავის ძალას, თავის თვისებას არდაკარგავს, მანამდე უნდა ავამუშაოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა, რომელიც სხვადასხვა რესპუბლიკებში სხვადასხვა იქნება.

შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩამოსასახლებლად გვჭირდება შავი ზღვის სასაზღვრო ტერიტორია, სადაც როგორც მოგეხსენებათ ქართველები ცხოვრობენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან, ადრე თუ გვიან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთის, აჭარისა და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ ეროვნული გრძნობა. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის ფუნქცია უნდა შევასრულოთ. პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდა ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს".

## "L'âme de Souslov"

Dans son édition du 30 octobre 1999 le journal << La République de Georgie >> a fait paraître un article détaillé, article dans lequel Vakhtang Abashidze, directeur des relations de presse du président, écrit qu'il existe aujourd'hui en Géorgie une menace de renaissance de << l'âme de Souslov >>

Dans cet article, une explication est fournie sur la signification de cette soi-disant << âme de Souslov >>. MikheiilSouslov (1902-1982) était ce qu'il convient d'appeler l'idéologue du parti bolchévique de Russie et du parti communiste d'URSS.

Mikheiil Souslov a fait, dans les années 60 une << conférence à huis clos >> au cours de laquelle il a justifié sa grande conviction expansionniste chauvin et raciste, est-il besoin de le rappeler, à l'encontre de la nation géorgienne.

Voici ce que Souslov nous dit:

"Le parti communiste est le ciment de la Russie et nous devons oeuvrer pour un plan de sauvegarde de la Russie, avant que celui-ci ne perde sa force et sa nature même, plan qui sera différent selon la République à laquelle il s'adressera.

Nous devons permettre à nos Généraux d'Extrême Orient de continuer à avoir des conditions de vie << normales >>.

Pour procéder à leurs rapatriements, nous avons besoin des territoires situés au bord de la Mer Noire où vivent, comme vous le savez, les Georgiens.

Nous devons tenir compte du fait que les Géorgiens se différencient fortement de nous, et que tôt ou tard, ils poseront la question de l'indépendance et de la liberté.

Nous devons commencer à les affronter en Abkhazie. En profitant de l'Abkhazie nous accorderons l'indépendance à la Mingrélie, la Svanéthie et l'Adjarie. Nous raviverons ainsi les sentiments provinciaux et nationaux entre eux.

Nous devons dresser la Géorgie Occidentale contre la Géorgie Orientale et jouer le rôle de conciliateurs.

Nous devons simultanément persuader scientifiquement les Géorgiens qu'ils sont issus de pays divers et qu'ils sont les représentants de diverses nations ce qui nous donnera la possiblité de les chasser définitivement du territoire géorgien".

## "სუსლოვის სული"

ვითომ აწ უკვე დემოკრატიული რუსეთი შეძლებს უარი თქვას მიხეილ სუსლოვის ამგვარ რასისტულ პოლიტიკაზე საქართველოს მიმართ?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

## მიმართვა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს!..

ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში
Chateau de Leuville
10, rue Jules Ferry
91319 – Leuville sur Orge
France

პატივცემულო თანამემამულენო,

ქართული ეროვნული საბჭო მოგიწოდებთ თქვენ, უცხოეთში დროებით თუ მუდმივად მცხოვრებ ქართველობას, ა ქ ტ ი უ რ ა დ ჩაებათ საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების ან ახალი პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობა-შექმნაში.

საქართველოში არსებული სახელმწიფო ორგანიზაციის "საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის ცენტრის" ცნობით, საქართველოდან 1991 წლის 9 აპრილიდან, როცა საქართველომ 1918 წლის 26 მაისის "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" საფუძველზე, ისევ აღადგინა დამოუკიდებლობა და სუვერენობა, – საქართველოდან წავიდა უცხოეთში, განსაკუთრებით ევროპა-ამერიკაში, დაახლოებით ერთ მილიონზე მეტი საქართველოს მოქალაქე, რაც "არც ძალიან კარგი და არც ძალიან ცუდია", რადგან "ისინი უპენსიოთ და უხელფასოთ დარჩენილ ოჯახებსა და ნათესავებს ეკონომოკურად ეხმარებიან, და თანაც ცოდნასა და გამოცდილებას იღებენ, და მათი დიდი უმრავლესობა ისევ სამშობლოში დაბრუნდება".

გასაკვირია მხოლოდ ის ფაქტი, რომ – საქართველოს 1921 წლის პოლიტიკური ემგრაციისაგან განსხვავებით, რომლის დასაბამი გახდა 1921 წლის 17 მარტი, როცა რუსეთმა დაიპყრო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, – ეს ჩვენი უახლესი ქართული ემიგრაცია თავს არიდებს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიებში გაერთანებას, თუ ახალი პარტია-ორგანიზაციების შექმნას და მის მოღვაწეობაში აქტიური მონაწილეობის მიღებას, რაც ნათლად ქვეყნდება უახლესი ქართული ემიგრაციის აწ უკვე მრავალ ჟურნალ-გაზეთში.

და ასეთ შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე იმ დროს, როცა ევროპა-ამერიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები ნათლად ხედავენ, რომ – დემოკრატიული პოლიტიკური პარტიების ჭიდილის გარეშე, შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების და ამით დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა, რომელიც ეყრდნობა უცვლებრივი სახელმწიფოს სამ სვეტს: დემოკრატიული გზით არჩეულ მთავრობას, კანონმდებლობას და მართლმსაჯულებას.

ამიტომ უცხოეთში არსებული ქართული ეროვნული საბჭო მოგმართავთ, მოგიწოდებთ თქვენ, უცხოეთში დროებით თუ მუდმივად მცხოვრებ თანამემამულეებს, ა ქ ტ ი უ რ ა თ ჩაებათ საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობაში თუ ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნაში, რის სანიმუშო მაგალითი მოგვცა, თუ გნებავთ, უცხოეთში დაბადებულმა და აღზრდილმა ჩვენმა თანამემამულემ ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა, რომელიც ჯერ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა და ახლა პოლიტიკური პარტიის – "საქარველოს გზის" – ლიდერია; უდავოა, მისი მაგალითი წასაბაძია.

მოგაგონებთ: ემიგრაციაში, უკვე ოთხოც წელზე მეტია, განაგრძობს მოღვაწეობას სსდპ საზღვარგარეთელი ბიურო და მისი ახლანდელი პერიოდული ორგანოს "მესამე დასის" რედაქცია; ანალოგიურია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწეობა განსაკუთრებით პარიზში.

მაშ, მოგიწოდებთ თქვენ, უახლეს ემიგრაციის აწ უკვე ათასობით თანამემამულესა და ჩვენი სათვისტომოებს ხელმძღვანელობას – აქტიურად ჩაებათ საქართველოს პოლიტიკური პარტიების დემოკრატიულ ჭიდილში უცხოეთშიც, რომ შევძლოთ ისეთი სანიმუშო დემოკრატიული საზოგადოებისა და სახელმწიფოს შექმნა, როგორიც გაგვაჩნდა 1918-1921 წლებში, რამაც განცვიფრება გამოიწვია დასავლეთ ევროპის მაშინდელ დემოკრატიულ ქვეყნებში.

პატივისცემით, კარლო ინასარიძე

კარლო ინასარიძე

ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე უცხოეთში

[illegible] 2006 [illegible] 26 [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## "სატირალია სასაცილო რომ არ იყოს!"

**კრემლი და ქართული არა მარტო ღვინო**

I.

"სატირალია რომ სასაცილო არ იყოს!" – ასეთ სათაურს ვაძლევთ ამ შენიშვნას, მაგრამ ჯერ დავიწყოთ "სასაცილოთი" – რომ სატირალი არ იყოს:

ინტერნეტის ჯგუფმა – "რეაქცია" – რუსეთის საელჩოს წინ, თბილისში, 2006 წლის 19 აპრილს, მოუწოდა საზოგადოებას "რეაქციულად" დალიეთ ქართული ღვინო! ამ აქციის მონაწილეებმა რუსეთის საელჩოს წარმომადგენლებიც მოიწვიეს, თუმცა ამ საელჩოდან არავინ გამოსულა.

ინტერნეტის ამ ჯგუფმა კი განაცხადა: "ამ აქციით გვინდა გავიგოთ, რამდენი გრადუსი პოლიტიკა არის ქართულ ღვინოში."

II.

"სატირალი" კი გაცილებით უფრო მეტია: კრემლი – განაგრძობს რა ნედლი მასალის იმპერიალიზმს განსაკუთრებით საქართველოს მიმართ – ცალმხრივად შეწყვეტს ხოლმე, როცა მოისურვებს, ენერგიის ექსპორს საქართველოში, სამომხმარებლო საგნების იმპორტს რუსეთში, თუ ვიზების გაცემა-არგაცემას, ხოლო მისი ე.წ-ლი "სამშვიდობო ჯარებით" განუკითხავად ბატონობს ჩვენს აბხაზეთსა და შიდა ქართლში; და ახლა ყველა ამ ღონისძიებას დაუმატა კრემლმა ქართული ღვინის იმპორტის აკრძალვა რუსეთში.

III.

ავვარად კრემლმა – თუ "ნეზავიმისაია გაზეტას (18.4.2006 წელი) ექსპერტის აზრს გავიზიარებთ – ისევ შეტოპა "კავკასიურ უფსკრულში".

"რა თქმა უნდა, ეს სანქციები დააზარალებს საქართველოს, მაგრამ იგი არ დაინგრევა და ადრე თუ გვიან, მაინც ჩამოყალიბდება როგორც სახელმწიფო, მაგრამ უკვე რუსეთის დახმარების გარეშე. და მაშინ ჩვენ ერთმანეთისგან გადვაშორებს არა მარტო კავკასიის მთები, არამედ ძალზე ღრმა უფსკრულიც. ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთის სახელმწიფო ინტერესები კავკასიაში გაცილებით უფრო დიდი და მნიშვნელოვანია, ვიდრე საქართველოს ინტერესები რუსეთში."

IV.

ამიტომ, "სასაცილო" კი არა, "სატირალია", რომ კრემლი ისევ განაგრძობს დიდმპყრობელურ-შოვინისტურ პოლიტიკას საქართველოს მიმართ, თუმცა შეუძლებელია კლემლამდე ჯერ კიდევ ვერ მიაღწია იმ ჭეშმარიტებამ , რომ იმპერიების ხანა ისტორიას ჩაბარდა.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2006 წლის 7 მაისი

## "კლიპი" = "ამონაჭერი"

"ამონაჭერის" = "clip" = "კლიპის" სახით ვაქვეყნებთ ამონარიდს გაზეთ "მოსკოვსკი კომსომოლეციდან" (6.5.2005 წ.), რომელშიც ვკითხულობთ.

ციფრები ისეთია, გული მართლაც გადაგიქანდებათ. ალკოჰოლური მოწამვლით 1999 წელს რუსეთში დაიღუპა 30 ათასი კაცი, 2000 წელს - 34 ათასი, 2001 წელს - 38 ათასი, 2002 წელს - 40 ათასი, 2003 წელს - 41 ათასი... ამის გამგონე, უთუოდ იტყვი, - ეს ქართული და მოლდავური ღვინოები სათოფეზე გასაკარებელი ნამდვილად არა ყოფილაო, მაგრამ... ვიკითხოთ მაინც. - რა სასმელებით იღუპებიან რუსები. გაზეთმა იერიში მიიტანა არა რომელიმე ქვეყნის ღვინოზე, არამედ ეროვნულ სასმელზე,- რუსულ არაყზე.

ისე, რუსული არაყი საქართველოშიც ბლომად იყიდება. რეკლამაც დიდი აქვს და მოხმარებაც. კი ვიძახით, - ჩვენ რუსეთს არ მივბაძავთო, მაგრამ... იქნებ, შეგვემოწმებინა იმათი არაყიც; რა, ჩვენთან ხალხი სასმელით არ იღუპება.

და აქვე ამ ჩვენი კლიპის ჩასაფიქრებელი ფრანგული კლიპი:

'ზედმეტი ალკოჰოლი საშიშია ჯანმრთელობისათვის;
დალიეთ ზომიერად.'

**L'abus d'alcool est dangereux pour la santé,**

**consommez avec modération.**

პარიზი, 2006 წლის 7 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## "რუსეთი უნდა იყოს ევროპის კავშირში?.."

---

"რუსეთი უნდა იყოს ევროპის კავშირში" – "დიდი ხანი არ არის, რომ მსოფლიო შესახელმწიფო რუსეთი ორიენტაციას იღებს ევროპისაკენ და დროთა განმავლობაში შეეძლება ბრიუსელის კლუბის წევრი გახდეს" – ასეთი სათაურით და ქვესათაურით აქვეყნებს სტატიას ბრიტანეთის ყოფილი ელჩი (Sir Roderic Lyne) – სერ როდერიკ ლაინი – რუსეთში, რომელიც, სხვათა შორის, წერს

"რუსეთი არის არა მარტო მისი ტერიტორიული სიფართოვით უშეველებელი გიგანტი... მაგრამ ამგვარი შენიშვნა რამდენიმე ათეულ წლებში შეიძლება გახდეს წარსული... უდავოა, რუსები არიან ევროპიელები. ორი-მესამედი რუსებისა ცხოვრობენ ევროპისა და აზიის გაურკვეველ საზღვრებში... მაგრამ რუსები არ არიან აგრეთვე ცნობილი თავისი ნაციონალიზმით? არ არიან ისინი ამაყი თავისი საკუთარი იდენტიურობითა და ისტორიით? არ არიან ისინი ნამდვილი ქსენოფობები, რომლებსაც არ სურთ ნაკლებად პატივცემულ ერებთან ერთად ერთ ქვაბში მოექცეს?"

"როცა რუსეთის პოლიტიკოსები გულმოსულია, ემუქრებიან ევროპიელებს, რომ მათ გააჩნიათ სხვა არჩევანი კავშირისა სამხრეთისა ან აღმოსავლეთის ქვეყნებთან. მაგრამ ასეთი გაფრთხილება ნაკლებად დამაჯერებელია. რუსეთს ჩეჩნეთი სამხრეთით გაუხდა თავსატეხი, აღმოსავლეთით აღმავალი ჩინეთი გრძელვადიანი სტრატეგიული საზრუნავია. ამ მხრივ საყურადღებოა ვლადიმერ პუტინის საახალწლო სიტყვა, რომ რუსეთი მომავალშიც ევროპულ ფასოვანებებს ჩაეჭიდება. მან თქვა:

"იდეალები, როგორიცაა თავისუფლება, ადამიანის უფლებები, სამართლიანობა, დემოკრატია, კულტურული მიღწევები, რაც ევროპამ მძიმე ბრძოლებით მოიპოვა – საუკუნეების განმავლობაში უკვე გახდა რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების მასშტაბი".

"მართალია, კრიტიკოსები შენიშნავენ , რომ რუსეთი ამ იდეალების განხორციელებიდან მეტად შორსაა,... მაგრამ მომავალ 15-20 წლებში ეს ტენდენცია გაძლიერდება..."

"1991 წლიდან ევროპის კავშირი ანვითარებს უფრო მჭიდრო ურთიერთობას რუსეთთან. ეხლა ძნელია იმის თქმა თუ როგორ სახეს მიიღებს ეს ურთიერთობა 30 წლის განმავლობაში..." "ის შეუძლია უკვე დღეს ამტკიცოს, რომ უფრო მოდერნულ და უფრო დემოკრატიულ რუსეთს, ჩვენმა მომავალმა თაობამ უარი უთხრას ევროპის კავშირში შესაძლებელ წევრობაზე?" – დაასკვნის სერ როდერიც ლაინი.

ჩვენ კი აქვე შევნიშნავთ: ვითომ რუსეთის შესაძლებელი გაწევრიანება "ევროპის კავშირში" ხელს აალებინეს რუსეთს იმპერიალიტმსა და ქსენოფობიაზე, რასაც რუსეთი ამჟღავნებს, აგერ უკვე ორი საუკუნეა, ქართველი ერისა და საქართველოს მიმართ?..

კ.ი.–ს.რ. ლაინი("მც"-7.3.2006 წ.)

## "აქტიური ლოდინის ტაქტიკა?!.."

### 9 მარტის 50 წლისთავი

---

I.

"აქტიური ლოდინის ტაქტიკა" (ილია); "ბოროტების იმპერია" (როლანდ რეიგანი); "დღეს რუსეთი ციმბირული დათვივით ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მტკიცედ და ჯიუტად მიდის ბოლშევიზმიდან ფაშიზმისაკენ" (ე. ბატიაშვილი); "რუსეთი მფლობელია უზარმაზარი ნაქურდალი საკუთრებისა, რომელთა უკან დაბრუნება მოუწევს მას გარკითხვის ჟამს" (ბზიგნიევ ბჟეზინსკი); "ეს ჩემი დიდი რუსი ხალხი საფლავიდან ამომიღებს და გადამაგდებს" (სტალინი).

II.

და ყველა აქ ციტირებულ ავტორებიდან, უდავოა, წინა პლანზე იწევს ყველა რუსეთის იმპერიაში სამშობლოდან გადახვეწილი ქართველი, რომელთა შორის სტალინი გახდა პირველი, რომელმაც რუსეთის იმპერია ისე გააფართოვა, რომ ლამის მთელ ევროპა-აზიას დაეპატრონა და მსოფლიო ბატონობაზე დაიწყო ოცნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III.

და ყველა ამ ფაქტს მოეიგონებთ, ამჯერად, თბილისის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების მასობრივი დემონსტრაციების 50 წლითავთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში 1956 წლის 5-9 მარტს, რაც სისხლში ჩაახჩო რუსეთის მე-8 პოლკმა, რასაც მოყვა მრავალი მოკლული და დაჭრილი.

IV.

მაგრამ ჯერ ამ დემონსტრაციების ასავალ-დასავალი:
სტალინმა, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას — მიივიწყა რა არარუსი ხალხების წვლილი ფაშიზმზე გამარჯვებაში — ისეთი ქება-დიდებით შეამკო "დიდი რუსი ერი", რომ სტალინის გარდაცვალებისა და ბერიას მოკვლის შემდეგ, — რუსული ბოლშევიზმის მთელი იმპერიული უტოპიური სიმახინჯე მხოლოდ სტალინის ქართველობას, ქართველ ერს, საქართველოს მიაწერეს — თითქოს რუსეთის ისტორია ივანე გროზნს და მისი რეჟიმის სიმახიბჯეს არც კი იცნობდეს!..

V.

ამდენად, 1956 წლის 5-9 მარტის მოვლენები ჩვენ, სამ-წახნაგოვან მოვლენად გვესახება, რომლის პირველი წახნაგია: სტალინი და სტალინიზმი; მეორე — რუსეთის "უსაზღვრო" იმპერია და მესამე წახნაგია ჩვენი ეროვნული მოძრაობა; და ყველაფერი ეს ისე გადაიხლართა ერთმანეთში, რომ ამ "გორდული ნასკვის" გახსნა ადვილი საქმე არ გახდა.

VI.

სტალინი, რომელიც ყოველთვის ლენინზე ლოცულობდა, — დასაწყისში თითქოს "ინტერ-ნაციონალურ" პოლიტიკას აწარმოებდა საქართველოს მიმართ, მაგრამ სინამდვილეში "ინტერნაციონალიზმი" რუსული დიდმპყობელუი-შოვინიზმის იდეოლოგიად აქცია, რომლის პირველი მსხვერპლი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა, როცა საბჭოთა რუსეთმა დაარღვია რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულება და იარაღის ძალით დამოუკიდებელი საქართველო დაიპყრო, რასაც მოყვა დამოუკიდებელი საქართველოს მთელი ტერიტორიის დაქუცმაცებაც, რომლის 91 000-ს კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიიდან, საბჭოთა საქართველოს მხოლოდ 69 700 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია დაუტოვა; დანარჩენი ჩვენს მეზობლებს დაურიგა და თვით რუსეთმაც ჩვენი სოჭი და მისი რეგიონი მიიკუთვნა, თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს. კიდევ მეტი: ამჯერად რუსეთი, ეს ტერიტორიულად უსარმაზარი სახელმწიფო, ჩვენი აფხაზეთისა და შიდა-ქართლის ტეროტორიების ხელში ჩაგდებას ლამობს.

სტალინი, საქართველოს ე.წ-ლი გასაბჭოების შემდეგ კი, დაგვემუქრა საქართველოზე "ცხელი უთოს" გადავლებით, რაც ჩვენმა ერმა განსაკუთრებით ფიტიკურად იგრძნო არა მარტო 1936-1937 წლებში, არამედ მეორე მსოფლიო ომის დროსაც, როცა საქართველოს მაშინდელ სამ-ნახევარ მილიონ მოსახლეობიდან, წითელ არმიაში გაწვეულ იქნა 700-ათასი კაცი, რომელთაგან ნახევარზე მეტი უკან აღარ დაბრუნებულა.

გასაკვირია მხოლოდ, რომ — მიუხედავათ ამგვარი მყვირალი ფაქტებისა — ქართველი სტუდენტები და ახალგაზრდა მუშები — 1956 რლის 5-9 მარტს — სტალინის გარდაცვალების მესამე წლის თავზე, სტალინის სადიდებლად — თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების ქუჩებში გამოვიდნენ და ამით ხრუშჩოვის მიერ დესტალინიზაციის მაქიაველური პოლიტიკის წინააღმდეგ გაილაშქრეს, რაც სისხლში ჩაახჩო კრემლის ბატონებმა.

V.

ამ მოვლენის მეორე წახნაგი არანაკლებ შემზარავი და მაქიაველურია:
კრემლმა, ერთი მხრივ, სიამაყით დაეპატრონა სტალინის მიერ ადამინის ძვლებზე შექმნილ უზარმაზარ იმპერიას, მაგრამ, მეორე მხრივ, შეეცადა, კრემლის მიერ ჩადენილი ყველა ბოროტება, სტალინზე გადაბრალებას, რაც გამოდგა მეტად მოხერხებული ანკესი არა მარტო ქართველი ერის მიმართ. როგორც სჩანს, კრემლის ბატონები ლამობდენ, ამგვარი მაქიაველური გზით, ბოლშევიზმი "მამა აბრამის ბატკნად" მოჩვენებას, რაც, მართალია, რუსის ერის დიდმა უმრავლესობამ აღიქვა ისე, როგორც ეს ხრუშჩოვსა და მისთანაებს სურდად, მაგრამ საბჭოთა, ეს ხელოვნურად შეგიჯიგებული უზარმაზარი იმპერია, შეირყა, რომელიც დაადგა იმპერიების გარდაუვალი დანგრევის გზას.

VI.

“მესამე წახნაგი” კი უფრო რთულია: ვანო კვეზერელი მოიგონებს (“ს.რ.–8.3.2006 წელი), რომ, 1956 წლის 9 მარტს, მაშინ სტუდენტმა და დღეს ცნობილმა პოეტმა — ჯანსულ ჩარკვიანმა შესძახა დემონსტრატებს: “გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს! მაშინ ეს მოულოდნელი და უჩვეულო რამ იყო, ვაშა, იქუხა ხალხმა, ხელები გაგვწყდა ტაშით”, — ამბობს ვანო კვეზერელი, და დასძენს: “ვეტერანები მოვითხოვთ, რომ სტალინის ძეგლი სანაპიროზე აღსდგეს!”

VII.

ამგვარად, ხრუშჩოვმა და მისმა დამქაშებმა — 1953 წლის 5-9 მარტს — შესძლეს ჩვენი სტუდენტებისა და ახაგაზრდა მუშების ეროვნული გზა-კვალის ისეთი აბნევა, რომ საქართველოს ეროვნული თავისუფლება სტალინიზმთან დააკავშირეს; და ამით კრემლი დღესაც ცდილობს რუსეთის საბჭოთა პერიოდის ყველა უბედურება მხოლოდ სტალინის ქართული წარმომავლობით და ამით საქართველოს, ქართველი ერის გაშავებით ახსნას. და ამ ბნელ საქმეში ჩვენ, ქართველობაც — შეგნებულად თუ შეუგნებლად — ხელს ვუწყობთ დიდმპყრობელ-შოვინისტებს, როცა ჩვენი ზოგიერთი თანამემამულე ცდილობს სტალინიზმის ჩვენს ეროვნულ თავისუფლებასთან დაკავშირებას.

VIII.

ნუთუ ჩვენმა ხალხმა მიივიქყა 1921 წლის 25 თებერვალი, როცა რისეტმა დაიყრო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და იგი ისევ რუსეთის საბჭოთა პროვიციათ აქცია?..

ნუთუ ქართველებმა დავივიჭყეთ 1924 წლის 28-29 აგვისტოს საერთო სახალხო აჯანყება ბოლშევიკების ჭინააღმდეგ?..

ნუთუ ჩველ დავივიჭყეთ 1978 წლის 14 აპრილი, როცა კრემლიშეეცადა ქართული ენის კონსტიტუციურ შეცვლას რუსული ენით?..

ნუთუ ჩველ დავივიჭყეთ 1956 ჭლის 9 მარტს დაღუბული ახალგაზრდობა რუსთაველის გამზირზე კავშირგამბულობის შენობასთან და მტკვარის სანაპიროზე?..

ნუთუ მივივიწყეთ აგრეთვე 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია, როცა ჩვენი თბილისის ქუჩები ისევ მოირქყა ჩვენი ბავშვებია, ქალებისა და მოხუცების სისხლით?..

IX.

ავლნიშნავთ რა ამჯერად 1956 წლის 9 მარტის ეროვნული გრაგედიის 50 წლისთავს, ისევ-და-ისევ გვახსოვდეს, რომ “დღეს რუსეთი ციმბირული დათვივით ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მტკიცედ და ჯიუტად მიდის ბოლშევიზმიდან ფაშიზმისაკენ”. და დღენიადაგ უნდა ვფიქრობდეთ, როგორც ელბერდ ბატიაშვილი მოგვაგონებს დიდი ილია სიტყვებს: დავადგეთ რუსეთის იმპერიასთან დაპირისპირებაში “აქტიური ლოდინის ტაქტიკას”. ჩვენ თვითონ არ უნდა შევყოთ თავი ციმბირული დათვის ხახაში.

X.

ვინ იცის!.. შეიძლება რუსეთმაც ხელი აიღოს აწ უკვე დამყაყებულ იმპერიულ პოლიტიკაზე, და ამისაკენ არ მოგვიწოდებს ჩვენი ილიას “აქტიური ლოდინის ტაქტიკა?..”

კარლო ინასარიძე
მიუნხენი. 2006 წლის 7 მაისი

# საქართველო

## ერთობა მრავალფეროვნებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღირსეული "ოქროს თაობის" ღირსეული მემკვიდრეები

## სალომე ზურაბიშვილის პარტიის "საქართველოს გზის" დაარსების გამო

I.

ჩვენ, – ვუწოდებთ რა "პატარა ოქროს ხანის" – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წლები) შემქმნელებს "ოქროს თაობას", – ამ ღირსეული "ოქროს თაობის" ღირსეულ მემკვიდრეებათ ვთვლით გასული საუკუნის ოციანი წლების ქართული პოლიტიკური ემიგრაციის "ოქროს თაობის" ღირსეულ მემკვიდრეთა პოლიტიკურ მოღვაწეობას, რის გარკვევა-ანალიზის საბაბი, ამჯერად, სალომე ზურაბიშვილის მიერ საქართველოში პოლიტიკური პარტიის – "საქართველოს გზის" – დაარსება გახდა.

II.

ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი არის საქართველოს პოლიტიკური ემიგრანტის – ლევან ზურაბიშვილისა და ზეინაბ კედია–ზურაბიშვილის ქალიშვილი, რომელიც დაიბადა, აღიზარდა და განათლება მიიღო პარიზში, მუშაობა დაიწყო საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში სხადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე; შემდეგ გახდა საფრანგეთის ელჩი საქართველოში, რის შემდეგ, საფრანგეთის პრეზიდენტის – ჟაკ შირაკის – თანხმობითა და საქართველოს პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილის – თხოვნით, გახდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

III.

ქალბატონი სალომე – 2005 წლის 19 ოქტომბრს გადაყენებულ იქნა თავის თანამდებობიდან, რასაც, თბილისის ჰიპოდრომზე, მოყვა სალომეს თანამგრძნობთა ოცი-ათასიანი დემონსტრაცია, რომელსაც თვით სალომე ზურაბიშვილიც დაესწრო. ამას კი მოყვა ახალი პოლიტიკური პარტიის – "საქართველოს გზის" – დაარსება, რომლის თავმჯდომარეა თვით სალომე ზურაბიშვილი, რომელიც უკვე ჩაება საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების პოზიცია-ოპოზიციის ჭიდილში, რაც, თავის მხრივ, დემოკრატიული სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოტორია საერთოდ.

III.

და, აქ გვაგონდება მიხეილ ჯავახიშვილის რომანიდან – "არსენა მარაბდელი" –ხალხური სიბრძნე: "კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი", რომლის დროს, თუ "ალგეთის" თანამებრძოლად "ლევილს" ან "პარიზს" მივიჩნევთ, – შეგვიძლია ვთქვათ: "კიდევაც დაიზრდებიან ლევილს (პარიზს) ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოწყდებიან ჯავრი არ ჭამონ მტრისანი".

IV.

და აქ გვსურს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილთან ერთად, მოვიხსენოთ ქართული პოლიტიკური ემგრაციის ღირსეული პირველი თაობის ღირსეული მემკვიდრეები, საფრანგეთში დაბადებულები და აღზდილნი, ქართველი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოღვაწეების პირველი და მეორე თაობის ღირსეული წარმომადგენლები – ქალბატონი ქრისტინე ფაღავა, რომელიც არის ლევილის ქართული მამულის "მესაკუთრეთა საბჭოს" თავმჯდომარე, ლევილის ქართული მამულის ადმინისტრაციის თავმჯდომარის მოადგილე ქალბატონი ნუცა თაყაიშვილი-გორდელაძისა, აწ უკვე აღიარებული ჟურნალისტი ბატონი მირიან მელუა, ქალბატონი ელიკო წერეთელი-რემონ ბენარისა, ქალბატონი ეთერი შენგელა-წერეთლისა, ბატონი ოთარ ზურაბიშვილი, ქართული სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარე ბატონი გია სარჯველაძე, ქართული სათვისტომოს ყოფილი თავმჯდომარეები ქალბატონი ლია ვოდე-გოგიტიძე, ბატონები ტარიელ ზურაბიშვილი, ოთარ პატარიძე, თამაზ ნასყიდაშვილი, სერგო მელიავა, ფრანგულ-ქართული კულტურული ასოციაციის თავმჯდომარე ბატონი ტიერი ბერიშვილი, რადიო "თავისუფლების" ქართული რედაქციის მრავალწლოვანი მთავარი რედაქტორი ქალბატონი გულნარა პატარიძე, პარიზის ქართული წმინდა ნინოს ეკლესიის მოძღვარი, არქიმანდრიტი არჩილ დავრიშაშვილი, და სხვები, რომლებიც ჩაბმული იყვნენ თუ არიან ქართული პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების საქმიანობაში საფრანგეთში, და ამით გახდენ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ღირსეული "ოქროს თაობის" ღირსეული მემკვიდრეები, რაც საამაყოა.

V.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის "ოქროს თაობის" პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა უცხოეთში, უდავოა, წასაბაძი იყო და არის არა მარტო ქართველ მოღვაწეთა მეორე და მესამე თაობისათვის, არამედ განსაკუთრებით ქართველ უახლეს ემიგრანტებისთვისაც, რომლებიც უკვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყვებიან ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ღირსეული პირველი თაობის გზას და ჩამდგარი არიან ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ღირსეული მეორე თაობის რიგებში.

VI.

და, სწორედ ამის სანიმუშო მაგალითი უკვე გახდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ღირსეული "ოქროს თაობის" ღირსეული მემკვიდრეები, რომელთა შორის, — "საქართველოს გზის" — პოლიტიკური პარტიის დამაარსებლის სახით, გვევლინება ჩვენი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც უკვე ჩაბმულია საქართველოში პოზიცია-ოპოზიციის ჭიდილში, რომ "ქართული დემოკრატია" უფრო სრულყოფილი გახდეს.

VII.

ჩვენ გვჯერა, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის უახლესი მემკვიდრეებიც უცხოეთში, უკვე დაადგენ ღირსეული პირველი და მეორე თაობის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის გზას.

ამით კი "მემკვიდრეობითობა" უკვე ფეხს იდგამს ქართული პოლიტიკური ღირსეული "ოქროს თაობის" ღირსეულ მემკვიდრეებსა და უახლეს ღირსეულ პოლიტიკურ ემიგრანტთა შორის, რაც მისასალმებელია.

კარლო ინასარიძე

პარიზი-ლევილი, 2006 წლის 1 მაისი

## "სტრატეგიული პარტნიორობა" თუ "სელექციური კოოპერაცია"?..

### ამერიკა-რუსეთის ურთიერთობა ამჟამად და საქართველო

I.

ამერიკელმა პოლიტოლოგებმა— კეირ ლაიბერმა და დერილ პრესმა — მიზნად დაისახეს კომპუტერული ექსპერიმენტის გზით გაერკვიათ, თუ როგორ შეიცვალა "ცივი ომის" დამთავრების შემდეგ, ძალთა თანაფარდობა ამერიკასა და რუსეთს შორის.

როგორც ჟურნალი "Foreign Affairs" (12.4.2006) წერს, ეს ორი პოლიტოლოგი მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ ამერიკა მოულოდნელად თავს რომ დაესხას რუსეთს, "შეძლებს რუსეთის ყოველი აეროდრომის, ყოველი წყალქვეშა ნავის და ყოველი საკონტინენტთაშორისო რაკეტების განადგურებას".

რუსეთის თავდაცვის მინისტრი — სერგეი ივანოვი — კი ისე ააღელვა ამ კომპუტერულმა ექსპერიმენტმა, რომ იძულებული გახდა ეთქვა: "რუსეთის ატომური შეიარაღება არის ძლიერი და ეფექტიურიო".

II.

საბჭოთა კავშირის დაშლის 15 წლისთავზე ამგვარი შიშისმომგვრელი დებატები გასაკვირი არ არის თუ მხედველობაში მივიღებთ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობაში განსაზღვრული უთანხმოების ნიშნებს. ორივე მხარე ეჭვის თვალით უყურებს ერთმანეთს. პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უკმაყოფილოა, რომ ამერიკა აჭიანურებს რუსეთის მიღებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO).

რუსეთი, როგორც რესურსების, "ნედლი მასალის" ზე-სახელმწიფო, უკვე რვა-ინდუსტრიულად-განვითარებული სახელმწიფოს — (ამერიკა-კანადა-საფრანგეთი-ბრიტანეთი-გერმანია-იტალია-იაპონია) — მასპინძელია მიმდინარე (2006 წელი) წლის ივლისში, და მოითხოვს მეტ პატივისცემას რუსეთისადმი.

III.

"თეთრი სახლი" კი ეხება ამერიკა-რუსეთის ურთიერთობის კარდინალურ პრობლემას: პრეზიდენტ ბუშის დოქტრინის თანახმად, "მეტი დემოკრატია უდრის მეტ უშიშროებას"; პუტინის აზრით კი ეს არის ამერიკის ცდა მისი გავლენა გააძლიეროს, ხოლო რუსეთის კი — შეასუსტოს.

IV.

რუსეთ-ამერიკის ამგვარი ურთიერთ საწინააღმდეგი ინტერესები, პოლიტოლოგებში იწვევს ჩაფიქრებას: ხომ არ დასრულდა უკვე "სტრატეგიული პარტნიორობის" ხანა ამერიკა-რუსეთს შორის?.. და ამას ხომ არ მოყვა ამერიკის ექსპერტების ახალი დევიზი: "სტრატეგიული პარტნიორობის" ადგილი დაიკავოს "სელექციურმა კოოპერაციამ"?..

V.

"სელექციური კოოპერაცია" ნიშნავს, როგორც თვით ეს ტერმინი ამბობს, არჩევას იმ სფეროებისა, რომლებშიც მიზანდასახულია თანამშრომლობა რუსეთთან, როგორც, მაგალითად, ატომური უშიშროება, ვაჭრობა, ან, საერთაშორისო საშიშროების დროს თანამშრომლობა, როგორც ამჟერადაა ირანის ატომური პროგრამა. მაგრამ ისეთი სფეროები, როგორიცაა, მაგალითად, დემოკრატია, ენერგია და თვით ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ამერიკას უკვე აღარ შეუძლია რუსეთის პარტნიორობაზე ილაპარაკოს.

VI.

ამერიკელი ექსპერტების აზრით, დღეს "სელექციური კოოპერაცია" უფრო ეტუება არა მარტო ამერიკის, არამედ, როგორც სჩანს, რუსეთის ელიტარული ხელმძღვანელობის კონცეპციასაც, ვიდრე "სტრატეგიული პარტნიორობა". რუსეთის ელიტა, გასული საუკუნის 90-ანი წლების "რომანტიკულ აღფრთოვანებას" დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნებითა და დემოკრატიით, ამჟამად საშინელებათ მიიჩნევს. რუსეთის თავდაცვის მინისტრის — ივანოვის — პირით ეს კი ასე ჟღერს: "ჩვენ ვიცავთ ჩვენს ნაციონალურ ინტერესებს. თუ ეს ვინმეს არ მოსწონს, ეს არ არის ჩვენი პრობლემა."

VII.

მაგრამ საკითხი თუ სად არის საერთოდ რუსეთის სახელმწიფოს გეოგრაფიული საზღვარი, ეს, როგორც სჩანს, რუსეთის ელიტამაც არ იცის ან არც კი სურს გაიგოს. თუ ვლადიმერ ჟირინოვსკის სიტყვებს სერიოზულად მივიღებთ, მან ღიათ განაცხადა, რომ რუსის ჯარი ინდოეთის თბილ ზღვაში იბანავებს და იქიდან არ წამოვა უკანო!..

VIII.

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ამჟამინდელ სახელმწიფოს, — ამბობს გერმანელი პოლიტოლოგი ეგონ ბარი (21.4.2006 წელი) — "...აღმოსავლეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით აქვს არასაიმედო, არასტაბილური საზღვრები".

და, ეგონ ბარი დასძენს: "საქართველო, ჩემის აზრით, რუსეთისათვის დაკარგულია. ამერიკის გავლენა საქართველოში არის ისე ძლიერი, რომ რუსეთი, დიდხანს ვერ შევა საქართველოში. ამას ემატება ნავთობის მილი საქართველოს ტერიტორიაზე გაელით. საქართველოს სურს აგრეთვე ნატოში შესვლა. პრინციპში პუტინის ინტერესი იმით უნდა განისაზღვროს, რომ მთელი ეს რეგიონი უნდა დამშიდდეს, რომ რუსეთმა მის ამ სამხრეთ ნაწილში სტაბილლურობა მოიპოვოს."

IX.

ეგონ ბარის აზრით, ამერიკას არ ეგონა, რომ "ცივ ომს" ასე მალე და ასე ადვილად მოიგებდა, რასაც მოყვა ამერიკის ექსპერტების მიერ ამერიკის "გლობალური სტრატეგიის" ჩამოყალიბება, რომლის არსებითი მუხლებია:

1. ამერიკა არის ერთადერთი ზე-სახელმწიფო მსოფლიოში.
2. ამერიკა სამხედრო-ტექნოლოგიურად უნდა იყოს უძლიერესი; ამერიკის შეიარაღება უნდა იყოს ისე გიგანტური, რომ ვერავინ ვერ უნდა შეძლოს მისი შეჯიბრება;
3. ამერიკამ ხელი უნდა შეუწყოს დემოკრატიული წესყობილების დამკვიდრებას და ადამიანის უფლებების უზრუნველყოფას მთელ მსოფლიოში.

X.

და ამ სფეროში ექცევა საქართველოც, რაც ამერიკის პრეზიდენტმა — ჯორჯ ბუშმა, 2005 წლის წლის 10 მაისს, თბილისში, თავისუფლების მოედანზე, — მიესალმა რა ათი-ათასობით საქართველოს მოსახლეობას, — ასე გამოთქვა:

"ქართულ მიწაზე თქვენს მიერ დათესილი თავისუფლების თესლი მთელს მსოფლიოში ღვივდება". "მეამაყება თქვენი პრეზიდენტის გვერდით დგომა, რომელმაც გამოიჩინა ასეთი სულისკვეთება, გამბედაობა და ლიდერობა თავისუფლებისათვის ბრძოლაში.
ლორა და მე ვამაყობთ გაბედული ქართველი ხალხის გვერდზე დგომით იმ ადგილას, რომელმაც დაიმსახურა საამაყო სახელი 'თავისუფლების მოედანი'".

XI.

და ავღნიშნავთ რა ყველა ამ ფაქტს ამერიკა—რუსეთის ამჟამინდელ ურთიერთობათა კონტექსტში, ხაზგასმით ავღნიშნავთ, რომ საქართველომ ყოველმხრივ უნდა შეეცადოს რუსეთთანაც დაამყაროს კეთილმეზობლური ურთიერთობა — როგორი ეკლიანიც არ უნდა იყოს ეს გზა.
ვინ იცის?!.. შეიძლება საქართველოსთვისაც ეს გზა უფრო "სელექციური კოოპერასიისაკენ", ვიდრე "სტრატეგიული პარტნიორობისაკენ" მიგვითითებს?..
როგორ ამბობს ჩვენი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი? — "არ არსებობს საკითხი, რომელიც კონსტრუქციული დიალოგისა და მოლაპარაკების გზით არ მოგვარდეს რუსსეთთან".

# პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

## თურქეთი, ქურთები და ქართველობა

I.

"თურქეთი, ქურთები და ქართველობა" – ასეთ სათაურს ვაძლევთ ამ შენიშვნას იმიტომ, რომ ისევ იფეთქა კურდების საპროტესტო დემონსტრაციებმა თურქეთის ტერიტორიის არა მარტო სამხრეთ-აღმოსავლეთში, ქალაქ დიარბაკირის (Diyarbakir) რეგიონში, რადგან თურქეთის მთავრობა ისევ უარს ამბობს ყოველი სახის დიალოგზე ქურთებთან და არეულობის ორგანიზატორად თვლის უმთავრესად ქურთების მუშათა პარტიას, რომლის მეთაური – ოჩელანი – უკვე სამუდამო კატორღაშია ჩაკეტილი.

II.

ქურთებს, როგორც ცნობილია, გააჩნიათ საკუთარი ენა და კულტურა, მაგრამ არ გააჩნიათ საკუთარი სახელმწიფო. ქურთთა წარმომავლობა ბურუსითაა მოცული. ცნობილია მხოლოდ, რომ ეს წინა აზიის ერთ-ერთი უძველესი ხალხი, რომელთა რაოდენობას 10 მილიონზე მეტი კაცით განსაზღვრავენ, ცხოვრობენ ირანში, თურქეთში, ერაყში, ლიბანში, ავღანეთსა და აზერბაიჯა-სომხეთ-საქართველოშიც. ქურთების უმრავლესობა სუნიტი, უმცირესობა კი შიიტი მაჰმადიანებია.

III.

პირველი მსოფლიო ომის დროს – 1914-1918 წლებში – ქურთები არსებითად გაიყო ოთხ სახელმწიფოს – თურქეთი-ირანი-ერაყი-სირიას შორის, რის შედეგად ქურთები ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობაში მოექცა. საქართველოში, კერძოთ მესხეთში, ცალკეული ქურთული მომთაბარე ტომები მე-16 საუკუნეში გაჩნდა. ქურთების ძირითადი მასა საქართველოში დასახლდა 1918-1920 წლებში, მას შემდეგ, რაც თურქებმა დაიწყეს მათი შევიწროება, და საქართველოში გადმოსახლდენ ვანიდან და ყარსიდან; მცირე ნაწილი კი ცხოვრობდენ, მეორე მსოფლიო ომამდე, თბილისსა და ბათომში ("ქ.ს.ე.", ტ.10, გნ-575-576).

ქურთების დიდი ნაწილი ცხოვრობს თურქეთში, რომელიც არ ცნობს მათ როგორც ეროვნულ უმცირესობას. ქულთები კი 1999 წლიდან იბრძვიან საკუთარი სახელმწიფოს შექმნისათვის. პოლიტიკური ავტონომია გააჩნიათ ქურთებს მხოლოდ ერაყში, რომლის კონსტიტუცია უკვე უზრუნველჰყობს ქურთების თვითგამორკვევის უფლებას.

IV.

თურქეთი კი, ამჯერად, იმდენად ითმენს ქურთების ავტონომიურ უფლებას, რომ ქალაქ დიარბაკირში, ქურთების მთავარ ქალაქში, უკვე მუშაობა დაიწყო "გიულ-ტელევიზიამ" ქურთულ ენაზე, თუმცა გადაცებები მეტად შეზღუდულია: გადაცემის ხანგრძლოვობა სულ 45 წუთია დღეში; მაგრამ ეს გადაცემები მეტად შრომატევადია, რადგან ყოველი ცნობა გადათარგმილი უნდა იქნას თურქულად და გადაიცეს სურათთან ერთად. პოლიტიკური ხასიათის ცნობების გადაცემა კი სრულიად აკრძალულია.

V.

და თუ შევადარებთ თურქეთის სახელმწიფო ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობას, დავრწუნდებით, რომ ქურთები უკეთესად უმკლავდებიან მათ შევიწროებას თურქთში, ვიდრე სხვა ეროვნებათა უმცირესობა, ვთქვათ, ჩვენი ქართველობა, რომელთა რაოდენობა თურქეთში – "საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის ცენტრის" დირექტორის სანდრო ნონეშვილის ცნობით (6.1.2006 წელი), ხუთ-მილიონ-ნახევარია. მათ შორის ერთი მილიონი ლაზურ-მეგრული ტომიდანაა, ოთხ-ნახევარი მილიონი კი გურჯია".

და, წარმოიდგინეთ, თურქეთში ქართველობას არა მარტო დაწყებითი სკოლები ც კი არ გააჩნიათ, არამედ გვარებიც კი შეუცვალეს, რომ ამ გზითაც დააჩქარონ მათი ასიმილაცია.

VI.

ვიმედოვნებთ, თურქეთი, რომელიც ნატოს წევრია და ევროპის კავშირში გაწევრიანებისაკენ მიისწრაფვის, შეეცდება არა მარტო ქურთების, არამედ, საერთოდ, ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების მოგვარებას თურქეთში.

VII.

ამჟერად კი, თურქეთ-საქართველოს ბედკრულ ისტორიიდან, მოვიგონოთ საქართველოს, ქართველი ერის, ბაგრატიონთა ათასწლოვანი დინასტიის კერა — ტაო-კლარჯეთი, რომელსაც აღტკინებით უმღერის ჩვენი სახელოვანი პოეტი — ენვერ ნიჟარაძე.
აი, ეს ლექსი:

## ტ ა ო – კ ლ ა რ ჯ ე თ ი

როგორც ღრუბლებით
გარშემორტყმული
ცადატყორცნილი
ციხე ქაჯეთის,
ტელევიზორის
ეკრანზე მოჩანს
ჩვენი ბედკრული
ტაო-კლარჯეთი.

მოჩანს ძვირფასი
და მშობლიური
მარად ძველი და
მარად ახალი,
იშხანი, ხანძთა,
ოშკი, ოპიზა,
ხახული, ბანა,
ჯრუჭი, პარხალი.

ისევ ცოცხლდება
გარდასულ დღეთა
ტკივილნარევი
მძაფრი ზმანება,
და ფიქრი ისევ
დატყვევებული
ლაქვარდებისკენ
მიექანება.

მაგრამ მე მჯერა
მხარე, რომელიც
დღეს დაკარგულა
ჩვენი ერისთვის,
გაივლის დრო და
ისევ აღსდგება,
როგორც ფერფლიდან
აღსდგა ფენიქსი.

და ჩვენი სისხლით
მორწყულ ტაძრებში
კვლავინდებურად
მოვა ხარება
და საქართველო
მტკიცე, მთლიანი
აღარასოდეს
გაიბზარება.

ჯერ კი ღრუბლებით
გარშემორტყმული
დგას ისე, როგორც
ციხე ქაჯეთის,
ჩვენი ნატანჯი,
ჩვენი ნაგვემი,
ჩვენი ბედკრული
ტაო-კლარჯეთი.

VIII.

ვიმედოვნებთ, გვჯერა, რომ არა მარტო ტაო-კლარჯეთი, ისევ აღსდგება ფერფლებიდან, როგორც ფენიქსი.

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 2006 წლის 15 აპრილი

## ნავთობის საბადოები საქართველოში?..

„ჩვენ გაცილებით მეტი ნავთობი გვექნება, ვიდრე დღეს აქვს აზერბაიჯანს", — ამბობს სანდრო თვალჭრელიძე — ბუნებრივი რესურსების მოპოვების ექსპერტი, და განაგრძობს:

„ეს არც ისე შორეული პერსპექტივაა. გავყოთ საქართველოში ნავთობის მარაგები ორ ნაწილად: ხმელეთის და ზღვის ნაწილად. ჩვენი ზღვის ნავთობის რესურსი მილიარდ-ნახევარი ტონაა. ეს მარაგი მდებარეობს შავი ზღვის აკვატორიაში, დაახლოებით 7 კილომეტრში ქალაქ ფოთიდან. მას, რაც აქ შემოიტანენ სპეციალურ პლატფორმას და ხელსაწყოებს, დაიწყება საბურღი სამუშაოები. ლიცენზიას ფლობს უდიდესი ამერიკული ნავთობმომპოვებელი კომპანია „ანადარკო", რომლის შემოსვლა უახლოეს მომავალში იგეგმება. არნიშნული მარაგების რეალურობაში დარწმუნებული ვართ — ეს ადგილი გეოფიზიკურად კარგად არის გამორკვეული და 99% იმედი გვაქვს, რომ აქ ნავთობი დაგვხვდება. სავარაუდოა, რომ შავი ზღვის ნავთობის მარაგები შესაძლოა, კასპიის ზღვის მარაგებზე მეტიც აღმოჩნდეს. საბურღი სამუშაოები დაახლოებით 5 წელიწადში დამთავრდება და ჩვენ გაცილებით მეტი ნავთობი გვექნება, ვიდრე აზერბაიჯანს აქვს.

ამას გარდა, ჩვენ გვაქვს ნავთობის მარაგები კახეთშიც. დღეისათვის უკვე მოძიებული საბადოებია ნინოწმინდა, პატარა და დიდი სამგორი, დედოფლისწყარო, ტარიბანა და ა.შ. აღნიშნული საბადოებიდან უკვე მოხდა 192 მილიონი ტონა ნავთობის მოპოვება, ხოლო მთლიანი, ანუ ჯერ კიდევ გაუბურღავი რესურსი დაახლოებით 700 მილიონ ტონას შეადგენს."

„აღნიშნულ საბადოებზე ლიცენზიას ფლობს 6-7 უცხოური კამპანია... ნავთობი ადგილზევე გადამუშავდება, თუმცა დასაყიდათ მთლიანად საზღვარგარეთ მიედინება".

ჩვენ „დიდი შანსი გვაქვს, რომ ეკონომიკურად აქტიური ქვეყანა გავხდეთ და ნავთობექსპორტიორი ქვეყნების ათეულშიც დავიმკვიდროთ ჩვენი ადგილი", — დასძინა ბუბებრივი რესურსების მოპოვების ექსპერტმა — სანდრო თვალჭრელიძემ.

## Zbigniew Brzezinski = ზბიგნიევ ბრზეჟინსკი:

ზბიგნიევ ბრზეჟინსკიმ, 78 წლის მოხუცმა ბრძენმა, აშშ-ს პრეზიდენტის უშიშროების ყოფილმა მრჩეველმა, – 2006 წლის 28 მარტს, ბერლინში, სამმხრივი კომისიის ექსპერტების ფორუმზე, ილაპარაკა მსოფლიოს დღევანდელ გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე, რომლის დროს, სხვათაშორის, განაცხადა:

“ამერიკის ძალა ამჟამათაც უძლეველია. სამხედრო თვალსაზრისით ეს ქვეყანა არის უფრო ძლიერი ვიდრე იყო ოდესმე. ჩვენ გაგვაჩნია ატომური მონოპოლია. უეჭვოა, რომ ჩვენ შეგვეძლო უცბათ რუსეთის მთელი ატომური არსენალი გაგვენადგურებია ისე, რომ რუსეთი რეაქციას ვერ მოასწრებდა. ჩვენი ომის წარმოების უნარიანობა შორ-მანძილზეც, მსოფლიო მასშტაბით, მიუხედავათ ერაყისა, შეუდარებელია. ამერიკის ტექნიკური და ეკონომიკური პირველობა გაუტეხელია, პირველ ყოვლისა ევროპასთან შედარებით. მართალია, ზრდა ისეთი არ არის, როგორც ჩინეთშია, მაგრამ ჩინეთი მაინც სუსტად განვითარებული ქვეყანაა. ამერიკის წამყვანი როლი, ამგვარად, ფიზიკურად არ არის გამოწვეული. ჩვენი სისუსტე ლეგიტიმურობაში, მორალში და დამაჯერებლობაში გამოიხატება. ეს არის მნიშვნელოვაბი თვისებები ჩვენი ქვეყნისათვის, რომელიც ამაყობს მისი ფასოვანებებითა და იდეალებით. გაუცხოება ამერიკის მიმართ მსოფლიოში არის მნიშვნელოვანი საფასური ჩვენი პოლიტიკისა ერაყში”.

ზბიგნიევ ბრზეჟინსკიმ, აშშ-ევროპის ურთიერთობის შესახებ, თქვა:

“ევროპამ მისი მისია მიივიწყა, იგი არ ჩანს. მას რომ ერაყის ომის წინ ხელმძღვანელობა ყოლოდა, და ბლეირს, შრედერს და შირაკს ერთად ემოქმედათ და წინააღდებრივობა არ შეექმნათ, მაშინ საქმე სხვაგვარად წარიმართებოდა”.

“სამივეს ვადანაშაულებ. შრედერი იყო სრული პოლიტიკური ოპორტუნისტი, რომელიც კონცენტრირებული იყო მის საშინაო პოლიტიკურ ზეგავლენაზე; შირაკი არის თავისებური ფრუსტრირებული ნაციონალისტი ილუზიებით; და ბლეირი, რომელზედაც ბუში ჩუმად ზეგავლენას ახდენდა, – მას ღიათ უჭერდა მხარს, თამაშობდა პიროვნული მესაიდუმლეს როლს. ევროპას რომ ერთიანი ხმით ელაპარაკა – მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებოდით ყური დაგვეგდო”.

“ამერიკას ესაჭიროება რეჟიმის შეცვლა, მაგრამ ევროპას ესაჭიროება რეჟიმის შექმნა”, – დასძინა ბრზეჟინსკიმ.

“ზც”–სტეფან კორნელიუს – 2006 წელი, 28 მარტი

---

## აზრი ჭეშმარიტი და იმედი შეურყეველი

“ერების ცხოვრება უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ზღვა, ხან აღელვებული, ხან დაწყნარებული, რომელშიდაც მარტო ეშვებიან ერები და იძულებულნი არიან იცურაონ; ცუდი მოცურავე იღუპება, ანდა გაირიყება, კარგი მოცურავე გავა სამშვიდობოზე. ისტორია გვასწავლის, რომ იყვნენ წვრილი ერები, ჰქონდათ თავიანთი სახელმწიფონი, იყვნენ გავლენიანი, ძლევამოსილნიც, ხელთ ეპყრათ უდიდესი ტერიტორიები, მაგრამ დღეს მათ ხსენებაც აღარაა. ისინ ან დაიღუპნენ ან გაითქვიფნენ სხვებში, გარდა ჩვენი ქვეყნისა.
რატომ? – ჩვენი სამშობლო ცხოვრობდა აზვირთებულ ტალღებში, იყო ის ამ ტალღების ამყოლი თუ ჩამყოლი, მებრძოლი თუ წინამძღოლი, ბატონი თუ ყმა, სათამაშო ნაფოტი თუ გემის ცაპიტანი, მას ყოველთვის ახლდა ჭკუა.
რას ნიშნავს ეს? – ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენმა ხალხმა იცის, სად როგორ მოიხმაროს თავისი თავი, ცოდნა, ნიჭი, სად რა უნდა თქვას და აკეთოს, და ვის როგორ მიუდგეს. დღეს ეს ჩვენი ქვეყანა დანგრეული, უულება აყრილი თავის ჭკუით, გამოცდილებით, თავის ნავს სამშვიდობოზე გაიყვანს და კვლავ აღსდგება.
მე ამას ვერ ვნახავ, მე ვერ მოვესწრები ჩემი სამშობლოს ხილვას, თქვენ კი ნახავთ საქართველოს თავისუფალს; თქვენი მოვალეობაა თქვენი თავი მის სამსახურში ჩააყენოთ. გქონდეთ მუდამ აზრი ჭეშმარიტი და იმედი შეურყეველი”.

ნოე ჟორდანია – მისი 80 წლისთავისათვის მიძღვნილ შეკრებაზე.
პარიზი, 1948 წლის 18 იანვარი.

## დაგვიანებული კომენტარი: ''ორი ბატონის მსახური?..''

კოტე მახარაძის მოგონების (''ორი ბატონის მსახური'', თბილისი, 2001 წელი) გამო

I.

''იყო და არა იყო რა — ერთხელ ერთ სამეფოში, შუაგულ ტყეში, დიდებულთა და მეფეთა სანადირო ნაკრძალში, ''ბელოვეჟსკაია პუშჩაში'', სადაც ახლა ეროვნული პარკია გაშენებული, თავი მოიყარეს მცირე და დიდი რუსეთის წარმომადგენლებმა და სსრკ-ს არსებობის შეწყვეტა დაადგინეს; მერე კი მინსკში ხელი მოაწერეს შეთანხმებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის თაობაზე. ყველაფერი ძალიან უბრალოდ, უმტკივნეულოდ მოხდა. ერთი, ორი, სამი და... უზარმაზარმა იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. მალე სამ სლავურ რესპუბლიკას კიდევ რვა რესპუბლიკა-სახელმწიფო მიემატა, ბოლოს კი საქართველოც შეუერთდა, რომელმაც მანამდე ორი მძიმე შეიარაღებული კონფლიქტი გადაიტანა. კაცმა რომ თქვას, სად უნდა წასულიყვნენ საბჭოთა სახელმწიფოს სისტემით ერთმანეთთან მტკიცედ შეწებებული ცალკეული რესპუბლიკა?

კანონიერად მოხდა ყოველივე ეს, თუ არა? ერთნი ერთხმად გაიძახიან : »არავითარი კონსტიტუციის დარღვევა არ ყოფილა, ყველაფერი კანონიერიაო ». სხვები კი ამტკიცებენ : « კონსტიტუციის უსაშინელეს დარღვევას ჰქონდა ადგილიო ». ხოლო ნიკიტა მიხალკოვმა თავის ამასწინანდელ სატელევიზიო გამოსვლაში ბელოვეჟის აქციას ბოროტმოქმედება უწოდა. მას მაშინვე დაუჭირა მხარი მწერალმა ტატიანა ტოლსტაიამ.

ჩემი განსასჯელი არ არის — ასეა თუ არა, ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ უეცრად მე « ახლო საზღვარგარეთის » მოქალაქე, უცხოელი გავხდი. ახლა რუსეთში ჩასასვლელად მე ვიზა და მიწვევა მჭირდება. ჩემი ორმოცდაათწლიანი « ქორწინება » საბჭოთა ფეხბურთთან ჩაიშალა. »

II.

აი, ვრცელი ამონაწერი კოტე მახარაძის წიგნის « ორი ბატონის მსახურის » უკანასკნელ თავიდან, რომელსაც უბრალოთ ეწოდება « 1991 », ე.ი. 1991 წელი, რაც ჩვენში იწვევს ინგლისელი მწერლის ჯორჯ ორველის რომანის « 1984-ის » ასოციაციას, რომელშიც ის წინასწარმეტყველებდა, რომ საბჭოთა კავშირი დაინგრეოდა 1984 წელს, რაც თუმცა შვიდი წლით უფრო გვიან, 1991 წელში, მოხდა.

III.

და აქ მიჭირს, მეტად მიჭირს თავი შევიკავო მწვავე, დაუნდობელ კომენტარისაგან, მაგრამ თავაზიანიც რომ მსურს ვიყო მწვავე, დაუნდობელი კომენტარის დროსაც?.. ამიტომ უკეთესი ხომ არ იქნება, რომ ოდნავად მაინც დავწყნარდეთ, « ჯანსაღი აზროვნება » გავაბატონოთ, და სიტყვა ისევ ბატონ კოტე მახარაძეს მივცეთ ?..

IV.

« ერთი და იგივე ფანჯრიდან შეიძლება სულ სხვადასხვა სურათი დაინახო — გააჩნია, ვინ როგორ უყურებს ».

« ერთი ყველაზე საუკეთესო მომთხრობელი ა. დიუმა გვაფრთხილებდა : « რაოდენ კარგადაც არ უნდა ლაპარაკობდეს ადამიანი, გახსოვდეთ, როცა ის მეტისმეტად ბევრს ლაპარაკობს, ბოლოს და ბოლოს სისულელეს იტყვის »(გვ.3 და 5).

« მსახიობიც, კომენტატორიც... — ალო, გისმენთ ! — »მოსფილმიდან » გაწუხებთ, გთხოვთ, ორშაბათს მოსკოვში ჩამოხვიდეთ გადაღებაზე... მოკლედ, დეპეშის ენით მაუწყებენ. პასუხს არც ელოდებიან, « მოსფილმის » წინადადებაზე უარი ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოუდგენიათ. — ის მაინც მითხარით, ვინ უნდა ვითამაშო ? — კომენტატორი კოტე მახარაძე ! »(გვ.6).
« ...სუპერ-სტადიონი...მაგალითად, « მარაკანა » ბრაზილიაში, სადაც ფეხბურთი 202-ათასმა კაცმა ნახა. ამდენი ხალხი მხოლოდ ერთხელ ეწვია « მარაკანას » - 1950 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩზე ბრაზილიისა და ურუგვაის ნაკრებ გუნდებს შორის »(გვ.12).
« კორსიკელები ყოველნაირად უარყოფენ ყველაფერ ფრანგულს კუნძულზე... ჯერ არ შემხვედრია მიწის ისეთი კუთხე, ასე საოცრად რომ ჰგავდეს საქართველოს, როგორც კორსიკა »(გვ.19).
« ...სტანისლავსკის სისტემის ქვაკუთხედი დრამის მსახიობისათვის სწორედ ასეთი სამუშაო პარტიტურის შექმნა იყო. « ტრენინგი და მუშტრა » — ასე უწოდა მან თავისი ცნობილი წიგნის ერთ, უმთავრეს თავს... »(გვ.22).
« კაჩალოვის ბაგით ჭეშმარიტება ღაღადებს ».(გვ.24).
"რაც შეეხება პირველი სკოლის ბიბლიოთეკას...ეს იყო უმდიდრესი წიგნთსაცავი..., რომელიც სკოლამ მემკვიდრეობით მიიღო სახელგანთქმულ ვაჟთა პირველი გიმნაზიისგან. ამ ბიბლიოთეკის წიგნებზე აღიზარდნენ ქართული მიწის უბრწყინვალესი შვილები... ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი და რაფიელ ერისთავები, სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკი, ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი, კოტე მარჯანიშვილი, ვასო აბაშიძე. ეს სრული სია არ არის"(გვ.31).
"პირველ სკოლას "დედასკოლას" უწოდებენ"(გვ.40).
"42 წლის თბილისური ზამთარი." "...400 ათსზე მეტი თავისი შვილი გააგზავნა საქართველომ სამშობლოს დასაცავად. ისინი გმირულად იბრძოდნენ ომის ფრონტებზე. მათგან 200 ათასზე მეტი ფაშისტებთან ბრძოლაში დაიღუპა"(გვ.63).
"...ბოლოს ბერლინამდეც ჩავიდენ და რაიხსტაგზე გამარჯვების წითელი დროშა აღმართეს. ეს რუსმა მეომარმა ეგოროვმა და ქართველმა ქანთარიამ გააკეთეს..."(გვ.63-64).
"როდესაც თბილისში ხმა დაირხა, სამხატვრო თეატრის ევაკუირებული მოღვაწეები ჩამოდიანო, ცოტა ვინმემ თუ დაიჯერა ეს..."(გვ.65).
"...იმის დაზუსტება კი, თუ რომელ კლასში, რომელ ოთახში, რომელ მერხთან იჯდა და სწავლობდა ნემიროვიჩ-დანჩენკო, ვერა და ვერ მოხერხდა"(გვ.66).
"ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკო...ოზურგეთის რაიონის სოფელ შემომქმედში დაიბადა, სადაც ახლა მისი სახლ-მუზეუმია გახსნილი"(გვ.66).
"...პატარაობიდანვე მაიაკოვსკიზე ვიყავით შეყვარულები... მერე კი მთლიანად იპყრობს შენს არსებას სერგეი ესენინი... გაოგნებული, დიახ, გაოგნებული ვიჯექი ხოლმე...ვასილი კაჩალოვის შემოქმედებით"(გვ. 72-73).
"ცეკვის ჯადოქარი" — "ღვთაებრივი ვერიკო" — ვახტანგ ჭაბუკიანი და ვერიკო აწჯაფარიძე(გვ.77-100).
"მაშინ ყველა რეპორტაჟი ცენტრალური ტელევიზიით რუსულ ენაზე მიმყავდა..."(გვ.151).
"1981 წლის 13 მაისი...თბილისის "დინამოს" ფეხბურთელებმა ევროპული ქვეყნების თასების მფლობელთა თასი მოიგეს. ეს გამარჯვება ქართული ფეხბურთის უმაღლეს მიღწევად იქცა"(გვ.217). და სხვა-და-სხვა!..

V.

და, ნებსით თუ უნებლიეთ, ისევ მივედით — "იყო და არა იყო რა"; და აქ ვითომ ზღაპარსავით შეგვიძლია ვთქვათ: "ღვთის უკეთესი რა იქნებოდა?.." ვითომ სსრკ-ას დაშლა, ეს, — ვფიქრობთ, გვჯერა — ერთადერთი, დიახ, ერთადერთი დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰუმანიტარული აქტი კრემლის დიქტატორებისა, "იყო და არა იყო რა-ს", ე.ი. ზღაპარს წააგავს, სულ ცოტა კოტე მახარაძისათვის?..

VI.

ამ "ორი ბატონის მსახურში" ისე არის მოთხრონილი ავტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარი "სასიამოვნო" მომენტები, რომ თითქოს იმავე ჯორჯ ორველის ზღაპარს – "ცხოველების ფერმა" – ვკითხულობთ, თუმცა ამ ზღაპარშიც ყველაფერი ისე "სასიამოვნო" არ უნდა იყოს, როგორც ამას "ორი ბატონის მსახური" გვაუწყებს.

VII.

"სასიამოვნო არ უნდა იყოს", ვამბობთ, რადგან შეუძლებელია, რომ "ორი ბატონის მსახურობა", რაშიც ავტორი, რამდენადაც ჩვენ აღვიქვით, ხელოვნებისა და სპორტის მსახურობას გულისხმობს, – ასე ჰარმონიული ყოფილიყო, ავტორის მთელი ცხოვრების განმავლობაში, – დაწყებული გასული საუკუნის 30-თიან წლებიდან 20-ე საუკუნის დასასრულამდე, თუმცა, როგორც ავტორი ამბობს, "ერთი და იგივე ფანჯრიდან შეიძლება სულ სხვადასხვა სურათი დაინახო – გააჩნია, ვინ როგორ უყურებს".

VIII.

და ავტორმა დაინახა, აღნიშნულ პერიოდში, ყველაფერი "ვარდის ფერებში", თბილისში, რაც დაკავშირებული იყო თბილისის პირველ საჩვენებელ ათწლედთან, საქართველოს თეატრალურ ინსტიტუსთან, რომლის პირველი კურსის სტუდენტი იგი 1944 წელში ყოფილა, რუსთაველის თეატრთან, რომლის წამყვანი მსახიობი ის ყოფილა, და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადიო-ტელეხედვასთან, რომლის არა მარტო გამოჩენილი რეპორტიორი ის იყო.

IX.

ამდენად, ავტორი "სისულელეს კი არ ლაპარაკობს", ჩვენც ავტორის წაბაძვით ა. დიუმას სიტყვები გავიმეოროთ, - არამედ მოგვითხრობს მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას საბჭოთა ხანაში, რომლის დროს, თუ მის გულწრფელობაში ეჭვს არ შევიტანთ, – მას არაფერი არ გაუგონია იმის შესახებ, რომ საქართველო დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო იყო 1918-1921 წლებში, რომელიც იარაღის ძალით დაიპყრო რუსეთმა და იგი რუსეთის პროვინციათ აქცია, რის შედეგათ საქართველოს ტერიტორიის ერთი-მეხუთედი საქართველოს მეზობლებს დაურიგა და სოჭი და მისი რეგიონი თვითონ მიითვისა, თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს; არაფერი არ გაუგონია იმის შესახებ, რომ 1924 წლის 28-29 აგვისტოს საქართველოში მოხდა საერთო სახალხო აჯანყება ბოლშევიკური დიქტატურის წინაარმდეგ, რომელიც რუსეთმა სისხლში ჩაახჩო; ხოლო რის მ ო წ მ ე თვითონ იყო, მასზე სდუმს ისე, თითქოს საქართველოში კოლექტივიზაციას, 1936-1937 წლების მასობრივ დაჭერებს, დახვრეტებს... საერთოდ არ ქონოდეს ადგილი, თუმცა ამ ე.წ-ლ "წმენდებს" ემსხვერპლა ჩვენი ინტელიგენციის ისეთი გამოჩენილი პიროვნებები, როგორიც იყო მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, ევგენი მიქელაძე თუ სანდრო ახმეტელი; ავტორი "ნაწილობრივ" სდუმს იმის შესახებაც, რომ საქართველოში, მეორე მსოფლიო ომის დროს, საქართველოს მოსახლეობის თავისებურ გენოციდს ჰქონდა ადგილი, როცა საქართველოს მაშინდელ სამ-ნახევარ მილიონ მოსახლეობიდან 700-ათასი კაცი გაიწვიეს ომში, რომელთაგან ნახევარზე მეტი დაიღუპა; ამ, აქამდე ოფიციალურ ცნობას, ავტორი იმდენად "ასწორებს", რომ მეორე მსოფლიო ომში თითქოს 400-ათასზე მეტი კაცი იქნა გაწვეული საქართველოდან, რომელთაგან 200-ათასზე მეტი სახლში არ დაბრუნებულა. ავტორი სდუმს აგრეთვე ისეთ მყვირალა ფაქტზე, როგორიც იყო სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების მშიდობიანი დემორსტრაციების სისხლში

ჩახჩობა თბილისში 1956 წლის 9 მარტს, თუ 1989 წლის 9 აპრილის მშიდობიანი დემონსტრანტების დაჩეხვა ორლესილი ბარებით და რუსეთის სპეციალური შეიარაღებული ძალების მიერ საწამლავი ნივთიერების გამოყენება, რომლის დროს მოკლულ იქნა 17 ქალი, ბავშვი და მოხუცი და საწამლავით დაზიანდა ასობით ადამიანი; და არ ახსენებს, ან მხოლოდ "კონფლიქტს" უწოდებს შიდა ქართლის და აფხაზეთის ომებს, რომელსაც ფაქტიურად რუსეთის შეიარაღებული ძალები აწარმოებდენ საქართველოს წინააღმდეგ, რასაც მოყვა ქართველთა გენოციდი და სამ-ათასზე მეტი ლტოლვილი საქართველოს ამ ძირძველი მიწებიდან.

X.

სამაგიეროდ "ვარდის ფერებში" არის აღწერილი მაიაკოვსკისა და ესენინის პოეზია, რომლის დროს ავტორი დუმილით უვლის გვერდს მათ ტრაგიკულ ბედს; ავტორი აღტაცებულია კაჩალოვისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს თუ სხვა რუს ხელოვანთა შემოქმედებით, რომლებმაც, მეორე მსოფლიო ომის გამო, თავი შეაფარეს საქართველოს; არც ქართველ ხელოვანებს — აკაკი ხორავას, ვახტანგ ჭაბუკიანს, ვერიკო ანჯაფარიძეს თუ სოფიკო ჭიაურელს ივიწყებს, რომლებიც მართლაც დასაფასებელია. მაგრამ რატომ არ იგონებს მიხეილ ჯავახიშვილს, ტიციან ტაბიძეს თუ სანდრო ახმეტელს?..

XI.

და აქ გვაგონდება საქართველოს პრეზიდენტის(1991-1993 წლები) — ზვიად გამსახურდიას — (უსამართლო?) ტერმინი ქართული "წითელი ინტელიგენციის" შესახებ: ვითომ მართლა არსებობდა საბჭოთა საქართველოში ქართული "წითელი ინტელიგენცია?.." და თუ ასეთი რამ მართლა არსებობდა, ვითომ ამგვარი "წითელი ინტელიგენციის" ერთერთი ტიპიური წარმომადგენელი არის კოტე მახარაძე, რომელიც არის არა "ორი ბატონის", ე.ი. ხელოვნებისა და სპორტის, არამედ ერთდერთი ბატონის — კრემლის მსახური?..

XII.

რა თქმა უნდა, ქართველსაც შეუძლია გახდეს რუსი და ემსახუროს კრემლს; მაშინ ის არის წარმოშობით ქართველი, მაგრამ რუსეთის მოქალაქე. ასევე შეიძლება რუსი გახდეს ქართველი; მაშინ ის არის წარმოშობით რუსი, მაგრამ ქართველი, საქართველოს მოქალაქე. ეს, დემოკრატიის პირობებში, ნორმალური მოვლენაა და ნორმალური უნდა იყოს.

XIII.

მაგრამ ამ წიგნის მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება — რა ბედნიერი ყოფილა საქართველო და ქართველობა 1921-1991 წლებში, ე.ი. რუსეთის განუკითხავი ბატონობის დროს, და რა უბედურია დღეს, რადგან 1991 წლის 9 აპრილს ისევ აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?!..

XIV.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვიზიარებთ საქართველოს ინტელიგენციის "საბჭოთა" და "არა-საბჭოთა" ინტელიგენციათ დაყოფას, რაც არის არა მარტო ყოვლად გაუმართლებელი, არამედ მეტად ყალბი მიდგომა საქართველოს დღევანდელი რთული პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური პრობლემების მოგვარების გზაზე. და ჩვენს ამ რთულ მდგომარეობას, მოხერხებულად იყენებენ საქართველოს წინაარმდეგ, ყოველი ჯურის "ბნელი ძალები"?..

XV.

ამიტომ ჩვენ, ყველამ არ უნდა განვთავისუფლდეთ"უფროსი ძმის" თითქმის ორასწლოვან დაავადებისაგან, რომლითაც დაავადმყოფებულნი არიან არც ისე მცირე ნაწილი ჩვენი არა მარტო ინტელგეციისა?.. ბატონი კოტე მახარაძე, მაგალითად, სამართლიანად თუ უსამართლოთ, ხოტბას ასხამს რუსეთის ისეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილ პიროვნებებს, როგორიც იყვნენ, ვთქვათ, სტანისლავსკი, მაიაკოვსკი თუ ტოლსტოი, მაგრამ ერთხელაც წინა პლანზე არ წამოწევს, ვთქვათ, შოთას თუ ვაჟას — მხოლოდ ამ ორი მსიფლიო მასშტაბის, დიახ, მსოფლიო მასშტაბის გენიოსებზე შევჩერდეთ. და ამგვარი აღრევა ქართულისა რუსულში თუ რუსულისა ქართულში, ვითომ იქითკენ არ მიდის, რამაც გამოიწვია 1978 წლის 14 აპრილის მასობრივი დემონსტრაციები თბილისში, როცა კრემლის დიდმპყრობელ შოვინისტებმა საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში, ქართული ენის სამაგიეროთ, რუსული ენის დაკანონება მოითხოვეს?..

XVI.

და ვინ ჩამოთვლის მის ყველა ამბებს, რომელსაც ადგილი აქვს ამ "ორი ბატონის მსახურში" — მით უმეტეს, რომ თვით ბატონი კოტე მახარაძე მეტად კმაყოფილია, თავისი ბედით, დღესაც, რადგან მას, როგორც თვითონ წერს, "...სპორტის გარეშეც ბევრი საქმე აქვს. თეატრალურ ინსტიტუტში ახალი კათედრა დავაარსე — საავტორო ტელევიზიის კათედრა. პროფესორი. გახლავართ, პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ტელეწამყვანისა და კომენტატორის პროფესიის შემსწავლელი ჯგუფი, რომელსაც ასეც ჰქვია —"კოტე მახარაძის ჯგუფი". 2002 წელს სრულდება 15 წელი "ერთი მსახიობის თეატრის" დაარსებიდან..."

XVII.

მაგრამ უკმაყოფილოა იმის გამო, რომ მას, როგორც "ახლო საზღვარგარეთის" მოქალაქეს, რუსეთში წასასვლელათ ვ ი ზ ა ესაჭიროება, თუმცა იმას არ ამბობს, რომ — მისი საქებარი რუსეთი — მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებიდან მოითხოვს ვიზას და არა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა წევრ-ქვეყნებიდან, რითაც რუსეთი საქართველოს "დაჩოქებას" ლამობს.

XVIII.

სხვათა შორის, როცა 1998 წლის მაისში, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის, უცხოეთში ცხოვრების შემდეგ, ისევ-სამშობლოში ვიყავი და "ერთი მსახიობის თეატრი" ვნახე, აღტაცება გამოიწვია ჩემში კოტე მახარაძის შემოქმედებამ. მაგრამ ახლა, როცა მისი წიგნი მივიღე საჩუქრად საქართველოდან და ჩემი აზრი გამოვთქვი "ორი ბატონის მსახურის"(ხელოვნება და სპორტი) შესახებ და ავტორი, შეიძლება, უსამართლოთ, "ერთი ბატონის მსახურად"(კრემლი) მივიჩნიე, გადავწყვიტე, რომ მომავალი ისევ-ჩამოსვლისას საქართველოში, შევეცდები მასთან შეხვედრას, რომ გულღიად გვესაუბრა ყველა აქ წამოჭრილ პრობლემაზე, თუ ამას ბატონი კოტე მოისურვებდა. მაგრამ მითხრეს, რომ ის, მისი ამ წიგნის გამოცემის შემდეგ, ე.ი. 2001 წლის შემდეგ, გარდაცვლილა.

XXII.

მაგრამ — ვინ იცის! — შეიძლება ე.წ-ლი "წითელი ინტელიგენცია" კოტე მახარაძის წარმოდგენაში, მაგრამ საინამდვილეში საერთოდ არც კი არსებობდა, მით უმეტეს საქართველოში?.. რა თქმა უნდა, ქართველიც შეიძლება გახდეს ამერიკელი, რუსი, ინგლისელი შვეიცარიელი თუ ფრანგი, ისევე, როგორც სხვა ერის შვილი, შეიძლება, გახდეს ქართველი. მაგრამ ეროვნულად ამაყი ქართველი, სხვა ერის, სხვა სახელმწიფოს მონამორჩილი — ვერ წარმომიდგენია. შეიძლება, ქართველი არის ერთადერთი ერის შვილი, რომელსაც უსაზღვროთ უყვარს თავისი საკუთარი ერი, მაგრამ, იმავე დროს, პატივს სცემს სხვა ერს, სხვა ერის შვილებს ისე, როგორც თავის საკუთარ ერს; და ამას ჩვენ ქ ა რ თ უ ლ ჰ უ მ ა ნ ი ზ მ ს ვუწოდებთ; და ვითომ ამ ზღვარს-საზღვარს გადაშორდა კოტე მახარაძე თავის წიგნში "ორი ბატონის მსახური?..".

კარლო ინასარიძე
2003 წლის 28 აგვისტო, მარიობა,
პლემორ ბოდუ, ბრეტანია — საფრანგეთი
Pleumeur-Bodou, Bretagne, France

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სახელმწიფო დროშა, გერბი, ჰიმნი და ტერიტორია

I.

თუ საქართველოს სახელმწიფოებრივ ისტორიას სამ - მითოლოგიურ, მონარქიულ და რესპუბლიკურ – ხანად დავყობთ, რესპუბლიკური ხანის საწყისია 1918 წლის 26 მაისი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის "დამოუკიდებლობის აქტის" გამოცხადება, თბილისში, მთავრობის სასახლეში – რუსთაველის გამზირზე, 5 საათსა და 10 წუთზე, რითაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოს "პატარა ოქროს ხანას" 1918-1921 წლებში, – თამარ მეფის "დიდი ოქროს ხანისა" და მეფე აიეტის "ოქროს საწმისის" ხანის პირისპირ.

აწ დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს სახელმწიფოს რესპუბლიკური ხანის დროშა, გერბი, ჰიმნი და ტერიტორია ასეთ სურათს იძლევა:

II.

## საქართველოს სახელმწიფო დროშა



საქართველოს სახელმწიფო დროშა
2004 წლის 25 იანვრიდან.

III.

## საქართველოს სახელმწიფო გერბი



საქართველოს სახელმწიფო გერბი 1990 წლის 14 ნოემბრიდან.

2004 წლის 2 ოქტომბრის გაზეთმა "საქართველოს რესპუბლიკამ" გვაცნობა, რომ საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის 1 ოქტომბერს დაამტკიცა საქართველოს ახალი სახელმწიფო გერბი.

საქართველოს დღეიდან ახალი სახელმწიფო გერბი აქვს, რომლის ავტორიც ჰერალდიკოსი მამუკა გონგაძეა.

პარლამენტმა გუშინ „სახელმწიფო ატრიბუტიკის შესახებ" კანონში ცვლილება შეიტანა და კონკურსში გამარჯვებული გერბის პროექტის სახეცვლილი ვარიანტი დაამტკიცა. საქართველოს სახელმწიფო გერბი პარლამენტმა 130 ხმით სამის წინააღმდეგ მიიღო.

საქართველოს სახელმწიფო გერბზე ძლიერების სიმბოლო – ორი ლომია გამოსახული, რომელთა შუაში ფარია, მასზე კი, წითელ ფონზე წმინდა გი-



ორგის ხატებაა. ფარის ზედა მხარეს სამეფო გვირგვინია განთავსებული.

IV.

## საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი "დ ი დ ე ბ ა" შეიცვალა ახალი სახელმწიფო ჰიმნით – "თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა" – 2004 წელში, რომლის ტექსტი ასეთია:

### "თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა" 2004 წლიდან

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათლებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.

თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

მუსიკა ზაქარია ფალიაშვილის
ჰიმნად დაამუშავა იოსებ კეჭაყმაძემ.
ტექსტი დავით მაღრაძის.

## საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია

VI.

დამოუკიდებელი საქართველოს ხელმძღვანელობამ, 1918-1921 წლებში, შეძლო საქართველოს თითქმის მთელი ისტორიული ტერიტორიის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სფეროში მოქცევა. როცა ბოლშევიკებმა რუსეთ-საქართველოს ომში, 1921 წლის 11 თებერვლიდან 17 მარტამდე დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო,
საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია უდრიდა........................................ 91 119 კვადრატულ კილომეტრს;
აზერბაიჯანის.................................................................................................... 84 379 კვადრატულ კილომეტრს;
სომხეთის.......................................................................................................... 30 200 კვადრატულ კილომეტრს;
ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორია უდრიდა.............................................. 90 200 კვადრატულ კილომეტრს.
კავკასიის მთელი ტერიტორია ერთად უდრიდა.......................................... 296 189 კვადრატულ კილომეტრს.

ბოლშევიკებმა საბჭოთა საქართველოს კი დაუტოვეს დამოუკიდებელი საქართველოს მხოლოდ 69 700 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, რაც დარჩა საქართველოს ტერიტორია მას შემდეგაც, როცა საქართველომ - 1991 წლის 9 აპრილს - ისევ აღადგინა დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

ამგვარად, რუსეთ-საქარეთველოს 1921 თებერვალ-მარტის ომის შედეგად, საქართველომ დაკარგა თავისი ტერიტირიის თითმის 21 000 კვადრატული კილომეტრი, რომელიც რუსეთმა დაურიგა ჩვენს მეზობლებს, და ჩვენი სოჭი და მისი რეგიონი თვითონაც მიითვისა თითქოს რუსეთის ტერიტორია ალღეს.

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 2004 წლის 21 დეკემბერი

## საქართველოს სახელმწიფო
## დროშა, გერბი, ჰიმნი და ტერიტორია

# სოციალ-დემოკრატიული პარტიის(“მესამე დასის”) ჰერალდიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ა მ ო ნ ა წ ე რ ი
## საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (“მესამე დასი”) საზღვარგარეთელი ბიუროს 2005 წლის 21 მაისის ოქმიდან

2005 წლის 21 მაისის თარიღით, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის („მესამე დასი“), საზღვარგარეთელმა ბიურომ – სსდ პარტიის დროშად, გერბად და ჰიმნად დაამტკიცა საქართველოს დემოკრადიული რესპუბლიკის ყოფილი დროშა, გერბი და ჰიმნი.:

1. სსდ პარტიის დროშა არის –
– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის პირველი თავის მეოთხე მუხლით განსაზღვრული – “შეინდის ფერი ალამი შავი და თეთრი ზოლითა”.

2.”საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით“.

3.საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჰიმნი არის “დიდება”...

4.სსდ პარტიის საერთაშორისო ემბლემა კი არის “წრეში ჩასმული შინდისფერი ვარდი”.

## საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დროშა:



საქართველოს სახელმწიფო დროშა 1918 წლის 26 მაისიდან 2004 წლის 25 იანვრამდე.

## საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის გერბი :



საქართველოს სახელმწიფო გერბი 1918 წლის 26 მაისიდან 1990 წლის 14 ნოემბრამდე.

## “თ ე თ რ ი  გ ი ო რ გ ი”

"ცოდვილი" ადამიანი, ადამისა(ადამიანი) და ევას ჩამომავალი, თავისი ერის ისტორიულ პირებს ზე-ადამიანური, ღვთიური თვისებებით ამკობს, რომ ამგვარ იდეალურ, სრულყოფილ ადამიანში თავისი თავი, თავისი ერი დაინახოს. ადამიანის ამგვარი მისწრაფება სათავეს იღებს რეალური ცხოვრებიდან. უხსოვარი დროიდან, მაგალითად, ქართველმა ადამიანმა "დედა-მიწის"=მიწათმოქმედების სიმბოლოდ გახადა ხარი, როგორც გამწევი, შრომის შემსუბუქების ძალა.

"...ქართული ანბანის 34-ე ასოს მისცა "ხარის" მოყვანილობა. იმის გარდა, რომ ასოს სახელი ხარს აღნიშნავს, მისი მოყვანილობაც ხარის რქებს გამოსახავს და მთვარის სიმბოლოდაც შეიძლება მივიჩნიოთ". "...ხეთური სახელი მთვარისა და მთვარე-ღმერთისა ყოფილა [illegible]..." "...შემდეგ მოგვცა საყოველთაოდ მიღებული არმაზი და აქედან კი ადგილის სახელი არმაზისციხე-არმაზციხე(არმასციხე)". "...მიწადმოქმედების კულტის საგნები სულ უფრო და უფრო ემსგავსება ახალი მთვარის გამოსახულებას, ე.ი. შინაარსითა და გარეგნულადაც კანონზომიერი ჩანს უძველესი ქართული მიწადმოქმედების კულტის გადაზრდა მამა-ღმერთის, მთვარის, შემდეგ კი - წმინდა გიორგის კულტში. ამის მიხედვით ხარის ე.წ. საწესი გამოსახულებანი მთვარის ღვთაების სიმბოლოდ უნდა მივიჩნიოთ; ე.ი. შეიძლება ვთქვათ, რომ ანტიკურ საქართველოში ასე გავრცელებული და გაბატონებული მთვარის ღვთაებას(არმა-არმაზი, შემდეგ წმინდა გიორგი) შვიდიოდე ათასი წლის ტრადიცია უნდა ჰქონოდა". "...უძველეს ღვთაებათა სხვა წინააზიური სახელები დაცულია ძველ ქართული კერპის 'აინინას' სახელში, რომელიც შემდეგ უნდა ქცეულიყო ქართველ ქალთა ეროვნულ სახელად: 'ნინო', 'ნანა'." ამგვარად მისდა "ყოველდღიური", "რეალური" ქმედების იდეალიზაცია: "მიწადმოქმედება"-"ხარი"-"ქართული ანბანის 34-ე ასო"-"ხარის რქები"-"მთვარე"-"ახალი მთვარე"-"თეთრი გიორგი"-"წმინდა გიორგი"(ს.ი.ნ., ტ.I.). (Georgios, Georgos-"მიწადმოქმედი", ბერძ.). ამიტომ ამბობს გრიგოლ რობაქიძე: "...მითიური რეალობა არის უფრო მეტი და უფრო აზრიანი, ვიდრე ისტორიული".

## საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჰიმნი:

"დიდება"

1918-2004 წლებში

დიდება ზეცით კურთხეულს
დიდება ქვეყნად სამოთხეს
ტურფა ივერსა!
დიდება ძმობა-ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისოდ
ქართველ მხნე ერსა!
დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა!
ვაშა ტრფობასა-სიყვარულს,
ვაშა შვებასა-სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტებას
შუქ-განთიადსა!

მუსიკა: კოტე ფოცხვერაშვილი

## საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საერთაშორისო ემბლემა:

"წრეში ჩასმული შინდისფერი ვარდი"



კარლო ინასარიძე
სსდპ საზღვარგარეთელი ბიუროს მდივანი –
ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე უცხოეთში
პარიზი – ლევილი, 2005 წლის 21 თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ზოგიერთი უფრო თანასწორუფლებიანია?.."

გაეროს 60 წლისთავი

I.

მოვიგონოთ: მეორე მსოფლიო ომის მსვლელობის დროს – 1939-1945 წლებში – მაშინდელი მსოფლიოს ხუთმა დიდმა სახელმწიფომ – აშშ, დიდიბრიტანეთი, საბჭოთა კავშირი, ჩინეთი და საფრანგეთი – შეთანხმდენ, მათს მოკავშირეებთან ერთად, – გერმანია-იაპონიის პირისპირ – შეექმნათ „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია"="O.N.U." - მსოფლიოს იმ ერებისაგან, რომლებიც ვალდებულებას აიღებენ თავიანთთავზე, პრაქტიკულად განახორციელებიათ „გაერთიანებული ერების ქარტია" მსოფლიოში მშვიდობიანობისა და უშიშროების დაცვის მიზნით, და ხელს შეუწყობდენ მსოფლიო ერებს შორის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ თანამშრომლობას. გაეროს უმენაესი ორგანო გახდა გენერალური ასამბლეა, ხოლო როგორც ეგზეკუტივი ფუმქციონირებს „უშიშროების საბჭო", რომელიც შესდგება 11 წევრისაგან, რომელთაგან 5 მუდმივი – აშშ, ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი და ჩინეთი –, ხოლო ექვსი გენერალური ასმბლეის მიერ ორი წლის ვადით არჩეული წევრებია. გაეროს მთავარი სადგომი კი არის ნიუ-იორკში.

II.

და დღეს გაეროში უკვე გაერთიანებულია 191 სახელმწიფო, რომელთა შორის, საბედნიეროდ, არის ჩვენი სამშობლო – საქართველოც, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო; და ამით , საქართველოც გაეროს მოქმედების სფეროშია მოქცეული განსაკუთრებით ჩვენს აფხაზეთში არსებული მდგომარეობის გამო, სადაც რუსეთის ჯარები დგას, გაეროს სამშვიდობო მისიით, თუმცა რუსეთი, როგორც ყოველთვის, ხელს უწყობს არა მშვიდობიანობის საქმეს აფხაზეთში, არამედ ცდილობს სამხედრო შეტაკეკების გააღვივებასაც კი, რომ ამ რეგიონში თვით რუსეთის სამხედრო ძალების უშუალო გამოყენების საშუალება მიეცეს მისი ნეოიმპერიული ზრახვების განსახორციელებლად.

III.

და აქ მივედით გაეროს ყველაზე უფრო მტკივნეულ პრობლემასთან: როგორ უნდა იქნას პრაქტიკულად განხორციელებული "თანასწორობა დიდ და პატარა" სახელმწიფოებს – "ნაციებს" – შორის იმ დროს, როცა გაეროში, გაეროს ქარტიის შესაბამისად, თეორიულად "ყველა თანასწორია", მაგრამ პრაქტიკულად "ზოგიერთები უფრო თანასწორია?.."

IV.

რუსეთი, მაგალითად, ისეთივე რიგითი წევრია გაეროსა, როგორც საქართველო, მაგრამ მას აქვს მინიჭებული "ვეტოს უფლება" ისე, როგორც სხვა "დიდ" სახელმწიფოებს – აშშ-ბრიტანეთ-ჩინეთ-საფღანგეთს, – რაც მას ანიჭებს საერთაშორისო საქმეებში ჩარევის არა მარტო პოლიტიკურ ჩარევას, რის ერთერთი მაგალითია საქართველო, არამედ იგი საქართველოს საშუალებას არ აძლევს მისი საჩინაო საქმეები ისე მოაგვაროს, როგორც ეს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას სურს.

V.

და ეს პრობლემა, გაეროს საფუძლების რეორგანიზაცია, გენერალური ასამბლეის სექტემბრის სესიაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ მოგვარდა, რადგან ადვილი საქმე არ არის მსოფლიოს 191 სახელმწიფოს ორი-მესამედი ხმით გადაწყვეტილების მიღება, როცა საკითხი უშიშროების საბჭოს წევრთა რაოდენობის გაზრდას ეხება, რომლის დროს ყურადღების ცენტრში დგას ისევ უშიშროების საბჭოს წევრთა "ვეტოს უფლება".

VI.

ამგვარად, ახლაც სადავო საკითხია არა გაეროს წევრთა "თანასწორ-უფლებიანობა" , არამედ იმ სახელმწიფოთა რიცხვის გადიდება, რომელთაც ექნებათ "ვეტოს უფლება", და ამით, მათი უფლებები გაიზრდება. ასეთი სახელწიფოების განდიდატები კი არიან იაპონია, გერმანია, ინდოეთი თუ ბრაზილია, რომელთა პოლიტიკურ-ეკონომიკური რაობა ამგვარი უფლებების მინიჭებას მათდამი თითქოს ამართლებს. სხვა სიტყვებით: ისევ ძალაში რჩება

სიბრძნე: ჩვენ გაეროში ყველა თანასწორუფლებიანები ვართ, მაგრამ ზოგიერთები უფრო თანასწორუფლებანები არიან, და მათ რიცხვს, გასაგებია, საქართველოც არ ეკუთვნის.

VII.

რა თქმა უნდა, "მთელი მეტია, ვიდრე მისი ნაწილები" და "ძალა ერთობაშია", მაგრამ ვითომ სასურველია, კიდევ მეტი, აუცილებელია გაეროს 191 წევრ-სახელმწიფოს "ერთხმიანობა", როცა საკითხი ომისა და მშვიდობის პრობლემას ეხება? — ამ შემთხვევაში, გამართლებული ხომ არ არის უშიშროების საბჭოში ზოგიერთ სახელმწიფოთა "ვეტოს უფლება", რაც, როგორც აღვნიშნეთ, გაეროს წევრ-სახელმწიფოთა თანასწორუბლებიაობის ხელყოფაა?..

VIII.

და, ამგვარი "უთანასწორობის" მსხვერპლი ხომ არ ვართ ახლა ჩვენც, ქართველობა, საქართველო, როცა "დიდი სახელმწიფო" — რუსეთი — "პატარა სახელმწიფო" — საქართველოს — ტერიტორიულ ერთიანობის საკითხსაც კი იყენებს მისი ნეო-იმპერიული მიზნებისათვის?.. ვითომ გაეროს ქარტიით რუსეთი, როგორც "დიდი სახელმწიფო" უფრო თანასწორუფლებიანია, ვიდრე "პატარა საქართველო?.."

ამ კითხვას პასუხი ვერ გასცა გაეროს ვერც 2005 წლის სექტემბის გენერალური ასამბლეიის სესიამაც, თუმცა მას დაესწრო საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

IX.

ვიმედოვნებთ, პოსტბოლშევიკური ნეო-იმპერიალიზმის წინააღმდეგ საქართველოში ამჯერადაც ხმას აიმაღლებს არა მარტო გაერო, არამედ დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნებიც.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2005 წლის 29 ოქტომბერი

---

თავისუფლება გამოწვევაა

"უფრო ძნელია იცხოვრო თავისუფლების პირობებში, ვიდრე მონურ მდგომარეობაში, რადგან თავისუფლება გამოწვევაა, განუწყვეტელი ლტოლვა, თავისთავის სრული კონტროლი, შეიძლება თავისუფლებისათვის თავგანწირვაც კი... თავისუფლება არის დაპატიჟება იცხოვრო გაბედულად და ზოგჯერ გმირულად."

ჟორჟ ლეფებრი(1874-1959)

"...plus difficile de vivre qu'esclave, que la liberté est application, effort perpétuel, contrôle rigoureux de soi, sacrifice éventuel... elle est invitation à vivre courageusement et, à l'ocation, heroiquement."

Georges Lefebre(1874-1959)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბასკები და... ქართველობა

I.

"ბასკები და... ქართველობა" – ასეთ სათაურს ვაძლევთ ამ მიმოხილვას, რადგან მსოფლიო მასობრივი ინფორმაციის მედიუმებმა გვაცნობა (23.3.2006), რომ "Eta"="ეტა"-მ ("ბასკეთი და თავისუფლება"="Euskadi ta Askatasuna") შეწყვიტა ბრძოლა ესპანეთის მთავრობის წინააღმდეგ, რომლის განცხადებაში, სხვათაშორის, ნათქვამია:

II.

"ეტა 2006 წლის 24 მარტიდან აცხადებს შეიარაღებული ბრძოლის მუდმივ შეწყვეტას. ამ გადაწყვეტილების მიზანია ბასკეთში დემოკრატიული გზით ვიმოქმედოთ, რომ ისეთი ატმოსფერო შევქმნათ, რომელშიც უფლებები, რომლებიც ჩვენ როგორც ერს გვეკუთვნის, ცნობილი იქნას, და მომავალში პოლიტიკური არჩევანის შესაძლებლობას მოგვცემს. ამ პროცესის დასასრულს ბასკეთის მოქალაქეებს უფლება უნდა ჰქონდეთ მისი მომავალი თვითონ განსაზღვრონ. ესპანეთისა და საფრანგეთის სახელმწიფოებმა ამგვარი დემოკრატიული პროცესის შედეგები უნდა სცნონ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. გადაწყვეტილება, რომელსაც ჩვენ, ბასკეთის მოქალაქეები ჩვენი მომავლის შესახებ მივიღებთ, უნდა იქნას პატივცემული"

"კონფლიქტის დამთავრება 'აქვე და ახლავე' შესაძლებელია. ეს არის ეტა-ს ნება და სურვილი".

III.

როგორც ცნობილია, "ეტა" დაარსა, 1959 წლის 31 ივლისს, ბასკების მთავარ ქალაქ – ბილბაოში – იეზუიტების უნივერსიტეტის სტუდენტებმა. დასაწყისში "ეტა" ახლოს იდგა ბასკეთის ნაციონალურ პარტიასთან, მაგრამ იგი უკმაყოფილო იყო ნაციონალური პარტიის კურსით ფრანკოს რეჟიმის მიმართ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გენერალ ფრანკომ, ჰიტლერის საჰაერო ძალების მეშვეობით, დაბომბა ბასკეთის ისტორიული ქალაქი – გერნიკა, რომელიც გახდა, საერთოდ, ქალაქების დაბომბვის პირველი მსხვერპლი, რაც მოგვიანებით განმეორდა მეორე მსოფლიო ომის დროს, და დამთავრდა ატომური ბომბების აფეთქებებით.

"გერნიკა" კი – პაბლო პიკასოს გენიალური წინასწარმეტყველური ტილოთი – გახდა არა მარტო თანამედროვე მხატვრობის "ტრიუმფის ჰიშკარი", არამედ ამასთანავე ქალაქების დაუნდობელი საჰაერო დაბომბვის სიმბოლოც.

IV.

ბასკების ანთროპოლოგიური (ადამიანთა რასების მეცნიერება), ისტორიული, გეოგრაფიული თუ ლიტერატურული ფესვები დღემდე გაურკვეველია.

ბასკები, 1987 წლის მონაცემით (Brockhaus, B. 2, S.617), დაახლოებით 800 000 სულია, რომელთაგან 700 000 სული ესპანეთის, ხოლო 100 000 სული საფრანგეთის სახელმწიფოში, პირენეების მთებში და ბისკაიის ზღვის უბეს სანაპიროებთან, ცხოვრობს.

V.

"მეტად ძნელია განსაზღვრო წარმომავლობა ბასკი ხალხისა, რომელიც არის ნარევი იბერიელების, კელტებისა და კანტაბრელებისა. ბასკებში საზოგადოება ეყრდნობა პატრიარხატის სისტემას და დედის კულტს. ოჯახური მემკვიდრეობა არსებითათ გადადის თაობიდან თაობაზე, რომლის დროს გაბატონებულია პირველად დაბადებულის უფლება. კანონიერება ეყრდნობა ჩვეულებისა და ტრადიციის ზეპირ კანონს. ყველა ადამიანი არის თავისუფალი და თანასწორუფლებიანი; და არ არსებობს კლასების პრივილეგიები, რის შედეგად ყველა არის წერილი მწარმოებელი. რელიგია, კათოლიციზმი, არის წმინდა, არქაული, სეკულარული, შუასაუკუნოვანი სიმკაცრის ელფერით. სამღვდელოება, რომელსაც გააჩნია მართმსაჯულებითი ფუნქციაც, არის მრავალრიცხოვანი, ძლიერი და ავტორიტარული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI.

ბასკების ენა – eskuara - საიდუმლოებით არის მოცული. ბასკური არის ერთადერთი წინა-არიული ენა, რომელმაც გადაიტანა ინდო-ევროპიული შემოტევა, და ეს ენა არ ჰგავს არც ერთ სხვა ენას" ("LA GRANDE ENCICLOPEDIE", LAROUSSE , V.8, Paris 1972, P.1509).

VII.

ბასკების და კავკასიელების, არსებითად, ქართველების საიდუმლოებით მოცულ ნათესაობაზე, არსებითად ლაპარაკობს ("ქ.ს.ე", ტომი 2, თბილისი 1977 წელი, გვ. 222-224) ი. ბრეგაძე და ი. ჯანდიერი, რომლებიც მასალებს გვაწვდის "ბასკების", "ბასკების ქვეყნის" და "ბასკური ლიტერეატურის" შესახებ, რაც გვაუწყებს:

"ესპანეთში (ბასკურ პროვინციებში – ნავარა, გიპუსკოა, ბისკაია, ალავა) ცხოვრობს 800 ათასამდე კაცი (1972 წლის შეფასება), საფრანგეთში (ქვემო პირენეს დეპარტამენტი – 130 ათასამდე); ლათინურ ამერიკაში 250 ათასამდე ბასკი ემიგრანტია. ლაპარაკობენ ბასკურ ენაზე, სარგებლობენ ლათინური ანბანით. ბასკური დამწერლობის უძველესი ძეგლი XVI საუკუნისაა. სარწმუნეობით კათოლიკები არიან. ანთროპოლოგიური ტიპის მიხედვით ინდო-ხმელთაშუა ზღვის რასას განეკუთვნებიან.

ბასკების წარმოშობის საკითხი საბოლოოდ გარკვეული არაა. მეცნიერთა ერთ ნაწილს ისინი ადგილობრივი დასავლეთი პირენეების ენეოლითური ხანის მოსახეობის შთამომავლებათ მიაჩნია. ზოგი მხარს უჭერს ბასკების წინაპრების აღმოსავლეთიდან (საბერძნეთი, აფრიკა, კავკასია და სხვ.) მიგრაციის თეორიას, რომელსაც უკავშირდება ძველთაგანვე ცნობილი შეხედულება ბასკებისა და კავკასიელთა, კერძოთ, ქართველთა გენეტიკურ კავშირზე. ამ თეორიის მიმდევარ ავტორთა ერთი ნაწილი პირენეს იბერიელთა წინაპრებად კავკასიის იბერიელებს მიიჩნევს..."

"ჰიპოთეზა ბასკებისა და ქართველების გენეტიკური კავშირის შესახებ ემყარება ამ ორი ხალხის ყოფაში დამოწმებულ ეთნოგრაფიულ პარალელებსა და ენათმეცნიერთა (ვ. ჰუმბოლტდი, ჰ. შუხარდტი, ბოდრიმონი, ნ.მარი, რ. ლაფონი, და სხვ.) გამოკვლევებს".

VIII.

"1931 წელს, ესპანეთში რესპუბლიკური წყობილების დამყარების შემდეგ, დაიწყო ეროვნული მოძრაობის ახალი აღმავლობა. 1932 წლის 19 ივნისს პამპლონაში (ნავარა) შეიკრიბა ალავის, ბისკაიის, გიპუსკოის და ნავარის მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა ასამბლეა, რომელმაც მოიწონა ბასკების ავტონომიური სტატუტი".

"1937 წელს, ივნისის მეორე ნახევარში, ფრანკისტებმა დაიკავეს ბასკეთი; გენერალ ფრანკომ დაუყონებლივ გააუქმა ბასკეთის ავტონომია".

გენერალ ფრანკოს გარდაცვალებისა და ესპანეთში მონარქიული წესყობლების დამყარების შემდეგ, "ეტა" უკვე აღარ კმაყოფილდებოდა ბასკეთის ავტონომიით.
ვითომ ახლა "ეტა" უკვე მიისწრაფვის იმისაკენ, რომ "...ბასკეთი, ესპანეთთან მსუბუქათ ასოცირებული თავისუფალი სახელმწიფო გახდეს?!.."

IX.

და, თუ ჩვენ ამჟერად, "ჩვენი ბასკების" დამცველის როლში გამოვდივართ, ეს ჩვენი ბასკებთან არა მარტო "ჰიპოტეტური ნათესაობით" უნდა აიხსნას, არამედ იმითაც, რომ პაბლო პიკასომ "გერნიკა" თანამედროვე ხელოვნების "ტრიუმფის ჭიშკრად" აქცია, ხოლო ბასკი რომანტიკოს პოეტის – ხ. ბ. იპარაგირეს (1820-1881) – ლექსი "გერნიკის მუხა" ბასკების ჰიმნად იქცა.

X.

ჩვენ, მართალია, არ ვიცნობთ ბასკი პოეტის იპარაგირეს "გერნიკას მუხის" ტექსტს, მაგრამ მისი ტექსტიც ანალოგიური არ უნდა იყოს ჩვენი ხალხური ჰიმნის – "მუმლი მუხასას" – ტექსტისა, რომლის თანახმად მუხამ მუმლი მოიშორა და ისევ თავისუფლება მოიპოვა?..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2006 წლის 26 მაისი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ქართული ლიტერატურა და ხელოვნება

## "ერთ-გული" და "ორ-გული" ადამიანი?..

### მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 60 წლისთავი

(წერილი მეორე)

I.

ჯერ ერთი მაგალითი: ფრანგები ისევ-და-ისევ მოიგონებენ ხოლმე 1940-1944 წლებს, როცა საფრანგეთი დაპყრობილი იყო ჰიტლერის-გერმანიის ჯარების მიერ.
მაგრამ — მეორე მხრივ — სრულიად სამართიანად თვლიდენ, რომ იგივე ფრანგები განუკითხავად ბატონობდენ თავის კოლონიებში, ვთქვათ, ალჟირში, რომელმაც სისხლიანი ომებით გაინთავისუფლა თავი ფრანგი კოლონიზატორებისაგან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

II.

და აქ, ჩვენის აზრით, საქმე გვაქვს "გაორებულ" და "არა-გაორებულ" პიროვნებასთან, ან "ერთ-გულ" და "ორ-გულ" ადამიანთან: ფრანგი აღშფოთებულია, რომ იგი 1940-1944 წლებში, სულ ოთხ წელიწადს, ემსახურებოდა არა მარტო საფრანგეთს, არამედ ჰიტლერსაც. მაგრამ სრულიად ნორმალურად თვლიდა ალჟირელის ანალოგიურ "გა-ორებას"="ორ-გულობას" საფრანგეთისა და ალჟირის მიმართ.

III.

და აქ მივედით "დაპყრობილი" და "დამპყრობელი" ადამიანის, ერის, ქვეყნის ცნებასთან, რომლის დროს "დამპყრობელი"="იმპერიული" ერი მოქმედებს "ერთ-გულად"="არა-გაორებულად", ხოლო "დაპყრობილი" ადამიანი, ერი, ქვეყანა იძულებულია იყოს "გა-ორებული"=ორ-გული" თავისი სამშოლოს და დამპყრობელის მიმართ.

IV.

დაპყრობილი ადამიანის, ერის, ხალხის, ქვეყნის ამგვარი სავალალო, უუფლებო მდგომარეობა არ ესმით, არ სურთ გაიგონ ე.წ-ლმა "დიდმა" სახელმწიფოებმა, რომელთაგან ზოგიერთები დღესაც ვერ ითავისუფლებენ თავს, აწ დამაყაუბული იმპერიული ნოსტალგიისაგან, რომლის სუსხს ჩვენ, ქართველები დღესაც განვიცდით ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში.

V.

და თვით ეს "გა-ორებული"="ორ-გული" ადამიანი, ერი, ხალხი, ქვეყანა თვითონ ეძებს განთავისუფლების გზებს იმ დროსაც კი, როცა "დამპყრობელი" უკან არ იხევს ადამიანის, ერის, ხალხის გენოციდისაგანაც კი, როგორც ეს მოხდა ჩვენს აფხაზეთში 1990-იან წლებში; და თუ ადანმიანი იძულებულია იმოქმედოს "გა-ორებულად" იარაღით ხელშიდაც კი, მაინც ცდილობს იბრძოლოს თავისი თავის, თავისი ერის, თავისი ქვეყნის გადარჩენისათვის, რომლის დროს მას არჩევანის საშუალება არ გააჩნია; და ასეთ პირობებში ვიყავით ჩვენ, ქართველობა, საქართველო მეორე მსოფლიო ომის დროს.

VI.

ამ სტრიქონების დამწერი, 1941 წლის 5 აგვისტომდე იყო საბჭოთა არმიის წითელარმიელი, რომელიც იბრძოდა ჰიტლერის ვერმახტის წინააღმდეგ, დაწყებული 1941 წლის 22 ივნისიდან, ომის დაწყებისდანვე. გავიზიარე რა სამხედრო ტყვეთა ჯოჯოხეთური ბედი ტყვეთა ბანაკებში, 1942 წლის 1 აპრილიდან — მეორე მსიელიო ომის დამთავრებამდე, 1945 წლის 8 მაისამდე — ვიყავი ვერმახტის ჯარისკაცი.

VII.

ესე-იგი, - ჯერ - მე ვიბრძოდი, იარაღით ხელში, "მსოფლიო პროლეტარიატის" განთავისუფლებისათვის, რაც მე იმ დროს მჯეროდა კიდეც; და მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ შევიგნე, რომ თურმე ვიბრძოდი რუსეთის იმპერიის გაფართოებისათვის. ვერმახტში კი ვიბრძოდი გერმანიის "Lebensraum"-ისათვის, თუმცა ჰიტლერის რასიზმზე გამარჯვება მაინც სამართიანად უნდა ჩაითვალოს.

VIII.

მაგრამ სად ვარ მე, როგორც პიროვნება, როგორც ერის, როგორც საქართველოს შვილი?.. "ორი ბატონის – სტალინისა და ჰიტლერის – მსახური" ერთდროულად?.. როგორ უნდა ავხსნა, განვმარტო ეს?.. ვფიქრობ, აქ მივედი "გა-ორებული"="ორ-გული" ადამიანის, ერის, ხალხის, ქვეყნის ცნებასთან: სტალინსა და ჰიტლერს ვემსახურებოდი არა "ერთი-გულით", არა "არა-გაორებული", არამედ "ორი-გულით="გა-ორებული", რადგან მე ვიყავი რუსეთისათვის "დაპყრობილი" ერის შვილი, ჰიტლერისათვის კიდევ უარესი: "Untermensch"-ი.

IX.

და მიუხედავათ ყველა აღნიშნულისა, ქართველობა მაინც ცდილობდა ებრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის სტალინისა და ჰიტლერის დროსაც, რის საილუსტრაციოთ ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ პირველი წერილი – "რისთვის ვიბრძოდით?.. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 60 წლისთავი" –("მებრძოლი საქართველო", ნომერი 35(53), პარიზი, 26 მაისი, 2005 წელი).

ახლა აქვე ვაქვეყნებთ მეორე წერილს: "ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის პოეზია", რომელიც დაიბეჭდა ბერლინში, 1943 წელს, როგორც "ქართული ლეგიონის საველე ბიბლიოთეკის" პირველი კრებული: "ჩვენი სიმღერები".

X.

არა მარტო "ჩვენი სიმღერების" ლეგიონერ-ავტორების ვინაობა რჩება გაუხსნელი. ამჟამად, მხოლოდ ლეო ხუროძის – "ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის პოეზიის" ავტორის – სახელი და გვარია ცნობილი, რომელიც, როგორც თვითონ ამბობდა, იყო გაზეთ "ინდუსტრიული ქუთაისის" რედაქციის მდივანი და ემიგრაციაში იყენებდა "ლ. ლინი"-ს ფსევდონიმს.

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 2005 წლის 21 ნოემბერი

---

ქართული ლეგიონის საველე ბიბლიოთეკა

Nr. 1

# ჩვენი სიმღერები




ქართული ლეგიონის საველე ბიბლიოთეკა №1

ბერლინი 1943

მთავარი რედაქტორი: ასმეთაური გაი მადაურიძე.

წიგნის რედაქტორი: ოცმეთაური ლ. ლინი.
წიგნის ყდა და სურათები ათმეთაურ ე. ევგენიძისა და დ. მიხეილიძისა.

გაზეთ „საქართველოს" გამომცემლობა.
ბერლინი. ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის პოეზია

სამშობლო, ბრძოლა დაჩაგრული მამულის აღორძინებისათვის იყო და არის ქართული პოეზიის შთამაგონებელი წყარო. ჩვენი მადლიანი ქვეყნის მიწაზე მრავალ გზის დაგუბებულა უძირო ჭმუნვა. ულმობელ მტრებს ცეცხლით გადაუფერფლავთ ჩვენი ერის დიდება, მაგრამ ჟამთა სიავეს მაინც ვერ აღმოუკვეთავს ბრწყინვალე წარსული, ვერ წარუშლია მისი სახელოვანი კვალი. მწარე ბედმა ქართველ ხალხს ასწავლა მტერთან შეურიგებლობა, იგი იბრძოდა საუკუნეთა მანძილზე, სისხლით სწერდა თავის ისტორიას. მტერთაგან შევიწროებულნი, ჩვენი წინაპრები თუ ხმლის ტრიალით ვეღარ აღსდგებოდნენ, დამდაგავის ხმით მაინც დაიქუხებდნენ, რომ სულ არ გამქრალიყო იმედის კელაპტარი, წყვდიადიდან გამოეტანათ რწმენის ლამპარი და ხალხის გულში მამულის აღდგომისათვის გაღვივებული სურვილი აეტოკებინათ.

ქართული პოეზია ჩვენი ერის მღელვარე ცხოვრებისა და სულიერი წვის გამომსახველი სარკეა.უნაპირო სევდა, ელეგიური ჰანგები, ქვითინი წარსულ დიდებაზე წითელი ზოლივით გასდევს მთელს ქართულს პოეზიას, მაგრამ ეს კაეშანი არ ყოფილა პირადი, ვიწრო ინდივიდუალური. ამ ნაღველს აგუბებდა და სათავეს აძლევდა სამშობლოს მწარე ხვედრი. ეროვნული მონობის დამსხვრევის წყურვილი ისე ძლიერი იყო, რომ პოეტი თავის კალამს უსტარად აქცევდა,უბრძოლველად არ გადიოდა ასპარეზიდან. მამულის წმინდა სამსხვერპლოზე ხმალთან ერთად მიჰქონდა ჩანგიც, რომ ჩამოეკრა ცრემლით დათრთვილულ სიმთათვის და ფანატიკური სიკერპით ემღერა ხალხის გასამხნევებლად.

გოდება მამულზე ქართული პოეზიის ტრადიციაა. ეროვნულ ნაღველს თავისი პირველი ძირები შორეულ წარსულში გაუდგამს და იქედან უსაზრდოებია მთელი თაობანი. ცხოვრების სიმუხთლით გამწარებული მგოსანი მოსთქვამდა სოფლის გაუტანელობაზე. ოდესღაც დიდი **ბესიკი** გულმხურვალედ ღვრიდა ცხელ ცრემლს „სევდის ბაღში", **დ. გურამიშვილი,** რომლის შემოქმედებაშიაც ჩამოიქნა ქართული ლექსი, დამდაგავის ხმით ჰგოდებდა მამულზე „ცეცხლის კევრის" მობრუნების გამო.

„დამიმონა კაეშანმა,  
სევდა მომხვდა მისთვის წამლად,  
ნაღველს ვხმარობ მუდამ მელნად,  
გულსა ვიწვევ მისად კალმად"—ამბობს

პოეტი. **დ. გურამიშვილის** შემდეგ ეს ცრემლი არ შეშრობია ჩვენს პოეზიას. საქართველოს წარსულ დიდებაზე ისეთის გულისამადუღებლობითა და ნაღველით არავის უტირია, როგორც 1832 წლის შეთქმულების გმირთ. მამულის ამ სახელოვანი შვილების ტრაღიული შხამი, რომელიც ბრძოლის ველზე დამარცხებამ ამოიტანა გულსაწვავ ღრუბლად, მთლიანად გადაეშვა მათს ლირიულ ამღერებაში. გამტყუნდა ხმალი, მაგრამ მგზნებარე იყო პოეტის ჩანგი და ქართული სიტყვა რუსთაველის გენიით გამოზრდილი და მისი ძუძუით ნაზიარები. მართალია 1832 წლის შეთქმულებამ ვერ მოასწრო გაეშალა საბრძოლო დროშა, მამულის მეჭირნახულეს ალ. ორბელიანს იერიშის წინ გადაუტყდა ხმალი, მაგრამ ამ მოძრაობამ ქართულ პოეზიას მისცა ახალი სათავე, დამარცხებულთ უნდა ამოეტირათ მთელი ნაღველი.

**რომანტიულმა მწერლობამ გააძლიერა პატრიოტული სული და, შეიძლება ითქვას პოეზიის საგნად მთელი სიდიადით აქცია ეროვნული პრობლემა.**

საქართველოს ტანჯულმა ბედმა სევდით შეარხია **ალ. ჭავჭავაძის** ქნარი, რომელიც ალავერდობის ღამეს ფარნაოზ ბატონიშვილის მეამბოხეთა რაზმში იღებდა ფიცს ებრძოლა რუსეთის წინააღმდეგ. „წყეულ არს ის დრო, როს სამკვიდრო დავკარგეთ კრულნი, გვძლივა სოფელმან, ხელმყოფელმან, აწ გვაგო შურნი"—ასე სწყევლიდა კრულ - დროებას სამშობლოს ზურმუხტ ველებს მოშორებული ალ. ჭავჭავაძე. იგი ოცნებობდა მამულში დაბრუნებაზე, ოცნებობდა მტკვარზე და შესტრფოდა მისით კვლავ ეშრიტა წყურვილი.

საქართველოს უბედობით ეწვოდა სული დასჯილსა და სამშობლოს მოშორებულს **ვ. ორბელიანსაც.** „გმირთ ძევ სამარევ, იმათ სისხლით მორწყულო,სად გინდა ვიყო, რაც გინდ ვიყო, ვარ შენი შვილი." ასე მისტიროდა იგი მამულს რუსეთის ცივ ველებისაკენ მიმავალი. პოეტის ჭარმაგ გულს მაინც აღმოხდებოდნენ იმედის ხმები. „გწამდეს, შთენნი დიდებულად კვლავ აღსდგებიან" ეუბნებოდა იგი თავის თავს.

სამშობლოს მწუხრი, „ფიქრნი შავად მღელვარნი" აშფოთებდნენ ქართველი ბაირონის, რომანტიზმის ამ ნამდვილი ფენომენის, **ნ. ბარათაშვილის** მღელვარე სულს.მამულის ტანჯვა მასში იწვევდა მწვავე სულიერ განწყობილებას,რადგან შეთქმულთა ცდამ ფუჭად ჩაიარა, საქართველოს ეროვნული განთავისუფლებისათვის ამოძრავება დამარცხდა, *) ნ. ბარათაშვილი აღრმავებს რა ამ ეროვნულ სევდას, მის მიზეზებს მსოფლიო სევდაში ეძებს.

ნ. ბარათაშვილი, ქართული მიწის შვილი, თავისი ქვეყნის უბედობით დანისლული, მაინც არ ჰკარგავს იმედს, მას სწამს, „რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველ ბინდს ის განაათლებს", „და გზა უვალი შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩებაო", მყივარის ხმით შესძახებს იგი თავის მერანს.ცხადია,ამ სიტყვების პატრონს არ უნდა ჰქონოდა დაკარგული იმედი სამშობლოს ბედნიერების აღდგომისა.

1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ ეროვნული ფიქრი უმთავრესად ოცნების სამყაროში გადაეშვა. **ა. ჭავჭავაძის, გ. ორბელიანის, ვ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, გ. ერისთავის, დ. ყიფიანის, ალ. ორბელიანის** იდეალი დაამარცხა ცხოვრების მწარე სინამდვილემ, მაგრამ ეროვნული ბრძოლისათვის კვლავ ღვივდებოდა მიძინებული ნაღვერდალი.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს სევდით მოცული ცხოვრების ცაზე ქარიშხალივით გაიელვებს დიდი ილია და ყველას გასაგონად დაიქუხებს:

„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოდ ახლა სხვა ვარსკვლავს
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!“ *)

*) ნ. ბარათაშვილს ბავშვობიდანვე ღრმად ჩააჩნდნენ გულში 1832 წლის ამბები, იგი ჯერ კიდევ 17 წლის ჭაბუკი დადიოდა შეთქმულთა წრეში და აღფრთოვანებული იყო მათი იდეებით.

**) ხაზი ჩემია (ლ. ლ.).

და ის ვარსკვლავი, რომელსაც უნდა ამოეშუქებია სამშობლოს ცაზე და რუსეთისაგან უფლება აყრილი დამონებული ერი ეხსნა, ილიამ მოხევეს დაახატვინა უკვდავს სიტყვებში: „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნესო...“ ილია ჭავჭავაძე იყო ჩვენი ერის ნაციონალური განთავისუფლების ბრძოლის ალამდარი, იგი მთელი ნახევარი საუკუნე დასტრიალებდა თავს ჩვენს აფორიაქებულსა და მღელვარე ცხოვრებას და ეროვნულ ბრძოლას მიმართებას აძლევდა. ილიას სტანჯავდა ის სევდა, რაც ალ. ჭავჭავაძესა და ორბელიანებს, მაგრამ მისი სულიერი ტრაღედია სხვა ცეცხლით იწვოდა. „ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება...სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელ საქართველოს შვილს. ყველამ, ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს“ *) — ამბობდა ილია. აი ნადაგი, რომელზედაც უნდა დამდგარიყო ახალი თაობა.

აბედივით იწვოდა აკაკის პოეზია სამშობლოს სიყვარულით. პოეტის ფიქრი თავს დასტრიალებს ლეჩაქ ახდილ სატრფოს, მისი გული ტკბილად არ ძგერს, მისი ჩანგი ტკბილად არ ჟღერს, იგი გულით ჯოჯოხეთს დაატარებს. მამულის სევდამ სანთელივით დაადნო მისი მეოცნებე სული და გამწარებულს ასეთი ელეგია ამოხდება გულიდან: „სანამ ჩემი საყვარელი ქაჯებსა ჰყავს ცხრა კლიტულში, ვინ მაღირსებს სასუფეველს, ჯოჯოხეთი მიძევს გულში.“ საქართველოს თავისუფლების მომღერალს, მებრძოლი ქართველი ერის მეხოტბეს აკაკის, მშობლიური ხალხის აღდგომისათვის მხატვრული სიტყვით მყარი საძირკველი ჩაუყრია.

*) ი. ჭავჭავაძე თხზ. ტ. 4, „შინაური მიმოხილვა.“

მისი ლექსი ხალხის გულიდან გულში გადადიოდა, მისი სიმღერა „სატრფო“ საქართველოზე ვით ფარავანა დაფრინავდა ხალხის სიღრმეში. აკაკის ერთადერთი სამსახური იყო ერის თავისუფლება და ამ სამსახურში შეივერცხლა მისი თმა, ამ სამსახურში დაიფერფლა მისი მგზნებარება. ხანგრძლივ ეროვნულ ბრძოლაში მას წარბი ოდნავაც არ შეუხრია, რადგან სწამდა მებრძოლი ქართველი ერის კვლავ ფეხზე წამოდგომა, ამიტომ იყო, რომ ამაყად გასძახოდა:

„არა! აყვავდეს იმედი
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა!
მაინც თამამად იყივლებს
ჩემი დაფი და ნაღარა!..“

ქართველ ხალხს უსაზღვროდ უყვარდა თავისი მამული. მშობელი მიწა იყო ხატება ქართველი ადამიანისა. ეს იყო და არის ჩვენი უძლეველობის წყარო. ეს ასაზრდოებდა ჩვენს პოეზიას საუკუნეთა მანძილზე.

როგორც ავღნიშნეთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევ-
რიდან ქართული პოეზიის მთავარი მოტივი არის ერ-
ოვნული ბრძოლის აზვირთებისათვის სამსახური,
ეროვნული ჰერმისის სალი შეგნება და მოწოდება
ბრძოლისაკენ. ილია, ქართული აზროვნების ეს დიდი
მამამთავარი, აკაკი ჩვენი პოეზიის მზე, ვაჟა-ფშაველა
მთის არწივი და მარგალიტის მთესველი, ალექს-
ანდრე ყაზბეგი ხევის ოქროპირი, რაფიელ ერისთავი,
ქართველი გლეხკაცობის გულის მესაიდუმლე —
მთელი შემოქმედებითი ცეცხლით იწვოდნენ სამშო-
ბლოს აღდგენისათვის აღმართულ სამსხვერპლოზე.

სავსებით ბუნებრივი და გასაგებია ის გარემოება, რომ ეროვნული მოტივი ასე ძლიერად სჩქეფს ჩვენს პოეზიაში. ჩვენს ქვეყანას თავს ესხმოდნენ მაჰმადიანი

მეზობლები, ჩრდილოეთით მახვილს ლესდა ბარბარ-
ოსი რუსეთი, რომელსაც მართალია გულზე ქრისტი-
ანული ჯვარი ეკიდა, მაგრამ სულში უმძვინარებდა
ქართული მეობის ძირბუდიანად ამოგდების სურვი-
ლი. ქართველი ხალხი ებრძოდა მოწოლილ მტერს,
მთელი ჩვენი ეროვნული ენერგია უნდა მოხმარებო-
და ხალხის ნაციონალური შეგნების ამაღლებას, და-
რაზმვას.

მე-19 საუკუნის დასასრულს და განსაკუთრებით მე-20 საუკუნის დასაწყისში ევროპის ლიტერატურა და აზროვნება რადიკალურ ცვლილებას განიცდის, მთელი ძალით იჭრებიან ახალი საკაცობრიო იდეალები. სოციალ-პოლიტიკურმა ძვრებმა, რომლებმაც მაშინდელი განათლებული კაცობრიობა გაალვიძეს, საქართველოსათვის შორით აღმოჩნდნენ. რუსეთმა გზა გადაუღობა ჩვენს აზროვნებას, რომელიც ასე გულმხურვალედ იყო მიჩვეული ევროპის გულისთქმის გაგონებას.

1917 წლის რევოლუციამ დაანგრია თვითმპყრობელური რუსეთი. ორთავიანი არწივის იმპერია ნანგრევებად იქცა. პატარა ერებმა თავი დააღწიეს რუსეთის ბატონობას. 1918 წლის 26 მაისს ქართველმა ხალხმა ერთი საუკუნის მონობის შემდეგ კვლავ აღადგინა დამოუკიდებლობა, შეჰქმნა ნამდვილი ქართული ეროვნული სახელმწიფო. თითქოს ასრულდა ილიას გულმხურვალე ნატვრა: „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები“-ო. თითქოს გაიღვიძა მამულმა, ოდესღაც აკაკის ჩანგი რომ უწინასწარმეტყველებდა.

ჩვენი ერის საუბედუროდ საქართველოს დამოუკიდებლობა ხანმოკლე აღმოჩნდა. 3 წელი, აი მისი მოღვაწეობის მთელი მანძილი. და როცა მტერი ყოველმხრივ გვაწვებოდა, როცა მამულის თავზე დღე-ნიადაგ იშლებოდნენ განადგურების ღრუბლები, ხალხს დრო აღარ რჩებოდა თავისუფლად ემღერა ტრადიციულ პოეტურ ჩანგზე. ცხოვრება ღელავდა, საჭირო იყო ხმალი და მკლავი, ამიტომ პოეზიის შთაგონებითი აღგზნება ახლა ბრძოლის ველზე უნდა გადასულიყო.

1921 წელს კვლავ დაჰქროლა ჟამთა სავის საშინელმა ქარიშხალმა. თბილისის ისტორიულ კარიბჭეებთან გადატყდა რაინდული ხმალი, ტაბახმელასთან ჩაესვენა ჩვენი ეროვნული დიდების მზე. ბოლშევიკურმა რუსეთმა ხიშტზე ააგო საქართველოს მთრთოლვარე გული, ფეხქვეშ გასთელა ჩვენი საყვა-

რელი, ეროვნული სამფეროვანი დრო'შა წიხაკართა
ბრძოლითა და სისხლით ნატარები.

ბოლშევიკური რუსეთი გაცილებით უფრო სასტი-
კი აღმოჩნდა, ვიდრე რუსეთის იმპერია. თვითმპყრო-
ბელური რუსეთი ეკონომიურად გვაღატაკებდა და
გვდევნიდა, ბოლშევიკებმა კი სულიერ გარდაქმნას-
თან ერთად დევიზად დაისახეს ჩვენი ერის ნაციონა-
ლური მეობის ამოგდება, გადაშენება.

ბოლშევიკებმა კარგად იცოდნენ, რომ ეროვნუ-
ლი სულისკვეთებისა და ნაციონალური შეგნების
გამომუშავებაში ლიტერატურას, პოეზიას უდიდესი
მნიშვნელობა აქვს. მარქსისტული ლოზუნგი **„ფორ-
მით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კუ-
ლტურა“** სხვა არაფერი იყო, თუ არა ეროვნული შე-
მოქმედების ჩახშობა და მოწამლვა იმ გზით,რომ ხალ-
ხის გულიდან ძირბუდიანად აღმოკვეთილიყო ყოვე-
ლივე ეროვნული. ბოლშევიკური რეჟიმი საშუალო
საუკუნეების ინკვიზიციის საშინელებით შეუდგა ქა-
რთული ლიტერატურის შებოჭვას. ლიტერატურას
უნდა ჰფლობდეს გაბატონებული კლასი — გა-
ჰყვიროდნენ მარქსისტული ლიტერატურის მეთოდო-
ლოგიის ფუძემდებელნი. ასეულობით პარტიული
დადგენილებანი, საპარადო ხმაური, კრებები მიმართ-
ულნი იყვნენ იქეთკენ, რათა დაუყონებლივ განად-
გურებულიყო ე. წ. „ფეოდალურ - ბურჟუაზიული
ლიტერატურა“, გამუშურებულიყო პოეზია.

იწყება დამკვრელი მუშების გაწვევა. ბოლშევიკე-
ბი პოეზიის ტაძრისაკენ ერეკებიან პარტიული სტაჟ-
ით დამძიმებულსა და ხელებდაკოჟრილ მუშებს. შე-
ჰქმენით ინდუსტრიული ლირიკა,— მოუწოდებდა
პარტია პოეზიაში გაწვეულთ. ცხადია ამ საწყისებზე
აღმოცენებულ მხატვრულ სიტყვას რა ცხოველმყო-
ფლობაც ექნებოდა. ბოლშევიკებმა გადააგვარეს
და გაათახსირეს ჩვენი მდიდარი კლასიკური ლიტე-
რატურული მემკვიდრეობა, ურწმუნოს ხელით გადა-
სჭრეს ის კვირტები, რომელზედაც უნდა ამოსულიყო
ახალი პოეზია, ნამდვილი ქართული მხატვრული სი-
ტყვა, დიდებული წარსულის მემკვიდრე.

პროლეტარული ლიტერატურა და პოეზია ეს იყო
წმინდა ნაგავი, ნაცოდვილარი. ამ ეპოქის ლიტერა-
ტურამ ვერ შეჰქმნა ერთი ძეგლიც კი, რომელიც ამა-
რთლებდეს ესთეტიკურ მოთხოვნილებას. ხეჩუაშვი-
ლები. ნავთლუღელები, ეულები, შინატეხელები,
ბობოხიძეები შერეკა საბჭოთა ლიტერატურამ ქარ-
თული პოეზიის წმინდა ტაძარში, რომელშიაც ოდეს-
ლაც უწირავს შუბლმაღალ ოლიმპიელს, საქართველ-
ოს ფიქრთა და აზრთა მპყრობელს დიდ ილიას.

რა უნდა შეექმნა ისეთ პოეტს, რომელიც სტრიქო-
ნებს სწერდა და მღეროდა პირადი კეთილდღეობის
მიზნით?

„დავაღრჩობ დედას,
დავალრჩობ მამას,
თუ კი მიბრძანებს რევოლუცია!..“ —სწე-

რდა ერთი პროლეტარული პოეტთაგანი, რომ-
ლის ესეოდენი ერთგულება ბოლშევიკებმა იმით
დააგვირგვინეს,რომ მისი მღელვარე სული შინსახკო-
მის ჯურღმულებში ჩააძაღლეს.

პროლეტარული პოეზია საქართველოში,უმღერდა
ქარხნებს, მანქანებს, საწარმოო საფინანსო გეგმებს,
დაჰხაროდა რაიკომის მდივანს, შესტრფოდა ელექ-
ტრო სადგურს, რომელიც წლის განმავლობაში ორ-
ჯერ გაანათებდა. პოეზია მლიქვნელურად ეგებოდა
ფეხქვეშ ინდუსტრიულ ყოფას. „მოგვეცით სოფე-
ლი და ახალი ადამიანები“ — ისმის ყვირილი
პარტიის ცეკას ტრიბუნიდან და მწერლები იბრუნე-
ბენ პირს სოფლისაკენ. პოეზიის საგანი ხდება „ხევ-
სურული ძროხა“, კოლმეურნეობის მოანგარიშე,
პირუტყვის სულადობის ზრდა, საგაზაფხულო თესვა.

ცხოვრება უგემური იყო და მომღერალს არ აძლევ-
და შემოქმედებით გზნებას, წარსულისაკენ კი გზა გა-
დაკეტილი აღმოჩნადა. დაისადგურა ქრონიკების პო-
ეზიამ საბჭოთა ლიტერატურაში.

ამ გარემოებამ გარყვნა ქართული მხატვრული შე-
მოქმედება. პოეზია ჩამოსცილდა მის წმინდა საქმეს,
იგი ხელოსნობად გადაიქცა. მარქსისტული ლიტერა-
ტურის მეთოდოლოგია შემოქმედებისათვის საზღვ-
რავს არეს. საბჭოთა პოეტს აძლევენ დაკვეთას, მისი
შემოქმედების სადავეები პარტიას უჭირავს.

შემომქმედი არაოდეს ყოფილა იმის განსჯაში, თუ
ვის დააკმაყოფილებდა მისი შემოქმედების ნაყოფი.
პოეტი თავის ქმნილებას ჰქმნის შინაგანი გრძნობები-
სა და განცდების სამჭედლოში. ლიტერატურის ისტო-
რიას, ქართულ მწერლობას არ მოეპოვება იმის მაგა-
ლითი, მხატვრული შემოქმედება დაკვეთით შექმნ-
ილიყოს. ეს სჩვევია მხოლოდ საბჭოთა პოეზიას, ამი-
ტომაა იგი პირდაუბანელი, უდღეური, გაურანდავი,
ყოველგვარ ღირებულებას მოკლებული. საბჭოთა
საქართველოში პოეტი უბრალო ხელოსანია; იგი ოც-
ნებობს,— სად გაასაღოს თავისი შემოქმედება. თბი-
ლისის ბაზარზე გირვანქობით იყიდებოდა საბჭოთა
ლიტერატურა როგორც ახალციხის ხახვი.

ქართული საბჭოთა ლიტერატურა აღსავსეა წინა-
აღმდეგობებით. მწერალთა ერთი ჯგუფი, რომელ-
მაც ვერ მიიღო ახალი დროებით მოტანილი უბად-
რუკობა, დროებით განზე გადგა. ბოლშევიკებმა ამ
მოვლენას მალე გამოუძებნეს შესაფერი წამალი: ამ
ჯგუფს დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს, მრავა-
ლი მათგანი ფიზიკურად მოსპეს. ბოლშევიკური რე-
ჟიმისა და კრიტიკის მარწუხებით აიხსნება ის გარემო-
ება, რომ საქართველოში მწერლების ერთმა ნაწილ-
მა ისტორიულ წარსულსა და საბჭოთა სინამდვილი-
დან დაშორებულ თემებს მოჰკიდეს ხელი.

დაეცა ქართული პოეზია, ახალი უბადრუკი აღმო-
ჩნდა. ბოლშევიკებმა ახლა კლასიკური ლიტერატუ-
რის გარყვნა დაიწყეს. ნ. ბარათაშვილს ჩვენი პოეზი-
ის ამ ლამპარს, ოდესღაც დასცინოდა პარტიის დავა-
ლებით „ქუჩის პოეტი, ქუჩების ბრბო და შეუპოვა-
რი“ ვინმე მაშაშვილი:

„შენ ვის უნდები, ვინ მოგაგონებს,
ზიხარ წარსულში უდაბნო მწირი,
უკვდავი სიტყვის უკვდავ სტრიქონებს
ინახავს ხალხი და არა წიგნი.“ *)

---

*) იხ. ა. მაშაშვილი „მე და ბარათაშვილი.“

ქართველ ხალხს ახსოვს ის შეურაცხყოფა და ლაფ-
დასხმა, რომელსაც ბოლშევიკური რეჟიმი აყენებდა
ილია ჭავჭავაძეს. ფ. მახარაძის, ამ ნაფიცი მარქსის-
ტის სახით ქართული ლიტერატურული კრიტიკა
ილიას სახავდა რეაქციონერად, სასტიკ ბატონად,
მშრომელი გლეხკაცობის ექსპლოატატორად,. *)
მაგრამ ბოლშევიკებს არც იმის შერცხვათ, რომ რამ-
დენიმე ხნის შემდეგ ილია გამოეცხადებინათ ქართუ-
ლი ნაციონალური გამანთავისუფლებელი, პროგრე-
სული მოძრაობის საუკეთესო წარმომადგენლად.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში დუღდა ბრძო-
ლა. კრიტიკა ხან მემარჯვენედ, ხან მემარცხენედ აც-
ხადებდა იმ პოეტებს, რომლებიც საბჭოთა სინამდვი-
ლეს გაურბოდნენ, მაგრამ უკანასკნელნი მაინც სცო-
ცხლობდნენ, გულამოკვნესით მაინც ამოიქუხებდნენ.
ს. აბაშელმა თავის დროზე გამბედავად დაიკივლა ქა-
რთული პოეზიის დაცემაზე:

„გაგიკვირდება, ლექსს რად არ ჰშვენის,
რომ კვლავ ამაღლდეს რჩეულ ხარისხად,
ციდან ქუხილი ბარათაშვილის,
მთიდან ყვირილი ვაჟას ხარისა,
ახლა ქუხილი არ ისტამბება,
ხარი არ ჰყვირის მაღალ მთებიდან,
**ლექსი დაალრჩო წვრილმა ამბებმა**
**ამონაწერმა გაზეთებიდან.“** *)

აბაშელი დიდხანს ჰგოდებდა იმაზე, რომ „დაეცა
ლოცვა და პოეზია“, რომ „ახალს ჩრდილი შემოე-
სია.“ ი. გრიშაშვილიც „ბესიკის ბაღში გაზრდილი
სევდით„ სტიროდა ჩვენი დიდების გაყიდვაზე ვანქის

*) იხ. ფ. მახარაძის წერილი გაზ. „კომუნისტში“.
*) იხ. ს. აბაშელი „წერილი ნ.ჩხიკ ვაძეს“. ხაზი ჩემია (ლ.ლ.).

მტვერიან ბაზარზე.ერთმა „ცისფერ ყანწელთაგანმა“,
რომელიც ბოლშევიკებმა გააქრეს, უწინასწარმეტყ-
ველა თავის თავსა და მთელ საბჭოთა პოეზიას: „მაგ-
რამ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია, ჩვენც სადმე მალე
ჩაგვაძაღლებენ.“

საბჭოთა ქართული ლიტერატურა დღეს კვლავ
ბოლშევიზმის ხუნდებშია მომწყვდეული, ღაფავს
სულს და სთითხნის „ტილოებს“ შესაფერს სისხლი-
ანი ბოლშევიზმის ტირანიის სადიდებლად.

წინაპართა სახელოვან ტრადიციას, საუკუნეთა
მანძილზე გულთან ერთად რომ უტარებია ჩვენს
ხალხს, აგრძელებს ქართველი ხალხის ახალგაზრდა
თაობა, რომელიც იარაღით ხელში იბრძვის დაჩაგრ-
ული მამულის განთავისუფლებისათვის. ყოველთვის,
როცა ჩვენს ქვეყანას უჭირდა, ხმალთან ერთად იბად-
ებოდნენ სიმღერები, მტრის წინააღმდეგ ბრძოლის
ველზე გამოსულ მამულისშვილებს რომ ალომებ-
დნენ. ქართული ლეგიონის ლიტერატურული ახალ-
გაზრდობა არის ჭეშმარიტი მემკვიდრე იმ დიდებისა,
რომელიც ჩვენს ერს შეუქმნია და შეუტანია კულტუ-
რის საგანძურში.

ჭავჭავაძისა და ორბელიანების უძირო სევდამ, მა-
მულის მწუხრით რომ იყო დანისლული, ახლა ჰპოვა
გამოძახილი ჩვენი ახალგაზრდობის მღელვარე სულ-
ში.ლეგიონერი მგოსნები,მთელი თავისი შემოქმედებ-
ითი აღტინებით ემსახურებიან უწმინდეს საქმეს—ერ-
ის გამოფხიზლებას, მისი ნაციონალური მეობის აღ-
სადგენად.

კრებული „ჩვენი სიმღერები“ თაიგულია იმ უკეთ-
ილშობილესი გრძნობებისა, რომლითაც გამსჭვალუ-
ლია მამულის კალთებიდან ძალით მოგლეჯილ
შვილთა გული, იგი გამოჰხატავს ახალგაზრდა თაო-
ბის ფიქრებსა და ოცნებებს. მშობელი მთების კალ-
თებივით პიტალონი, პირველი თოვლივით სპეტაკნი
და კელაპტარივით მოცისკროვნენი არიან ეს ფიქ-
რები.

ქართული მიწის შვილებს, თერგისა და მტკვრის
ნანით გაზრდილებს, აღშფოთებთ ის გარემოება, რომ
„შავი ძაძებით მორთულა ქვეყანა მზის და მშვენე-
ბის“, „ჩამკვდარა ქართველთ მხნეობა, გაცივებულა
კერაი“, მაგრამ მათ სწამთ ჭეშმარიტებით აღძრული
ბრძოლა, რომელსაც გერმანელი ხალხი მეთაურ-
ობს და რომლის ქარცეცხლში უნდა გამოიჭედოს
ქართველი ერის ბედიც.

ჰკითხულობთ სტრიქონებს,თქვენს თვალის წინ გა-
იქროლებენ ნაღველში ამოვლებული რითმები, რომ-
ლებშიც ისმიან ჭავჭავაძის, ორბელიანების, ბარათა-
შვილის შორეული დაგვისა და ჭმუნვის ხმები. განა
ასე არ ჰგოდებდნენ ოდესღაც გადახვეწილი ჩვენი
წინაპრები? ჩვენი პოეზიის ტრფიალი იყო ლეჩაქ-ახ-
დილი სატრფო,— საქართველო,— პოეტს მარად-
ჟამს თან ახლდა გულისდამწველი სევდა და ალი და-
ჩაგრული მამულის მოგონებაზე. ასეა დღესაც.

კრებული „ჩვენი სიმღერები“ ორგანიული ნაწი-
ლია ქართული ეროვნული პოეზიის საგანძურისა; იგი
ერთ-ერთ ბრწყინვალე ფურცლად ჩაიწერება ჩვენი
ლიტერატურის ისტორიაში. ამ კრებულის თვითეულ
ლექსს, ლექსის თვითეული სტრიქონს, ფრთოსან ფი-
ქრებსა და აზრებს ერთი უწმინდესი გრძნობა ზრდის
ესაა სამშობლოს სიყვარული, ბრძოლის წყურვილი
ერის დაცემული დიდების აღდგენისათვის. ამიტომ ეს
სიმღერები გახდებიან ჩვენი ერის დაწყლულებული
გულის გამამხნევებელ ყიჟინად, მოწოდებად ბრძო-
ლისაკენ.

ქართულ მამულში სევდაა. ძაძით მოსილან ხევე-
ბი. თავისუფლების მოყვარული მთა ჰგოდებს. მთის
შვილს აშფოთებს და სისხლს უმღვრევს მამულის
ჩაგვრა.

„მოვშორებულვართ ჭიუხებს,
დაობლებულა ცხვარია,
ძაძით მოსილან ხევები,
მამულს ვერ გაუხარია!..
მოსთქვამს საბრალო დედაი,
ცრემლი ჩამოსდის თვალზედა,
გაცივებულა კერაი,
ბატკანი სტირის კარზედა!..“

ამბობს ლეგიონერი ვ. ფშაველი. ჭაბუკი ფშაველი
ემუდარება ნიავს,—გადაჰყვეს დარიალს, გადაურბი-
ნოს მშობელ მთებს და უამბოს მამულს, რომ მისი
შვილაი აქ არის, აუსხია მამა-პაპური ფარ-ხმალი, რა-
თა მზე დაუბნელოს მამულის მჩაგვრელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„არ შევუდრკებით ვერაგ მტერს,
სისხლით გავლებავთ მიწასა,
ვფიცავთ შენს კალთას პიტალოს,
მშობელ არაგვის დენასა!“ ეფიცება იგი მამულს ხმალ ამოწვდილი.

ორიგინალური და ქართული პოეზიისათვის ჩვეული სითბოთია აღსავსე ახალგაზრდა პოეტის ვ. ურდოელის ლექსები. მის შემოქმედებაში ილვიძებენ გურამიშვილისებური ალვანი, აკაკისებური ცრემლნარევი ოცნებანი. ვ. ურდოელი ქართული ლეგიონის ლიტერატურული ახალგაზრდობის ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

მასაც აწუხებს სამშობლოზე გაბმული ფიქრი, მას სული ეწვის და ველარ უძლებს მოზღვავებულ სევდას

მისი წარმოდგენით მამული მარტოა ეული, მას დღე დაუბნელეს ნეტარი, „შავ ძაძებშია ნესტანი ქაჯეთში გამომწყვდეული!“ პოეტი საქართველოს ნესტანს ადარებს, რომელსაც ტანჯვა ჰგესლავს.

„ქაჯეთი ნესტანს გესლავდა,
ნისლი ებურა კლდე-სალსა,
წყაროს ჩუხჩუხი ცრემლს ჰგავდა,
ქარი — ვაჟკაცის კვნესასა!..“ — ჰგოდებს პოეტი. მაგრამ მის სულს როდი იპყრობს უიმედობა. მას სწამს გამარჯვება, მამულის ხსნა ბოლშევიზმის მონობისაგან და ამიტომაა რომ ასე სიწარმტაცით გვიხატავს გამანთავისუფლებელ ბრძოლას:

„ბოლოს აინთო კლდე-გული,
ნაჭედი ოქრო-რვალითა,
ტარიელ ქაჯეთს მიადგა
თავისუფლების ხმალითა!..
სთქვა: საქართველოს ლომნი ვართ,
შობილნი ქვეყნის მცველადა,
ხმალ-შემართული მოვდივართ
ნესტანის დასახსნელადა!..“

ვ. ურდოელს სამშობლოს სიწარმტაცის დახატვის მაღალი უნარი აქვს. მთა მისთვის ნახატია ვაჟას ხელით, ცის სილურჯე ფიროსმანს მოუქარგავს, მამულს მკერდი ჯეირანს უგავს.ხევი მინდიას სიბრძნითაა სავსე,ვერხვები თრთიან მთრთოლვარე ვერცხლის წყალივით,ვარსკვლავები ციმციმებენ ქალის თვალებივით,დგას სურნელი,ვით შემოდგომის ღამე,ისმის გლეხის ტკბილი ურმული გულს მომდები ალისა — ყველაფერი ეს შერწმულია ერთ სახელში,— ეს არის საქართველო. ვფიქრობთ, ასეთი მოელვარე და მგზნებარე მეტაფორები მოსძებნიან ადგილს ყოველი ქართველის გულში, ვისაც უგრძვნია მამულის სიტკბოება.

საკოლმეურნეო წყობილებამ წელში გასტეხა ქართველი გლეხკაცობა. ჩვენი ერის ნაციონალური სიძლიერის წყარო დაკნინდა და გადაშენების გზას დაადგა. გლეხკაცობა გმინავდა ბოლშევიკური რეჟიმის მძიმე უღელ ქვეშ. და გლეხის შვილს, რომელსაც მოუსმენია მამის გულისდამდაგავი მოთქმა უკუღმართ ბედზე, გულში ჩაუმარხავს და ახლა ამოუნთხევია სტრიქონებში:

„კოლექტიურმა მონობამ
ცრემლი მადინა მწარია,
არ შემარჩინა ოჯახში
აღარც თხა, აღარც ცხვარია;
თავს დამხვევა საჯიჯგნად
მუქთა ხორების ჯარია,
გაანადგურეს ერთიან
ჩემი სახლი და კარია...“

ასე გადმოგვცემს **დ. მთიული,** ქართველი კოლმეურნე გლეხის ტანჯვას. განა ამ ლექსში არ იგრძნობა ის სევდა, რომელიც ოდესღაც ასე აწუხებდა ქართველი დაჩაგრული გლეხის მოტრფიალეს რაფიელ ერისთავს?

ქართული პოეზიისათვის დამახასიათებელი შტრიხი და მიმართება საუკეთესოდ აქვს გამოთქმული ლექსში ტ. ყ-ს, პოეტი შთაგონებულია რუსთაველის ოქროხმოვანი ანდერძებით.

„ბრძოლის სამძაფრეს ველარ უძლებდე,
აღარ შეშვენის დროს და ბუნებას
მწარე ბრძოლაში უნდა ჰპოებდეს
კაცი ცხოვრების დანიშნულებას.“ გვეუბნება იგი. ეს რწმენა სჩანს თვითეულ ლექსში, რომელიც ამ კრებულშია თავმოყრილი.

ქართველ ახალგაზრდობას ალაღებს ის გარემოება, რომ გერმანია ქართველი ხალხის მოკავშირე და მფარვ ელია. წარსული ისტორიული მეგობრობის საფუძველზე ეს მეგობრობა დღეს მტკიცდება სისხლითა და ბრძოლით სამშობლოს განთავისუფლებისათვის. ლეგიონერი პოეტების შემოქმედებაში ეს დიდი მოვლენა მთელი სიდიადითაა ასახული.

„ძმად გახდომია ბერლინი,
ბრძოლის დაუკრავს ზარია
და თავის ლომი ბიჭები
აქეთკენ გაუგზავნია!..“

ლეგიონერ პოეტს ფრთას ასხამს ის გარემოება, რომ „მებრძოლ რიგებში ერთად არიან გერმანელი და ქართველი,“ რომ „გერმანიიდან ხმა ისმის გულრკინა მებრძოლისაო, იხარეთ კავკასიელნო მცხოვრებნო მაღალ მთისაო.“ მათ ძალას ჰმატებთ და ბრძოლის სურვილს ულვიძებთ ის გარემოება, რომ

„იმედათ ამოკაშკაშდა
მზე დასავლეთში შობილი
უნდა დაიმსხვრეს მონობის
გამორკინული ბორკილი.“

ლეგიონერ ახალგაზრდას სწამს გამარჯვება. ის მიჰყვება იმ ბრძოლის დროშას,რომელიც უძლეველმა გერმანიამ აღმართა. ამ დროშას ქვეშ გერმანელ ჯარისკაცებთან ერთად არიან ჩვენი ძმები, ქართველი ლეგიონერები. ამიტომაა, რომ ძლევამოსილის ხმით მღერიან:

„მხარში მივყვებით ერთმანეთს
გერმანელი და ქართველი!..
ომში არ შედრკეს არც ერთი
ესე ამბავი ძველია,
ღამის ბნელს გასჭრის ნათელი,
არსება მისი გრძელია.“

ლეგიონერთა შემოქმედება — ეს ჩვენი ეროვნული ლიტერატურის ორგანიული გაგრძელებაა .**ამ პოეზიას ჩვენ ვუწოდებთ სამშობლოს ეროვნულ გამანთა-**

**ვისუფლებელი ბრძოლის პოეზიას.** „ჩვენი სიმღერე-
ბი“—ეს არის მამულის სიყვარულით აღგზნებული მე-
ბრძოლი ახალგაზრდობის ჰანგები, ეს ჰანგები გაისმი-
ან დღეს ბრძოლის ველზე, როცა ჩვენი ძმები უტევენ
მტერს, ეს ჰანგები ყოველთვის ჟღერენ ჩვენ გულში.

მშობელო მიწავ, დადგება დრო და შენს მკერდი-
დან მოვგლეჯთ ბოლშევიკურ გველს, სამუდამოდ
დავამხობთ მონობის უღელს. ვღვრით რა ჩვენს ახალ-
გაზრდა სისხლს შენი დიდებისათვის, ჩვენ ღრმად
გვწამს გამარჯვება. შენი მადლიანი მიწის ბარაქით
გაზრდილნი ისევ დავბრუნდებით შენს კალთაზე,
მოვიტანთ წინაპართა დროშას ახალი სისხლით შეფე-
რილს, რომელზედაც ეწერება აღსრულებული სანუკ-
ვარი ოცნება: თავისუფლება. წინაპართა დიდებული
საფლავების წინ გადმოღვრილი სიხარულის ცრემ-
ლებთან ერთად, ჩვენ გვმღერებთ ახალ სიმღერებს,
რომლებიც დაიბადნენ ჩვენს ახალგაზრდა გულებში,
მამულის ტრფობისა და სიყვარულის ცეცხლოვანი
გზნებით.

**ლ. ლინი.**



„შეხვედრა“ ნახ. ი. ევგენიძისა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 60 წლისთავი (წერილი მეორე)

## მშობელი მიწის მიმართ

მიდამო მკვდარი, გარუჯული ლანდების კუთხე.
ძველი საჯვარე, სურნელება დამჭნარი დაფნის.
სამარის სევდა, მოდუნება მლაშე და წუთხე.
ობოლ ხატის წინ აცრემლილი სანთელი თაფლის.

***

დათუთქულ ლოცვას ძლივს იკავებს ობობას ქსელი,
ღამურას შრიალს მოაქვს ჩუმად დუმილი მწირის.
ვხედავ კრეტსაბმელს: ლოკოკინა მილოღავს სველი
და მეც ’ვით იგი გამომძვრალი ქურქიდან მცირე
მოვთქვამ და ვტირი:
საჯვარის დუმილს ერთხელაც არის გასერავს დანა-
მიმასვენებენ მის კედლებში გასუდრულ ცხედარს.
დავენანები ყველას, უფრო ლაშარსა მხედარს
და დამადნება ტკბილი ხმებით მე „სუთა-თანა“.

***

გადმოვარდება სარკმელიდან მზის სხივი მკვდარი—
გაციებულ შუბლს დაეცემა მწარედ და ცივად.
სადღაც შორს ქალი გაფითრდება, ისედაც მხდარი—
ობოლი ცრემლი გაურჩება წამწამზე მძივად.

***

შენ იცი მხოლოდ
მშობელო მიწავ: თუ რისთვის ვენთე.
უკანასკნელი
მიიღე ჩემგან სიცოცხლის ღვენთი: —
ჩუმი და უთქვი—
და შესვი სუნთქვით.

გრიგოლ რობაქიძე

## იმედი და რწმენა

მთავარია ცხოვრებაში:
იმედი და რწმენა,
ბრძოლა თავისუფლებისთვის,
არა ცრემლის დენა.

მეგობრობის განმტკიცება,
არასოდეს წყენა.
ერთობა და სიყვარული,
არა — შური, კბენა.

მომავალზე ოცნებები;
ჭირში წრთობა, თმენა,
შრომა კეთილი საქმისთვის,
მშვიდობა და ლხენა.

გწამდეს: შენი უბედური
ერი, დედა-ენა,
მისი ბედის გზის მებნა
და მფარველი ზენა.
ისევ მედგრად, შეუპოვრად,
წინ სვლა, აღმაფრენა.
მთავარია ცხოვრებაში:
იმედი და რწმენა.

დიმიტრი ქიმერიძე
“პეჟო-ს” საავტომობილო ქარხანა
სოშო, 1978 წლის 26 მაისი

# ქართველთა ყოფაცხოვრება უცხოეთში

## სააღდგომო ეპისტოლე

ამონაწერი უწმინდესი და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ეპისტოლედან , 2006 წლის 23 აპრილის ბრწყინვალე აღდგომას იესო ქრისტესი:

კულტურის განმაპირობებელი სამი ძირითადი ფაქტორია მამული, ენა, სარწმუნოება.

ჩვენი მამული ღვთისმშობლის წილხვედრი ივერიაა, რომელიც ჭეშმარიტ სარწმუნოებას ჯერ კიდევ I საუკუნეში ანდრია მოციქულის მიერ ეზიარა. "ქართლის ცხოვრებაში" ვკითხულობთ: "მოვიდა ანდრია ტრაპიზონსა, სოფელსა მეგრელთასა".

ჩვენი ენა კი უძველესია და საიდუმლოებით მოცული და მას "სახარებასა შინა ლაზარე ჰქვიან".

იგი შეიძლება შევადაროთ სინათლეს, რომელიც თავის თავში მოიცავს ცისარტყელას ფერებს. ეს

ფერები მსგავსია ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის სამეტყველო ენისა: ხევსურულისა და სვანურის, მეგრულისა და თუშურის, ლაზურისა და კახურის, გურულისა და ინგილოურის, მესხურისა და რაჭულის, კლარჯულისა და მოხეურისა, იმერულისა და მთიულურისა, რომელნიც შენაკადების მსგავსად ქმნიან ერთიანი ქართული ენის მდინარეს, ენისა, რომლითაც უძველესი დროიდან ჩვენს მიწა-წყალზე "...ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების".

ამ სამ საგანძურს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, რომ ერის მთლიანობა და თვითმყოფადობა შევინარჩუნოთ.

ღვთივკურთხეულო საქართველო, ისმინე ხმა უფლისა ჩვენისა და აღასრულე მცნებანი მისნი; წინაშე შენსა ღია არს კარი სასუფეველისა. ივერნო, - გორგასლიანნო, დავითიანნო, თამარიანნო, მუდამ გახსოვდეთ პასუხისმგებლობა წინაშე ღვთისა და მამულისა. არ შედრკეთ, არ შეუშინდეთ განსაცდელს; ჯვარი, რომელიც გვიბოძა უფალმა, ბოლომდე უნდა ვიტვირთოთ და ჩვენი მისია აღვასრულოთ.

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა.

ქრისტე აღდგა!

ჭეშმარიტად აღდგა!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

## აღდგომა პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიაში

პარიზის წნინდა ნინოს ქართულ ეკლესიაში, კვირას, 2006 წლის 23 აპრილს, ტრადიციული შთაგონებით ჩატარდა ლოცვა-კურთხევა ბრწყინვალე აღდგომისა იესო ქრისტესი, რომელსაც უამრავი მლოცველი დაესწრო. სააღდგომი წირვა ჩაატარა პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიის მოძღვარმა არქიმანდრიტმა არჩილმა (დავრიშაშვილი), რომელსაც აცილებდა ეკლესიის მგალობელთა გუნდი.

## აღდგომის წმინდა დღესასწაული მიუნხენში

მიუნხენში წმინდა ვახტანგ გორგასალის სახელობის ქართულ მართლმადიდებლურ ელესიაში, კვირას, 2006 წლის 23 აპრილს, ჩატარდა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის წირვა, რომელსაც დაესწრო უამრავი ეგრედ-წოდებული უახლესი, უცხოეთში მუდმივად თუ დროებით მცხოვრები, ქართველობა. სააღდგომო წირვა ჩაატარა არქიმანდრიტმა ლაზარემ (სამადბეგიშვილი), რომელსაც აცილებდა მგალობელთა გუნდი.

მიუნხენში, მამა მამუკამ (თავხელიძე) 2001 წლის 25 მარტს, მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით, დაარსა მიუნხენის წმ. ვახტანგ გორგასალის სახელობის ქართული ეკლესია. 2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდის დადგენილებით, შეიქმნა საქართველოს საპატრიარქოს დასავლეთ ევროპის ეპარქია და მის მმართველად დაინიშნა მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია), რომლის დაქვემდებარებაშია დასავლეთ ევროპაში არსებული ყველა სხვა ქართული ეკლესიები, გარდა პარიზის წმ. ნინოს ეკლესიისა, რომელიც კონსტანტინეპოლის მსოფლიოს საპატრიარქოს ექვემდებარება.

## პარიზის სათვისტომოს ხელმძღვანელობის არჩევნები

პარიზში, 2006 წლის 29 აპრილს, ჩატარდა ქართული სათვისტომოს წევრთა რეგულარული საერთო კრება, რომელზედაც არჩეულ იქნა საფრანგეთში არსებული ქართული სათვისტომოს ახალი ხელმძღვანელობა.

ქართული სათვისტომოს გასული წლის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა ქართული სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარემ ბატონმა გია სარჯველაძემ, რომლის მუშაობა, სათვისტომოს საერთო კრებამ, დადებითად შეაფასა და მადლობა გამოუცხადა მას გაწეული მოღვაწეობისათვის.

დღის-წესრიგის საკითხების განხილვის შემდეგ, ჩატარდა ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელობის არჩევნები, რომლის დროს, სათვისტომოს წევრთა დიდი უმრავლესობის ნებასურვილით, არჩეულ იქნა "სამეული"="სამი პიროვნება"="ტრიუმვირატი" ქართული სათვისტომოს თავმჯდომარეებათ, რაც პირველი შემთხვევა არის საფრანგეთის ქართული სათვისტომის აწ უკვე 84 წლის ისტორიაში.

ქართული სათვისტომოს ეს "სამეული"–

ჭეჯერა, უფრო გაასრულყოფილებენ ქართული სათვისტომოს მუშაობას საფრანგეთში

პარიზი, 2006 წლის 29 აპრილი

## ევგენი გეგეჭკორის დაბადების 125 წლისთავი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წლები) საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკოს, გამოჩენილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს – შეუსრულდა დაბადებიდან 125 წელი. ევგენი გეგეჭკორი დაიბადა 1881 წლის 20 იანვარს მარტვილში(!), გარდაიცვალა 1974 წლის 1 თებერვალს პარიზში და დაკრძალულია ქართველთა და ფრანგთა საერთო სასაფლაოზე, პარიზის ახლოს, დაბა ლევილში. აი, რას ვკითხულობთ "ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიის" მესამე ტომში (თბილისი, 1978 წელი, გვ. 30) ევგენი გეგეჭკორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ:

**გეგეჭკორი** ევგენი პეტრეს ძე [20. I (1. II). 1881—1954], მენშევიკი. 1907—12 III სახელმწიფო სათათბიროს წევრი ქუთაისის გუბერნიიდან, ს.-დ. ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი. 1917 ნოემბრიდან ე. წ. ამიერკავკასიის კომისარიატის—ამიერკავკ. კონტრრევ. მთავრობის თავ-რე, შემდეგ მენშევიკური მთავრობის თავ-რის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 მარტში, საფრანგეთში გაიქცა. 1921-იდან თეთრი ემიგრანტი.

*ლ. თოიძე.*

რა თქმა უნდა, ევგენი გეგეჭკორის ამ სტენოგრაფიულ ცნობაში არეულია სიმართლე და სიყალბე ერთმანეთში, რაც საერთოდ საბჭოთა ისტორიოგრაფიის დამახასიათებელი თვისებაა.

შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ევგენი გეგეჭკორი იყო არა რუსი მენშევიკი, არამედ

საქართველოს "მესამედასელი", ე.ი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთერთი წამყვანი წევრი; 1917 წლიდან იგი იყო ამიერკავკასიის კომისარიატის მთავრობის თავმჯდომარე; 1918 წლის 26 მაისიდან, როცა საქართველომ ისევ აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.
ხოლო, როცა რუსეთმა დაარღვია 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება და ომის გამოუცხადებლად საქართველოს თავს დაესხა და დაიპყრო დამოუკიდებელელი საქართველო, ევგენი გეგეჭკორი კი არ "გაქცეულა" უცხოეთში, არამედ, საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილების თანახმად, ნოე ჟორდანიას ერონულ მთავრობასთან ერთად, – თავი შეაფარა საფრანგეთს, რომ ბრძოლა განეგრძო ბოლშევიკების წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ აღდგენისათვის.
და, ავღნიშნავთ რა ევგენი გეგეჭკორის დაბადების 125 წლისთავს, აქვე გაგაცნობთ ბატონ მირიან მელუას სტატიას ევგენი გეგეჭკორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.
მინიან მელუა წერს:

(სტატია--------------------------------------)

**Géorgie : biographie d'Evguéni Guéguétchkori (1881-1954)**
http://www.colisee.org/article.php?id_article=2081

**HOMME D'ETAT TRANSCAUCASIEN ET GÉORGIEN**

mercredi 15 février 2006, par Mirian Méloua

**Député social-démocrate à la IIème Douma de Saint-Pétersbourg (mars 1907), haut-commissaire à la Transcaucasie (novembre 1917), ministre des Affaires étrangères du 3ème gouvernement homogène social-démocrate (février 1919 à mars 1921) de la Ière République de Géorgie, Evguéni Guéguétchkori (orthographié en anglais Gegetchkori, parfois Gegetjkori) meurt en exil en France.**

Issu d'une famille de l'Ouest de la Géorgie, dont l'un des ancêtres aurait été anobli lors de la guerre contre les Ottomans, Evguéni Guéguétchkori fut l'un des dirigeants les plus éminents du Caucase du début du XXème siècle (1).

Tout d'abord député de 1907 à 1912, au titre de la Géorgie, à la IIéme Douma russe (assemblée parlementaire réunissant à Saint-Pétersbourg les représentants de tous les territoires de l'Empire russe, accordée par le tsar Nicolas II après les émeutes sanglantes de 1905), il est nommé par le gouvernement provisoire d'Alexandre Kérenski président du Haut-Commissariat à la Transcaucasie en novembre 1917 (2).

Après la restauration de l'indépendance de la Géorgie le 26 mai 1918 et après l'élection de l'Assemblée Constituante géorgienne en février 1919, il rejoint le gouvernement homogène social-démocrate présidé par Noé Jordania pour y prendre la responsabilité des Affaires étrangères.

L'action d'Evguéni Guéguétchkori rencontre les mêmes écueils que ceux de son prédécesseur Akaki Tchkhenkéli : la division de la Transcaucasie, les réserves de la communauté internationale en pleine reconstruction (chute des empires allemand, autrichien et ottoman), les arrières pensées de la Russie soviétique, les appétits territoriaux des "*Jeunes Turcs*".

Devant les menaces potentielles russes (tant celles des Armées blanches que de l'Armée rouge) et ottomanes, il tente

ეროვნული ბიბლიოთეკა

d'organiser une entente avec l'Arménie et l'Azerbaïdjan lors des conférences de Tiflis en avril et juin 1919, sans succès significatif.

Les questions de la reconnaissance internationale de la Géorgie et de l'admission à la Société des Nations semblent lui échapper. En effet, Nicolas Cheidzé, président du Parlement provisoire géorgien, est envoyé début 1919 à la Conférence de la Paix de Paris avec un ministre plénipotentiaire, Irakli Tsérétéli. Evguéni Guéguétchkori n'en prend pas ombrage. Sa complicité personnelle avec Irakli Tsérétéli l'explique : ils appartiennent à la même génération et ont siégé ensemble à la Douma russe.

En mai 1919, la Grande-Bretagne exprime son mécontentement : elle aurait souhaité que la Géorgie soutienne l'action de l'Armée blanche de Denikine contre l'Armée rouge de Trotski. En août, la France estime que la Géorgie ralentit les secours à l'Arménie : les échanges de courrier avec Evguéni Guéguétchkori sont particulièrement vifs. La Grande-Bretagne annonce le départ de ses troupes d'Adjarie.

La situation est tout aussi délicate avec la Russie soviétique : Evguéni Guéguétchkori envoie secrètement à Moscou l'un de ses jeunes secrétaires d'État, Gricha Ouratadzé. La négociation est engagée avec Karakhan. Un accord est trouvé, à condition que la Géorgie refuse l'asile aux armées hostiles à la Russie soviétique (3). Evguéni Guéguétchkori s'oppose à cette clause. D'autres membres du gouvernement géorgien l'acceptent : le traité est signé à Moscou le 7 mai 1920. Le consulat russe s'ouvre à Tiflis en juin 1920 : il abrite plusieurs centaines de personnes, diplomates, propagandistes et militaires. Le ton monte, le ministre géorgien des Affaires étrangères et le représentant russe, Sergueï Kirov, échangent propos et déclarations écrites, voire menaces à l'encontre des citoyens géorgiens résidants en Russie. La Géorgie n'est pas en mesure de faire respecter la souveraineté accordée.

La question de la frontière turco - géorgienne, héritée du Haut Commissariat et de la Fédération de Transcaucasie, est toujours pendante : les représentants les plus radicaux de l'Empire ottoman, "*les Jeunes Turcs*", ne s'opposent pas à l'indépendance de la Géorgie, ils revendiquent plusieurs territoires (dont l'Adjarie) et massent des troupes près de la frontière.

Après l'invasion de la Géorgie par l'Armée rouge, l'Assemblée Constituante géorgienne, repliée à Batoumi, vote le 16 mars 1921 l'expatriation du gouvernement. Evguéni Guéguétchkori prend le chemin de Constantinople pour un exil définitif.

La légende lui attribue, ainsi qu'à certains de ses pairs, l'idée de faire libérer "*les bolcheviques géorgiens*" emprisonnés suite à leur tentative de coup d'État. Ils pourraient ralentir l'avancée de l'Armée rouge (essentiellement russe) vers l'Adjarie et permettre aux derniers détachements de l'armée géorgienne de repousser l'armée ottomane. Cette dernière s'apprête effectivement à appliquer l'accord qui lie "*les Jeunes Turcs*" et la Russie soviétique, et à annexer l'Adjarie à l'Empire ottoman (4).

Le 20 mars, le général géorgien Mazniachvili défait Kyazim - Bey et son armée, et sauve l'Adjarie. "*Les bolcheviques géorgiens*" au pouvoir à Tiflis depuis quelques jours entérinent la situation, en dépit de la position initiale de Moscou.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Une autre légende attribue à Evguéni Guéguétchkori des échanges épistolaires avec les hauts dignitaires soviétiques tout au long de son exil en France. Dans les faits, il demeura profondément opposé à la politique soviétique dans le monde, en URSS et plus particulièrement en Géorgie.

Il s'éteint à Paris en 1954 et est inhumé dans le "carré géorgien" du cimetière communal de Leuville-sur-Orge (5).

***Notes***

*(1) L'un des frères d'Evguéni Guéguétchkori, Sacha, fut ministre de l'Intérieur et vice-Premier ministre de la Géorgie soviétique de 1921 à 1928. Il se suicida en 1928, sous la pression de Moscou qui n'admettait pas que "les bolchéviques géorgiens" tentent de gouverner la Géorgie à la géorgienne. L'une de ses nièces épousa le Géorgien Lavrenti Béria, responsable de la Tchéka, du Guépéou et du NKVD, en Géorgie puis pour l'URSS.*

*(2) Le Haut-Commissariat à la Transcaucasie réunit l'Arménie, l'Azerbaïdjan et la Géorgie. Il est initialement favorable à la poursuite de la guerre aux côtés des Alliés (France, Grande-Bretagne et Italie) contre la coalition des empires centraux (Allemagne, Autriche et Turquie), à l'inverse des positions de Lénine. Dès le 11 novembre 1917, différentes assemblées provisoires déclarent l'indépendance de la Transcaucasie par rapport à la Russie afin d'échapper à l'emprise bolchevique. Le 5 décembre 1917, est signé l'armistice entre l'armée ottomane et les troupes russes en Transcaucasie (commandées par le général Lébendiski, ne reconnaissant pas le pouvoir soviétique). Lors de la conférence germano-soviétique de Brest-Litovsk, les "Jeunes Turcs" obtiennent de la Russie soviétique les districts d'Ardahan, d'Artvin, de Batoumi (Adjarie) et de Kars. Le 17 février 1918, Karakhan, au titre de la Russie soviétique, en informe le Haut Commissariat à la Transcaucasie. En février et mars 1918, à Trébizonde et à Batoumi, le chargé des Affaires étrangères du Haut-Commissariat, Akaki Tchkhenkéli, essaye en vain de faire revenir l'Empire ottoman sur sa position : Vékhib Pacha et son armée envahissent les territoires contestés.*

*(3)La guerre civile bat son plein en Russie, différentes armées blanches se partagent le territoire.*

*(4) Depuis le XVème siècle, la lutte était acharnée entre Ottomans et Géorgiens. Dans un choc inégal et continu, la Géorgie avait perdu successivement le Lazistan, l'Ispir, l'Adjarie, la Meskhétie (Ardahan et Akhaltsikhé), la Dvjavakhétie (Akhalkalaki). Les populations géorgiennes y avaient été converties de force à l'Islam, les monuments chrétiens avaient été rasés ou transformés en mosquées.*

*(5) Evguéni Guéguétchkori est l'un des sept membres initiaux de la Société Civile Immobilière propriétaire de la résidence d'exil en France de la Ière République de Géorgie, aux côtés de représentants sociaux-démocrates, nationaux-démocrates et sociaux-fédéralistes dans un esprit d'union nationale.*

Voir aussi :
La Ière République de Géorgie (1918-1921) en exil en France, 25 février 2005,
Adjarie : 16, 17,18,19 et 20 mars 1921, 22 mars 2004.

მირიან მელუა
პარიზი, 2006 წლის 15 თებერვალი

# Fète de „P a t r i m o i n e“ à Leuville

---

# “მემკვიდრეობის” დღესასწაული ლევილში

---

I.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა, 1984 წელს, სარანგეთში დააწესა „მემკვიდრეობის“ დღესასწაული, რომელიც აღინიშნება ყოველი წლის სექტემბრის მესამე კვირას. ამ დღესასწაულის შთამაგონებელია, საფრანგეთის იმდროინდელი კულტურის მინისტრი – ჟაკ ლანგი (Jacques Lang), რომლის სესაბამისად საფრანგეთის ყოველი სოფლის, ყოველი დაბის, ყოველი ქალაქის, ყოველი რეგიონის მოსახლეობა ყოველწლიურად აღნიშნავს კულტურული მემკვიდრეობის დღეს, რომლის დროს მიმდინარეონს მშობლიური მემკვიდრეობის ძეგლთა საერ დატვალერება და მათი შენარჩუნება, მოვლა-პატრონობისათვის ზრუნვა. მიმდინარე 2005 წელში კი ეს „მემკვიდრეობის“ თარიღი დაემთხვა კვირას, 18 სექტემბერს, რაც შესაფერისი შტაგონებითა და სიფაქიზით აღნიშნეს ლევილში მცხოვრებმა ფრანგებმა და ქართველებმა.

II.

ლევილში, სადაც არსებობს ჩვენი “ქართული მამული”, =„პატარა საქართველოა“, რომლის ცენტრია “შატო”, ე.ი. სასახლე. შეეხო რა ლევილის დაბის მერის მოადგილემ – მუსიე პარმანტიერმა, – Monsieur Parmentier – ლევილის კულტურულ მემკვიდრეობას საერთოდ, ილაპარაკა აგრეთვე საქართველოს, ქართველობის შესახებ, რომელმაც, როგორც მან თქვა, – რუსეთის ბოლშევიკებისაგან განსხვავებით – საქართველოში 1918 წლის 26 მაისს შექმნეს ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფო, დემოკრადიული კონსტიტუციით; მაგრამ 1921 წელს ბოლშევიკებმა დაიპყრეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რის შედეგად საქართველოს ეროვნული მთავრობა იძულებული გახდა ბრძოლა განეგრძო საფრანგეთიდან, სადაც 1922 წელს შეიძინა ლევილის ქართული მამული, რაც უკვე ქართველთა მემკვიდრეობაა საფრანგეთის მიწაზე.

ქართული მამულის ადმინისტრაციის პრეზიდენტმა ქალბატონმა ნათელა ჟორდანიამ მადლობა გადაუხადა მუსიე პარმანტიერს ასეთი გულთბილი სიტყვისათვის ლევილის ქართველებისა და საერთოდ ქართველი ერის მიმართ.

III.

ამ შთამაგონებელი მემორიალური თავყრილობის შემდეგ, ლევილის ფრანგებმა, ქართველებთან ერთად, დაათვალიერეს ლევილის ქართული მამული, სამლოცველო, ბიბლიოთეკა და შატოს მთავარი სალონი, რომელიც თავისებური მუზეუმია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებისა და მათ თანამებრძოლთა – ფოტოსურათებითა და დოკუმენტებით, რომლის ცენტრშია 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლის ზემოთაა მოთავსებული საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის თავმჯდომარის – ნოე ჟორდანიას – სურათი.

IV.

ლევილის ქართული მამულის შატოს” სალონში კი – ქალბატონმა ქრისტინე ფალავამ, რომელიც არის ლევილის ქართული მამულის მესაკუთრეთა ასოციაციის პრეზიდენტი, დამსწრეებს მიმართა მოკლე სიტყვით, რომელშიც განმარტა ქართველებისაგან ლევილის მამულის შეძენის იატორია.

V.

და, ავღნიშნავთ რა ლევილის ქართულ მამულში “მემკვიდრეობის” მოვლა-პატრონობის აწ უკვე ტრადიციულ დღეს, აქვე გვსურს ხაზგასმით ავნიშნოთ 97 წლის ასაკში მყოფი ქალბატონ – თამარ ალშიბაია-პატარიძის შენიშვნა, რომელიც მან გააკეთა ლევილის ქართულ ბიბლიოთეკაში:

“კარგი იქნება თუ წავბაძავთ ფრანგ ერს და მემკვიდრეობის –PARTIMOINE – დღეს ყოველწლიურად ავღვიშნავთ საქართველოში, რომლის დროს შევეცდებით ქართველი ერის, საქართველოს ასე მდიდარი მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის აღორძინებას როგორც საქრთველოში, ისე საქართველოს საზღვრებს გარედაც, რომელთა ერთერთი ნიშანსვეტია ამჟერად ჩვენი ლევილის ქართული მამული”.

VI.

მაშ, გზა დავულოცოთ კულტურული “მემკვიდრეობის” – ამ დიადი და შთამაგონებელი ეროვნული იდეის განხორციელებას საქართველოში!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# PONT SYMBOLIQUE ENTRE MTA TSMINDA ET LE CIMETIERE DE LEUVILLE

**Pourquoi ai-je pris l'initiative de la création de ce Pont symbolique ?**

**Lors de mon récent séjour à Tbilissi, à l'occasion du rapatriement de la dépouille du Prince Kakoutsa Tcholokhachvili, j'ai rencontré sa Sainteté, le Patriarche de Géorgie Ilia II qui m'a posé les questions suivantes :**

**"La dépouille Kakutsa Tcholokachvili vient d'être transférée à Tbilissi...avez vous une idée sur le prochain transfert ? Ne serai-t'il pas souhaitable de rappatrier un jour l'intégralité des corps enterrés au cimetière de Leuville ? Qu'en pensez vous?"**

Voici ma réponse :"Votre Sainteté, je pense qu'il ne serait pas souhaitable de procéder à d'autres transferts de ce genre. Kakoutsa Tcholokhachvili est le symbole, tant pour l'émigration que pour le peuple géorgien, de la révolte populaire contre l'oppresseur. Son transfert devrait être une exception. A mon avis, il ne saurait y avoir d'autres opérations de ce type, sauf, à la demande expresse des familles des défunts eu égard à la dernière volonté écrite de ces derniers .

D'autre part, il me paraît inopportun de faire disparaître les traces des sépultures géorgiennes de l'émigration. Ces monuments appartiennent à l'Histoire de la Géorgie et en constituent les traces indélébiles de la lutte de nos parents et ancêtres pour le rétablissement de l'indépendance de leur Pays.

**Voici ce que je vous propose** : J'ai déjà prélevé de la tombe de Kakoutsa de la terre fraîchement remuée et j'ai l'intention, dés mon retour en France, d'en répandre sur sa tombe à Leuville, ainsi que sur les tombes de ses conjurés également morts en France.

Par ce geste , se créera un Pont Symbolique entre le Panthéon de Mta Tsminda et le Cimetière de Leuville."

**Sa Sainteté a dû trouver l'idée bonne car il m'a encouragé dans mon action et m'a donné sa bénédiction.**

***La cérémonie officieuse a eu lieu le 17 décembre 2005 à 11 heures . Vous trouverez ci dessous le texte qui est parvenu aux différents journaux géorgiens ainsi que des photos de l'événement.***

Othar Pataridze Ancien Président de l'Association Géorgienne en France

## სიმბოლური ხიდი მთაწმინდის პანთეონსა და ლევილის სასაფლაოს შორის

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიაქის, უწმინდესისა უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით, მთაწმინდიდან, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავიდან წამოღებული მიწა დაეყარა ქაქუცას და მისი შეფიცულების საფლავებს ლევილში. ეს ღონისძიება ჩატარდა შაბათს, 17 დეკემბრის დილას.

ამგვარად, მთაწმიდის პანთეონი ლევილის სასაფლაოს სიმბოლური ხიდით დაუკავშირდა.

ამ არაოფიციალურ ცერემონიას ესწრებოდნენ : საქართველოს ელჩი საფრანგეთში, ქალბატონი ნათია ჯაფარიძე, საელჩოს უფროსი მრჩეველი, ბატონი ზურაბ ერისთავი, საფრანგეთში ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები, ბატონი ოთარ პატარიძე, ბატონი მირიან მელუა და ბატონი ლუკა მელუა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან - ბატონი გოჩა საიტიძე და ბატონი კახაბერ კორძაია, საარბრუკენის უნივერსიტეტიდან - ბატონი ზაზა კილასონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთი საქართველოა

"აფხაზეთის პოლიტიკური ისტორია მჭიდროდ დაკავშირებულია ქართველი ხალხის ისტორიასთან. აფხაზეთში, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, აღორძონდა ახალი ქართული ხახელმწიფო. დღეს მთელი აფხაზეთის ტერიტორია მოფენილია ქართული ეკლესიებითა და ქართული წარწერებით. აფხაზური ტექსტისათვის ჩვენ ვხმარობთ ქართულ ანბანს, ქართულ ტრანსკრიპციას, რაც სავსებით ეგუება და ეთანაზრება აფხაზურს."

პეტრე ჭარაია, აფხაზი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

## საუკუნო იყოს ხსენება მათი

ქალბატონი მართა გეგეჭკორი-სტურუასი დაიბადა საქართველოში 1910 წელს, გარდაიცვალა, 2005 წელს, პარიზში და დაკრძალულ იქნა ლევილის ფრანგულ-ქართულ სასაფლაოზე. მართა გეგეჭკორი-სტურუასი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის – ევგენი გეგეჭკორის – ქალიშვილი.

2005 წლის 3 მარტს, პარიზში, 97 წლის ასაკში, გარდაიცვალა ბატონი გიორგი ლომაძე, რომელიც დაკრძალულ იქნა ლევილის ფრანგულ-ქართულ სასაფლაოზე. გიორგი ლომაძე იყო 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილე.

2006 წლის 7 აპრილს, 81 წლის ასაკში, პარიზში გარდაიცვალა ექიმი თეიმურაზ აბდუშელი, რომლის რელიგიური ლოცვა-კურთხევა ჩატარდა პარიზის წმინდა ნინოს ქართულ ეკლესიაში.

ბატონი კოკა ჯაყელი, რომელიც ეკუთვნოდა გასული საუკუნის 20-იანი წლების პოლიტიკურ ემიგრაციის თაობას, გარდაიცვალა ლევილში, ქართულ მამულში, და დაკრძალულ იქნა ლევილის სასაფლაოზე. კოკა ჯაყელი დაიბადა საქართველოში 1919 წელს და გარდაიცვალა ლევილში 2005 წელს.

საუკუნო იყოს ხსენება მათი.

ჟურნალ "მებრძოლი საქართველოს" 2006 წლის 26 მაისის ნომერ 36(54) ხარჯები:

გასავალი: დაბეჭდვა, დაგზავნა და სხვ. – ---------------------------------------507 ევრო;
შემოწირულება კარლო ინასარიძისა---------------------------------------507 ევრო.


საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია
ეპარქიების რუკა
დამტკიცებულია საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის 2003 წლის 18 აგვისტოს რუის-ურბნისის კრების განჩინებით
რუსეთი
შავი ზღვა
თურქეთი
სომხეთი
აზერბ
ბიჭვინთა
ახალი ათონი
ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია
სოხუმი
მესტია
მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია
ცაგერისა და ლენტეხის ეპარქია
ცაგერი
ნიკორწმინდის ეპარქია
ნიკორწმინდა
ჭიათურა
ქუთაისი
ზესტაფონი
სენაკი
ფოთი
შემოქმედის ეპარქია
ოზურგეთი
შემოქმედი
ბათუმისა და სხალთის ეპარქია
ბათუმი
სხალთა
ბაღდათი
ვანისა და ბაღდათის ეპარქია
მარგვეთისა და უბისის ეპარქია
ბორჯომი
ახალციხე
საფარა
ეპარქია
ახალქალაქი
კუმურდო
ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქია
დმანისი
დმანისის ეპარქია
წალკა
მანგლისისა და წალკის ეპარქია
მანგლისი
ურბნისი
ურბნისისა და რუისის ეპარქია
სამთავისი
გორი
სამთავისისა და გორის ეპარქია
ცხინვალი
ახალგორი
ნიქოზი
ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქია
დუშეთი
ჟინვალი
მცხეთა
მცხეთა-თბილისის ეპარქია
თბილისი
რუსთავი
თიანეთი
ალავერდი
ალავერდის ეპარქია
ნეკრესი
გურჯაანი
საგარეჯო
საგარეჯოს ეპარქია
წილკანი
ბოდბე
ბოდბის ეპარქია
ტბეთი
ანჩა
ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის
ახალციხის
სატრაბელა
იშხანი
ბანა
პირობითი აღნიშვნები
კათოლიკოს-პატრიარქის კათედრა
საეპისკოპოსო კათედრა
სახელმწიფო საზღვარი
ეპარქიის საზღვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა





# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

1918 წელი – 26 მაისი – Nr. 36(54) – MAI 26, 2006

„პოლიტიკა არის არა მარტო შესაძლებლობის ხელოვნება, არამედ აგრეთვე ხელოვნება საჭირო შესაძლებელი გახადო"

## Conseil National Georgien

## ქართული ეროვნული საბჭო

ამონაწერი

ქართული ეროვნული საბჭოს წესდებიდან (პარიზი, 1896 წელი, 27 აპრილი. პირველი შესწორება: ლევილი. 1995 წელი, 17 აგვისტო):

„მუხლი მეხუთე: ქართული ეროვნული საბჭო არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის განმტკიცებისათვის ხელშეწყობა ყოველგვარი ლეგალური გზით..."

„მუხლი ოცდამეორე: ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში თავისთავს გამოაცხადებს დაშლილად, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა შეუქცევად ხასიათს მიიღებს".

რედაქციის მისამართი: Chateau de Leuville

10, rue Jules Ferry
91310 - Leuville sur Orge
France

დაარსდა იანვარი 1962, პარიზი — Fondation: Janvier 1952 , Paris